



ჯანმრთელობის კვლევის კავშირი

**ქვევაზე ზედახედველობის ინტეგრირებული კვლევა  
ბიომარკერის კომპონენტით მამაკაცებს შორის,  
რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ  
მამაკაცებთან და პოპულაციის  
ზომის განსაზღვრა საქართველოში**

აივ-თან დაკავშირებული სარისკო ქცევების და აივ პრევალენტობის შეფასება  
და პოპულაციის ზომის განსაზღვრა მამაკაცებს შორის, რომელთაც  
სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან

კვლევის ანგარიში  
თბილისი, საქართველო  
2023

მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაციამ  
“ჯანმრთელობის კვლევის კავშირი”



კლინიკა ნეოლაბი



დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის  
ეროვნული ცენტრი

## მადლიერების გამოხატვა

წინამდებარე კვლევა ჩატარდა შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ლაბორატორიული გამოკვლევები ჩატარდა კლინიკა „ნეოლაბის“ ბაზაზე.

კვლევის მონაწილეების ჩართვა და მონაცემების შეგროვება მიმდინარეობდა: კლინიკა „ნეოლაბის“ თბილისის და ბათუმის ფილიალები; საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი ”თანადგომა“, “თანასწორობის მოძრაობა”, „იმერეთის მედიცინის განვითარების ცენტრი“.

## სამუშაო ჯგუფი:

მაია ბუწაშვილი MD, MS, PhD

გიორგი კამკამიძე MD, MS, PhD

მაია ქაჯაია MD, MS, PhD(c)

ლაშა გულბიანი MPH, PhD(c)

მარიკა კოჭლამაზაშვილი MPH, PhD(c)

გიორგი ყანჩელაშვილი MPH, PhD(c)

თინათინ აბზიანიძე MD, MPH, PhD

სოფიო ადამია MPH

თამარ მაღლაკელიძე MD, MPH

თინა კამკამიძე

ანა წამალაიძე

# შინაარსი

<b>ტერმინები და აბრევიატურები</b> .....	4
<b>განმარტებები</b> .....	6
<b>კვლევის მოკლე ანგარიში</b> .....	7
შესავალი.....	7
მეთოდები.....	8
შედეგები.....	9
<b>დასკვნები და რეკომენდაციები</b> .....	13
<b>შესავალი</b> .....	17
<b>კვლევის მიზანი და ამოცანები</b> .....	19
<b>კვლევის მეთოდები</b> .....	19
კვლევის დიზაინი .....	19
კვლევის ადგილი.....	19
შენარჩევის ზომა .....	20
კვლევის მონაწილეთა შერჩევა.....	20
კვლევის მონაწილეთა რეკრუტმენტი .....	21
<b>მონაცემების შეგროვება</b> .....	24
ქცევითი კომპონენტი .....	25
ბიომარკერული კომპონენტი .....	26
<b>კვლევის ეთიკა</b> .....	27
<b>მონაცემთა ანალიზი</b> .....	28
<b>შედეგები</b> .....	28
სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები.....	28
ინფექციების გავრცელება.....	29
ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება .....	29
<b>სქესობრივი ქცევა</b> .....	30
პარტნიორთა რიცხვი და ტიპები .....	30
რეგულარული მამრობითი სქესის პარტნიორები .....	30
შემთხვევითი მამრობითი სქესის პარტნიორები .....	31
კომერციული პარტნიორები .....	31
კომერციულ სქესში (სქეს-ბიზნესში) ჩართულობა .....	31

სქესობრივი ურთიერთობა ქალებთან .....	32
ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა .....	34
სხვა სქესობრივი პრაქტიკა .....	36
<b>კონდომები და ლუბრიკანტები .....</b>	<b>36</b>
სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (სგგი) .....	38
სგგი მკურნალობისათვის მიმართვა და სხვა სამედიცინო სერვისები .....	38
აივ/შიდსთან დაკავშირებული ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა .....	38
ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა B და C ჰეპატიტების შესახებ .....	39
სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობა .....	40
ინფორმაციის წყაროები .....	42
მონაწილეთა განაწილება აივ სტატუსის მიხედვით .....	43
ასაკის ასოციაცია სხვადასხვა ფაქტორთან .....	45
განაწილება ქალაქების მიხედვით .....	46
სერვისის ბენეფიციარები და არაბენეფიციარები .....	48
<b>2018 და 2023 წლის კვლევების მონაცემების შედარება .....</b>	<b>49</b>
ბიომარკერული კომპონენტი .....	49
სქესობრივი ურთიერთობა ქალებთან .....	51
ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა .....	53
კონდომები და ლუბრიკანტები .....	54
ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება .....	55
ძალადობა .....	56
<b>პოპულაციის ზომის განსაზღვრა მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან .....</b>	<b>58</b>
<b>შემაჯამებელი მიმოხილვა .....</b>	<b>59</b>
1. შესავალი .....	61
2. მეთოდოლოგია .....	63
2.1 კვლევის ამოცანები .....	63
2.2 სამიზნე პოპულაცია .....	63
2.2.1 კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები .....	63
2.3 მეთოდების მიმოხილვა .....	64
2.3.1. მეთოდი 1: ქსელის ზომის განსაზღვრა .....	64

2.3.1.1 შინამეურნეობების კვლევა და მონაცემების შეგროვება.....	64
2.3.1.2 ქსელის საშუალო ზომის შეფასება .....	67
2.3.2 კოეფიციენტების მეთოდი.....	72
2.3.2.1 რეგიონული პრევალენტობის შეფასება .....	72
რუტინული ინფორმაციის შეგროვება.....	73
2.3.2.2. სერვისის მოხმარების კოეფიციენტის მეთოდი (Service Multiplier Method).....	76
3. ეთიკის საკითხები.....	83
დისკუსია და რეკომენდაციები.....	93
გამოყენებული ლიტერატურა.....	95
დანართი 1. ცხრილები.....	97
დანართი 2. კითხვარი .....	158

## ტერმინები და აბრევიატურები

აივ	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
დკსჯეც	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მსმ	მამაკაცი, რომელსაც სქესობრივი კონტაქტი (სექსი) აქვს მამაკაცთან
სგგი	სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია
შიდსი	შემენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
ჯანმო	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
AIDS Center	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი
Anti-HCV	C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულები
Anti HBc	B ჰეპატიტის ვირუსის ბირთვის საწინააღმდეგო ანტისხეულები
CI	სარწმუნოების ინტერვალი
DEFF	დიზაინის მოსალოდნელი ეფექტი
ITB	ინფორმაციის ტრანსმისიის ცდომილება
HBV	B ჰეპატიტის ვირუსი
HBs Ag	B ჰეპატიტის ვირუსის ზედაპირული ანტიგენი
HCV	C ჰეპატიტის ვირუსი
NSU	ქსელის ზომის განსაზღვრა
OR	შანსების თანაფარდობა
<i>p</i>	ალბათობის მაჩვენებელი
PSU	შერჩევის პირველადი ერთეული
RDS	რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევა
RDS-A	რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის სტატისტიკური ანალიზის პროგრამა

RPR	Rapid Plasma Reagen
SSU	შერჩევის მეორადი ერთეული
SPSS	სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებისათვის
TSU	მესამეული შერჩევის ერთეული
TPHA	ჰემაგლუტინაციის რეაქცია სპიროქეტული ანტიგენით
UNAIDS	გაეროს შიდსის პროგრამა
VCT	ნებაყოფილობითი კონსულტირება და ტესტირება
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
$\chi^2$	ხი კვადრატი
95% CI	სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი

## განმარტებები

**მამაკაცი, რომელსაც სქესობრივი კონტაქტი აქვს მამაკაცთან (მსმ)** - მამაკაცი, რომელიც ამყარებს სქესობრივ კონტაქტებს სხვა მამაკაც(ებ)თან, იმისდა მიუხედავად, ახდენს თუ არა საკუთარი თავის იდენტიფიკაციას, როგორც ჰომოსექსუალი.

**რეგულარული სქესობრივი პარტნიორი** – სქესობრივი პარტნიორი, რომელთანაც სქესობრივი ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება ან გრძელდება ერთ წელზე ნაკლები დროის მანძილზე, მაგრამ არსებობს ურთიერთობის გაგრძელების განზრახვა.

**შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორი** – სქესობრივი პარტნიორი, რომელიც არ არის რეგულარული პარტნიორი და რომელთანაც სქესობრივი ურთიერთობა მყარდება მატერიალური ანაზღაურების გარეშე.

**კომერციული სქესობრივი პარტნიორი** - სქესობრივი პარტნიორი, რომელთანაც სქესობრივი ურთიერთობა მყარდება მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ (პარტნიორს უხდის ან პარტნიორისგან იღებს ანაზღაურებას).



## კვლევის მოკლე ანგარიში

### შესავალი

აივ ინფექცია კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად მსოფლიოში. ზოგად მოსახლეობასთან შედარებით, აივ-ით ინფიცირების რისკი საშუალოდ 26-ჯერ მეტია მამაკაცებში, რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან (მსმ), რადგან სოციალური პრობლემები, აივ-თან დაკავშირებული სტიგმა, დისკრიმინაციული გენდერული და კულტურული ნორმები, სიღარიბე და სხვა უთანასწორობა ქმნის ბარიერს აივ-ის პრევენციულ და სამკურნალო სერვისებზე ხელმოსაწვდომობის კუთხით აღნიშნულ საკვანძო პოპულაციაში.

საქართველოში ზოგად მოსახლეობაში აივ-ის დაბალი გავრცელების მიუხედავად, ინფექციის მაღალი კონცენტრაცია საკვანძო პოპულაციებში, განსაკუთრებით მსმ-ებში, წარმოადგენს ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას და უდიდეს გამოწვევას 2030 წლისთვის შიდსის ეპიდემიის დასრულების მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნულ პოპულაციაში ბიომარკერული ქცევითი კვლევების გარკვეული პერიოდულობით ჩატარება აივ-ის პრევალენტობის, აივ ინფექციის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორების და პრევენციული ინტერვენციების და პროგრამების შესაფასებლად.

წინამდებარე ანგარიშში აღწერილია ქცევაზე ზედამხედველობის ინტეგრირებული კვლევა ბიომარკერის კომპონენტით მსმ-ებში, რომელიც 2023 წელს ჩატარდა ქ. თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. კვლევის ამოცანები იყო მსმ-ებში:

1. აივ ინფექციის, B ჰეპატიტის, C ჰეპატიტის და სიფილისის გავრცელების შეფასება;
2. აივ ინფექციასთან დაკავშირებული სარისკო სქესობრივი ქცევების განსაზღვრა;
3. აივ ინფექცია/შიდსის, C და B ჰეპატიტების შესახებ ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შეფასება;
4. სტიგმის, დისკრიმინაციის და ძალადობის შეფასება;
5. სამედიცინო სერვისებით და პრევენციული პროგრამებით სარგებლობის შეფასება;

6. აივ ინფექცია/შიდსის და სგგი-ს შესახებ სასურველი საინფორმაციო წყაროების განსაზღვრა.

*მეთოდები*

კვლევა ჩატარდა ჯვარედინ-სექციური დიზაინით საქართველოს სამ ქალაქში: თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. საკვლევი სუბიექტების კვლევაში ჩართვა განხორციელდა რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის (Respondent Driven Sampling, RDS) მეთოდით. კვლევა შედგებოდა ქცევითი და ბიომარკერული კომპონენტებისგან. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო ასაკი  $\geq 18$  წელი, მამრობითი ბიოლოგიური სქესი, სქესობრივი (როგორც პასიური, ისე აქტიური) კონტაქტი (ანალური ან ორალური) სხვა მამაკაცთან უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეობა, კვლევისთვის შერჩეულ ქალაქში ცხოვრება, ქართულ ენაზე შედგენილ კითხვარზე პასუხის უნარი, კვლევაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობის უნარი, თანხმობა კვლევის ორივე კომპონენტში მონაწილეობაზე.

კვლევის ქცევითი კომპონენტის ფარგლებში პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა სპეციალურად შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვის შედეგად კვლევის მონაწილეებისგან შეგროვდა შემდეგი სახის ინფორმაცია: სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები; ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება; სქესობრივი ცხოვრების ისტორია; სექსობრივ პარტნიორთა რიცხვი და ტიპები; კომერციულ სექსში ჩართულობა; სარისკო სქესობრივი ქცევები; სხვადასხვა სქესობრივი პრაქტიკა; პრეზერვატივის და ლუბრიკანტების გამოყენება; სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან (სგგი) დაკავშირებული ცოდნა, პრაქტიკა და სამედიცინო სერვისებით სარგებლობა; აივ/შიდსის, B და C ჰეპატიტების შესახებ ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა; სტიგმის, დისკრიმინაციის და ძალადობის პრაქტიკა; სგგი-ს შესახებ ინფორმაციის მიღების სასურველი წყაროები. ბიომარკერული კომპონენტის ფარგლებში კვლევის თითოეული მონაწილისგან აღებულ იქნა სისხლის ნიმუში აივ ინფექციის, სიფილისის, B და C ჰეპატიტების პრევალენტობის შესაფასებლად.

შეგროვილი მონაცემების შეყვანა და ანალიზი განხორციელდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS v22. ჩატარდა მონაცემების უნივარიაციული, ბივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზი. RDS მონაცემების მისაღებად, შეგროვილი მონაცემების შეყვანა მოხდა RDS-Analyst 3.6.0 პროგრამაში, სადაც უნივარიაციული ანალიზი ჩატარდა Gile's SS (Sequential Sampler) მეთოდის გამოყენებით.

## შედეგები

### აივ ინფექციის, ჰეპატიტების და სიფილისის გავრცელება

- კვლევაში ჩართულ მსმ-ებში აივ-ის გავრცელება იყო 15.3%.
- სიფილისი აღმოაჩნდა საკვლევი პირების 14.2%-ს, B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტისხეულების (anti-HBc) გავრცელების მაჩვენებელმა შეადგინა 21.3%, ხოლო აქტიური B ჰეპატიტი (HBsAg დადებითი) აღმოაჩნდა საკვლევი ინდივიდების 3.1%-ს.
- აივ ინფექციის გავრცელება სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდება 2018 წლის კვლევის მაჩვენებლისგან.
- რაც შეეხება სიფილისს და C ჰეპატიტს, აღინიშნება გავრცელების სტატისტიკურად სარწმუნო ზრდა. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც სიფილისის გავრცელების მაჩვენებელი (9.7%-დან 14.2%-მდე), ასევე C ჰეპატიტის (1.8%-დან 7.8%-მდე).

### სქესობრივი ქცევა

- კითხვაზე „როგორი სქესობრივი პარტნიორი ხართ“ 15.5%-მა უპასუხა „მიმღები“, 33.0%-მა „შემღწევი“, 55.0%-მა „ორივე, მიმღებიც და შემღწევიც“.
- ბოლო 12 თვის განმავლობაში სამზე მეტი შემთხვევითი სქესობრივი კაცი პარტნიორი ჰყავდა რესპონდენტთა 55.2%-ს. პირველად ანალური სექსი  $\leq 10$  წლის ასაკში ჰქონდა რესპონდენტთა 0.9%-ს, 11-13 წლის ასაკში 2.7%-ს, 14-17 წლის ასაკში 30.7%-ს.
- ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტისას კონდომი არ გამოიყენა კვლევის მონაწილე მსმ-ების 34.0%-მა, ხოლო ზოგადად კონდომს ყოველთვის იყენებს მხოლოდ 39.7% და არასოდეს იყენებს 13.9%.
- ბოლო 12 თვის განმავლობაში, სხვა ქვეყანაში, კაც პარტნიორთან სექსის პრაქტიკა ჰქონდა გამოკითხულთა 23.3%-ს, რომელთაგან კონდომი არ გამოუყენებია 67.4%-ს.
- კვლევის მონაწილეთა 5.4%-მა იცის, ხოლო 3.2% ეჭვობს, რომ კაცი პარტნიორი, რომელთანაც ბოლოს ჰქონდათ ანალური სექსი, იყო აივ-ინფიცირებული.

- ბოლო სექსის დროს შემთხვევით კაც პარტნიორთან კონდომი გამოიყენა მხოლოდ 57.5%-მა, ხოლო კონდომის ყოველთვის გამოყენებას შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან აღნიშნავს მხოლოდ 42.4%.

#### სქესობრივი ისტორია: კომერციული პარტნიორები

- საკვლევი პირების 6.2%-ს ბოლო 12 თვის მანძილზე სექსი ჰქონდა 1-5-მდე კომერციულ პარტნიორთან, 0.6%-ს - 5-ზე მეტ კომერციულ პარტნიორთან, ხოლო 0.8%-ს არ ჰქონია ანაღური სექსი კომერციულ სქესობრივ პარტნიორ კაცთან.
- ბოლო სექსის დროს კომერციულ კაც პარტნიორთან კონდომი გამოიყენა 79.1%-მა.

#### კომერციულ სექსში (სექს-ბიზნესში) ჩართულობა

- მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ კაცთან სქესობრივ კონტაქტს ამყარებს გამოკითხული მსმ-ების 6.8%, რომელთაგან 34.2%-მა აღნიშნა, რომ კომერციული სექსით გამომუშავებული თანხის გარდა შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია.
- ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ორზე მეტი კომერციული კლიენტი ჰყოლია კომერციულ სექს-ბიზნესში ჩართული მსმ-ების 21.9%-ს.
- მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ სექსის სიხშირე ყველაზე მაღალია ბათუმში.
- ბოლო 1 წლის მანძილზე პრეზერვატივს მუდმივად იყენებდა შემთხვევით ქალ პარტნიორთან (58.9%) და კომერციულ ქალ პარტნიორთან (77.2%)

#### ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა

- საკვლევი სუბიექტების 28.5%-ს ჰქონია ჯგუფური სექსი ბოლო 12 თვის მანძილზე. ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო დაკავშირებული ალკოჰოლის მოხმარებასთან.

- ბოლო ჯგუფური სექსის დროს ყველა პარტნიორთან პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა უფრო დაბალი იყო სიფილისზე ტესტირებით დადებითი შედეგის მქონე მსმ-ებში (71.0%).
- რესპონდენტთა 80.4% პრეზერვატივს ყიდულობს აფთიაქში, ხოლო 42% იღებს არასამთავრობო ორგანიზაციებში.

#### სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (სგგი)

- თითქმის მეხუთედს (18.4%) ჰქონია გამონადენი ან გამონაყარი/წყლული/მუწუკი სასქესო ორგანოზე ან ანუსის არეში ბოლო 12 თვის განმავლობაში.
- სგგი-ს დასადგენად ანალიზი ჩატარებული აქვს მსმ-ების 71.5%-ს.
- კვლევის მონაწილეთაგან 67.4%-მა, რომელთაც ჰქონიათ გენიტალური ან ანალური გამონადენი, ან წყლული/მუწუკი, ბოლო ასეთი ეპიზოდისას მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას, 15.8%-მა თვითმკურნალობას, 17.8%-მა აფთიაქს, 8.4%-მა ექიმს ბინაზე, ხოლო 6.9%-მა ექიმბაშს.
- 21.3%-მა არ გაუმხილა სიმპტომების შესახებ თავის პარტნიორს, 12.5%-მა არ შეწყვიტა სექსი სიმპტომების აღმოჩენის შემდეგ და 14.5%-მა არ გამოიყენა პრეზერვატივი სიმპტომების პერიოდში.

#### აივ/შიდსთან დაკავშირებული ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა

- გამოკითხული მსმ-ების 86.7%-ის აზრით კონდომის გამოყენებით აივ-ის გადაცემის რისკის შემცირება შესაძლებელია, 8.3% თვლის, რომ არ არის შესაძლებელი. თითქმის მეხუთედი (19.6%) თვლის, რომ შეუძლებელია ჯანმრთელი გარეგნობის ადამიანს ჰქონდეს აივ-ინფექცია.
- გამოკითხულ მსმ-ებში აივ-ინფექციის გადაცემის გზების შესახებ ინფორმირებულობა შემდეგნაირია: კოლოს კბენით 23.8%, საკვების გაზიარებით 15.2%.
- კვლევის მონაწილეთა 80.6%-ს ჩატარებული აქვს აივ-ტესტირება და უმრავლესობისთვის (87.8%) ცნობილია, თუ სად შეიძლება ჩაიტარონ აივ-ზე ტესტირება სურვილის შემთხვევაში.

- მსმ-ების 36.1%-მა აივ-ის დასადგენად ტესტირება ბოლოს უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში ჩაიტარა, 37.3%-მა 3-12 თვის განმავლობაში. ტესტირების მაჩვენებელი უფრო მაღალია დაბალ ასაკობრივ ჯგუფში.
- გამოკითხული მსმ-ების მხოლოდ 3.9% თვლის, რომ მისი აივ-ინფიცირების ინდივიდუალური რისკი მაღალია, 20.7% აივ-ით ინფიცირების რისკს აფასებს საშუალოდ, 33.7% თვლის, რომ მისი ინფიცირების რისკი დაბალია და 10.0%-სთვის ეს რისკი არ არსებობს.

#### ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა B და C ვირუსულ ინფექციებზე

- გამოკითხულთაგან 62.2% ტესტირებულია C ჰეპატიტზე და ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია 25 წელზე მეტი ასაკის ჯგუფში (87.7% vs 72.5%;  $p<0.001$ ).
- C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ სმენია კვლევის მონაწილე მსმ-ების მხოლოდ ნახევარს (50.6%), მხოლოდ 47.0%-მა იცის, რომ ქვეყანაში C ჰეპატიტის მკურნალობა სრულიად უფასოა.
- B ჰეპატიტზე გამოკვლევა ჩატარებული აქვს გამოკითხული მსმ-ების მხოლოდ 41.8%-ს. მხოლოდ 38.9%-მა იცის, რომ არსებობს B ჰეპატიტის სამკურნალო ანტივირუსული მედიკამენტები, ხოლო ვაქცინის შესახებ ცნობილია რესპონდენტთა 34.6%-სთვის და ვაქცინირებულია 7.5%. შემოთავაზების შემთხვევაში B ჰეპატიტზე ვაქცინაციას ჩაიტარებდა მხოლოდ 39.6%.
- ქალაქების მიხედვით ჰეპატიტების და სიფილისის გავრცელება ყველაზე მაღალია ქუთაისში.

#### პრევენციული სერვისების ბენეფიციარ და არაბენეფიციარ მსმ-ებს შორის განსხვავება

*პრევენციული სერვისების ბენეფიციარად განისაზღვრა მსმ, რომელსაც, ბოლო 12 თვის განმავლობაში, სოციალური მუშაკისაგან, თანასწორ-განმანათლებლისგან, ან ჯანმრთელობის კაბინეტში, მიუღია კონდომი და ლუბრიკანტი.*

- Anti-HIV აღმოაჩნდა სერვისების ბენეფიციარ მსმ-თა 23.9%-ს და არაბენეფიციარ მსმ-თა 5.6%-ს ( $p<0.001$ ).

- RPR (+) დაფიქსირდა სერვისის ბენეფიციართა 19.6%-ში, ხოლო არა ბენეფიციართა 10.1%-ში ( $p < 0.01$ ).
- ბოლო სქესობრივი კონტაქტისას პრეზერვატივის გამოყენების სიხშირე სტატისტიკურად არ განსხვავდება ბენეფიციარებს და არაბენეფიციარებს შორის.
- კვლევის მონაწილეების პროპორცია, ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე ყოფილა ძალადობის მსხვერპლი, 2-ჯერ მაღალია სერვისის მიმღებ მსმ-ებს შორის (27.5% vs 11.9%;  $p < 0.001$ ).

#### ნარკოტიკების და ალკოჰოლის გამოყენება

- ბოლო 12 თვის მანძილზე მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებათაგან ყველაზე ხშირად დასახელდა მარიხუანა (38.5%), ექსტაზი (11.3%), ამფეტამინი (11.2%) და სუბუტექსი (7.0%).
- ბოლო სქესობრივი კონტაქტისას რაიმე საშუალების ზემოქმედების ქვეშ იყო გამოკითხულ მსმ-თა 27.4% და ამ საშუალებებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა ალკოჰოლი (71.1%), მარიხუანა (27.7%), პოპერსი (6.3%), ჰეროინი (5.4%) და კოკაინი (5.3%).

#### დასკვნები და რეკომენდაციები

- 2023 წლის კვლევის მიხედვით მცირედ არის შემცირებული აივ ინფექციის გავრცელება 2018 წელთან შედარებით, თუმცა ეს განსხვავება არ არის სტატისტიკურად სარწმუნო. მკვეთრად განსხვავებულია C ჰეპატიტის გავრცელება წინამორბედ კვლევასთან შედარებით. თუმცა, 2018 წელს HCV გავრცელების მაჩვენებელი (1.8%), ქვეყანაში ზოგად პოპულაციაში გავრცელების (6%) მაჩვენებელზე სამჯერ ნაკლებია, რაც ძნელი ასახსნელია გამომდინარე იქიდან, რომ როგორც 2020 წელს მსოფლიოში 1221 კვლევის მეტა-ანალიზმა აჩვენა, მსმ პოპულაციაში HCV სეროპრევალენტობა ზოგად პოპულაციაზე უფრო მაღალია. მაღალია ასევე სიფილისის გავრცელება წინა კვლევის დროს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით. კერძოდ, 2023 წელს კვლევაში ჩართულ მსმ-თა 15.2%-ს, ხოლო 2018 წელს გამოკითხულ მსმ-თა 9.7%-ს ჰქონდა RPR კვლევაზე დადებითი შედეგი.

- საყურადღებოა არასრულწლოვან ასაკში (განსაკუთრებით საგანგაშოა ბავშვთა ასაკში) სქესობრივი კონტაქტების დაწყება, რაც რესპონდენტთა მესამედზე მეტმა აღნიშნა. ამ მიმართულებით უფრო გაღრმავებული კვლევის ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შეფასდეს არასრულწლოვანებში სქესობრივ კონტაქტებთან ასოცირებული ფაქტორები ჯანმრთელობის არასასურველი გამოსავლების პრევენციის მიზნით.
- დაბალია კონდომების გამოყენების მაჩვენებელი (მხოლოდ მესამედი იყენებს ყოველთვის), მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების ბენეფიციარებშიც. საყურადღებოა, რომ კონდომების გამოყენების მხრივ სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ბენეფიციარებსა და არაბენეფიციარებს შორის არ გამოვლინდა. განსაკუთრებით საყურადღებოა პრეზერვატივების გამოყენების არაადეკვატური მაჩვენებელი შემთხვევით და კომერციულ სქესობრივ პარტნიორებთან. ეს ნიშნავს, რომ კიდევ უფრო აქტიურად არის გასატარებელი საგანმანათლებლო აქტივობები სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და მათი პრევენციის შესახებ.
- საკმაოდ ხშირია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების სიმპტომების არსებობა, თუმცა გაზრდილია იმ მსმ-ების პროცენტი, ვინც ჩაიტარა სგგი ტესტირება.
- საგანგაშოა ის ფაქტი, რომ სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების სიმპტომების მქონეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიმართა არა სამედიცინო დაწესებულებას, არამედ თვითმკურნალობას, ექიმს ბინაზე ან ექიმბაშს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი რეგულატორული თუ საგანმანათლებლო აქტივობებია ჩასატარებელი, რადგან თვითმკურნალობა და ექიმბაშების „წამლები“ სერიოზულ რისკს უქმნის ცალკეულ ინდივიდთა ჯანმრთელობას და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დონეზეც უდიდესი პრობლემაა. განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ თვითმკურნალობის ან არატრადიციული მკურნალობის მიღების შემთხვევაში კონტაქტების კვლევა შეუძლებელია და ასევე საყურადღებოა სქესობრივი გზით გადამდები ზოგიერთი მიკროორგანიზმის (მაგალითად, გონორეას) მზარდი რეზისტენტობის საკითხი.



- მსმ-ებს შორის დაბალია აივ ინფექციის რისკის აღქმა. ძალიან მცირეა იმ მსმ-ების პროცენტი, ვინც თვლის, რომ იმყოფება აივ ინფექციის რისკის ქვეშ. ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს საინფორმაციო კამპანია, რათა მსმ-ების მიერ ადექვატურად იქნას შეფასებული ინფიცირების რისკი, რაც პრევენციული მეთოდების გამოყენების მნიშვნელოვანი ფაქტორია.
- დაბალია იმ რესპონდენტთა პროცენტული წილი, ვისაც გაუგია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისა და მკურნალობის უფასოდ ჩატარების შესაძლებლობის შესახებ. იმ ფონზე, როდესაც მკვეთრად არის ქვეყანაში შემცირებული C ჰეპატიტის პროგრამის მოცვა, ინფორმირებულობის ასეთი დაბალი დონე ამ ჯგუფში ზოგადად საქართველოში ელიმინაციის პროგრამის შესახებ მოსახლეობასთან კომუნიკაციის დიდ პრობლემაზე მიუთითებს.
- ასევე ძალიან დაბალია B ჰეპატიტზე ტესტირების და ვაქცინაციის მაჩვენებელი. შესაბამისად, აშკარაა ვირუსულ ჰეპატიტებზე მსმ პოპულაციაში საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვის და განხორციელების აუცილებლობა.
- სარისკო ქცევები ყველაზე გავრცელებულია, ხოლო ინფორმირებულობის დონე ყველაზე დაბალია ქუთაისში, შესაბამისად, ამ ქალაქში გასაძლიერებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობა ინფორმირებულობის გაზრდის და პრევენციის მიმართულებით.
- უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევის ფარგლებში მონაწილეთა ნაკლები პროცენტი იყო პრევენციული პროგრამების ბენეფიციარი, ვიდრე 2018 წლის კვლევისას. ეს, ცხადია, ვერ ჩაითვლება პრევენციული პროგრამების მოცვის შემცირების მაჩვენებლად, უბრალოდ, ამ კვლევაში პრევენციული პროგრამების უფრო მეტი არაბენეფიციარის ჩართვა მოხდა, ვიდრე ეს იყო წინამორბედი კვლევის დროს.
- პრევენციული პროგრამების ბენეფიციარებს შორის მნიშვნელოვნად მაღალია აივ ინფექციის (5-ჯერ) და სიფილისის (2-ჯერ) გავრცელება არაბენეფიციარებთან შედარებით (სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება), რაც შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ არასამთავრობო

ორგანიზაციებს მეტად მიმართავენ რომელიმე ინფექციის დიაგნოზის დასმის შემდეგ. ვინაიდან კითხვარი არ ითვალისწინებდა დროითი თანმიმდევრობის დადგენას (ჯერ ინფექციის დიაგნოზი დაისვა თუ ჯერ პრევენციული პროგრამებით მოსარგებლე იყო რესპონდენტი, მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე დასკვნების გაკეთება შეუძლებელია). შესაბამისად, გასაძლიერებელია მუშაობა იმ მიმართულებით, რომ პრევენციული პროგრამებით მოცვა გაძლიერდეს არაინფიცირებულ მსმ-ებში. ასევე, მნიშვნელოვნად მაღალია ბენეფიციარების მიმართ ძალადობის შემთხვევები არაბენეფიციარებთან შედარებით. ესეც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ძალადობის მსხვერპლი მსმ-ები მეტად მიმართავენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. აქაც, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო შეუძლებელია დროითი თანმიმდევრობის დადგენა.

## შესავალი

აივ ინფექცია კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელმა სამეცნიერო მიღწევებმა, სამედიცინო ტექნოლოგიების პროგრესმა, პრევენციისა და მკურნალობის სერვისების ფართოდ განვითარებამ განაპირობა აივ-ის გლობალური ტვირთის შემცირება, აივ ინფექციის ახალი შემთხვევები გაიზარდა ზოგიერთ რეგიონში [1]. მაგალითად, აივ-ის ახალი შემთხვევები 48%-ით გაიზარდა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში 2010 წლიდან 2021 წლამდე [2]. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ დადგენილია, რომ 2022 წელს 1.7 მილიონი ადამიანი დაინფიცირდა აივ-ით გლობალურად [1].

2020 წელს მსოფლიომ დაისახა ამბიციური მიზნები 95-95-95 აივ ეპიდემიის დასასრულებლად 2030 წლისთვის [3]. მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, აღნიშნული მიზნების მიღწევა ნაკლებად სავარაუდოა აივ-ის პრევენციული და სამკურნალო სერვისების იმპლემენტაციის აქსელერაციის გარეშე. სოციალური პრობლემები, აივ-თან დაკავშირებული სტიგმა, დისკრიმინაციული გენდერული და კულტურული ნორმები, სიღარიბე და სხვა უთანასწორობა ქმნის ბარიერს პრევენციულ და სამკურნალო სერვისებზე ხელმოსაწვდომობის კუთხით აივ-ით მცხოვრები ადამიანებისთვის, განსაკუთრებით საკვანძო პოპულაციებში, მათ შორის მამაკაცებში, რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან (მსმ) [4].

ზოგად მოსახლეობასთან შედარებით, აივ-ით ინფიცირების რისკი საშუალოდ 26-ჯერ მეტია მსმ-ებში [5]. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შიდსის პროგრამის (UNAIDS) 2023 წლის მონაცემების მიხედვით, აივ-ის გლობალური პრევალენტობა ზრდასრულ ზოგად მოსახლეობაში 0.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი მსმ პოპულაციაში 7.7%-ს აღწევს [6]. ამრიგად, საკვანძო პოპულაციების პრიორიტეტიზაცია აივ-თან ბრძოლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ეპიდემიაზე. ეფექტური პრევენციული სერვისების განხორციელება საკვანძო პოპულაციებში, მათ შორის მსმ-ებში, შესაძლებელია განხორციელდეს კომბინირებული ბიოსამედიცინო და ქცევითი პრევენციული ღონისძიებების იმპლემენტაციით, რაც მოიცავს სექსუალურ განათლებას, კონდომებზე ხელმოსაწვდომობის უზრუნველყოფას, ზიანის შემცირების სერვისებს, მამაკაცების ნებაყოფლობით წინადაცვეთას, პრე-ექსპოზიციურ პროფილაქტიკას (PrEP) და ა.შ [7]. აღნიშნული ინტერვენციების

განსახორციელებლად, ასევე, აუცილებელია სტიგმისგან თავისუფალი და არადისკრიმინაციული გარემოს უზრუნველყოფა.

საქართველო აივ ინფექცია/შიდსის დაბალი პრევალენტობის მქონე ქვეყანაა. აივ-ის გავრცელების მაჩვენებელი ზრდასრულ ზოგად მოსახლეობაში 0.4%-ს შეადგენს [8]. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის 2023 წლის 30 ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია აივ ინფექციის 10 288 შემთხვევა, საიდანაც დაახლოებით 75% მამაკაცია. ინფიცირებულებიდან თითქმის ნახევარს (48.4%) განუვითარდა შიდსი, ხოლო 21.1% გარდაიცვალა. საქართველოში 2022 წლიდან აივ ინფექციის ახალი შემთხვევების მზარდი რაოდენობა აღინიშნება [9]. ზოგად მოსახლეობაში აივ-ის დაბალი გავრცელების მიუხედავად, ინფექციის მაღალი კონცენტრაცია საკვანძო პოპულაციებში, მათ შორის მსმ-ებში, წარმოადგენს ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას და უდიდეს გამოწვევას 2030 წლისთვის შიდსის ეპიდემიის დასრულების მიზნის მისაღწევად. ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებული ინტეგრირებული ბიომარკერის კომპონენტით ქცევაზე ზედამხედველობის კვლევები (IBBSS) აჩვენებს, რომ აივ-ის პრევალენტობა საგანგაშოდ მაღალია მსმ-ებში (25.1% 2015 წელს და 21.5% 2018 წელს) [10,11].

საკვანძო პოპულაციებში აივ-ის პრევალენტობის, აივ ინფექციის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორების და აივ პრევენციული ინტერვენციების და პროგრამების შესაფასებლად, მიზანშეწონილია ბიომარკერული ქცევითი კვლევების გარკვეული პერიოდულობით ჩატარება. საქართველოში, ქცევაზე ზედამხედველობის ინტეგრირებული კვლევები ბიომარკერის კომპონენტით მსმ-ებში ტარდება 2002 წლიდან. ბოლო კვლევა ჩატარდა 2018 წელს, საქართველოს სამ ქალაქში, კერძოდ თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში [11].

წინამდებარე ანგარიშში აღწერილია მორიგი ქცევაზე ზედამხედველობის ინტეგრირებული კვლევა ბიომარკერის კომპონენტით მსმ-ებში, რომელიც 2023 წელს ჩატარდა ქ. თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. აღნიშნული კვლევა ჩატარდა მსმ პოპულაციის ზომის შეფასების კვლევასთან ერთად, რომლის შედეგებიც ცალკე ანგარიშის სახით გამოქვეყნდება.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მამაკაცებში, რომლებსაც აქვთ სქესობრივი კავშირი მამაკაცებთან (მსმ), აივ ინფექციის გავრცელების ტენდენციის და სარისკო ქცევების შეფასება.

კვლევის ამოცანები იყო მსმ-ებში:

- აივ ინფექციის, B ჰეპატიტის, C ჰეპატიტის და სიფილისის გავრცელების შეფასება;
- აივ ინფექციასთან დაკავშირებული სარისკო სქესობრივი ქცევების განსაზღვრა;
- აივ ინფექცია/შიდსის, C და B ჰეპატიტების შესახებ ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შეფასება;
- სტიგმის, დისკრიმინაციის და ძალადობის შეფასება;
- სამედიცინო სერვისებით და პრევენციული პროგრამებით სარგებლობის შეფასება;
- აივ ინფექცია/შიდსის და სგგი-ს შესახებ სასურველი საინფორმაციო წყაროების განსაზღვრა.

## კვლევის მეთოდები

### კვლევის დიზაინი

კვლევა ჩატარდა ჯვარედინ-სექციური დიზაინით. საკვლევი სუბიექტების კვლევაში ჩართვა განხორციელდა რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის (Respondent Driven Sampling, RDS) მეთოდით. კვლევა შედგებოდა ქცევითი და ბიომარკერული კომპონენტებისგან. ქცევითი კომპონენტი მოიცავდა რესპონდენტების პირისპირ გამოკითხვას კვლევისთვის შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. ბიომარკერული კვლევის ფარგლებში განხორციელდა გამოკითხული პირების ტესტირება აივ ინფექციაზე, სიფილისზე, B და C ჰეპატიტებზე.

### კვლევის ადგილი

კვლევა ჩატარდა საქართველოს სამ ქალაქში: თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

### *შენარჩევის ზომა*

შენარჩევის ზომა თითოეული ქალაქისთვის განისაზღვრა მსმ-ებში 2018 წელს ჩატარებული ქცევაზე ზედამხედველობის ინტეგრირებული კვლევის შენარჩევის რაოდენობებთან ზუსტი შესაბამისობით. კვლევაში მონაწილე მსმ-ების მინიმალურ რაოდენობად განისაზღვრა 650 ადამიანი, მათ შორის თბილისში 300 მსმ-ი, ბათუმში 200 მსმ-ი და ქუთაისში 150 მსმ-ი. ჯამში, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 653-მა პირმა. ქალაქების მიხედვით კვლევის მონაწილეთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი - 302 მონაწილე, ბათუმი - 201 მონაწილე, ხოლო ქუთაისი - 150 მონაწილე.

### *კვლევის მონაწილეთა შერჩევა*

#### *კვლევის მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები*

პოტენციური საკვლევი სუბიექტების შერჩევა და კვლევაში ჩართვა ხდებოდა ჩართვის და გამორიცხვის შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ჩართვის კრიტერიუმები:

- ასაკი 18 წელი ან მეტი
- მამრობითი ბიოლოგიური სქესი
- სქესობრივი (როგორც პასიური, ისე აქტიური) კონტაქტი (ანალური ან ორალური) სხვა მამაკაცთან უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში
- საქართველოს მოქალაქეობა
- კვლევისთვის შერჩეულ ქალაქში ცხოვრება
- ქართულ ენაზე შედგენილ კითხვარზე პასუხის უნარი
- კვლევაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობის (კვლევისთვის სპეციალურად შემუშავებული ინფორმირებული თანხმობის ფორმის დადასტურება ხელმოწერით) უნარი
- თანხმობა კვლევის ორივე კომპონენტში (ქცევითი და ბიომარკერული კომპონენტები) მონაწილეობაზე

გამორიცხვის კრიტერიუმები:

- მიმდინარე კვლევაში უკვე მონაწილეობის მიღება

- უარი კვლევის რომელიმე კომპონენტში მონაწილეობაზე
- ინფორმირებული თანხმობის უუნარობა (მათ შორის ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამო)
- მოქმედი კუპონის არქონა

### კვლევის მონაწილეთა რეკრუტმენტი

რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევა (Respondent-driven Sampling , RDS) არის მეთოდი, რომელიც გამოიყენება რთულად მისაწვდომი, სტიგმატიზებული ქცევების მქონე პოპულაციების რეკრუტირებისთვის, როგორცაა მსმ-ები. შერჩევის RDS მეთოდი მოიცავს ე.წ. „თოვლის გუნდის“ პრინციპით შერჩევას (რაც გულისხმობს კვლევის მონაწილეების რეკრუტირებას სხვა მონაწილეების მიერ) მათემატიკურ მოდელირებასთან ერთად, რაც შენარჩევის შეწონვის და რანდომული მეთოდით შერჩეულ ნიმუშთან შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მიახლოების საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ RDS მეთოდოლოგიას აქვს შეზღუდვები, როგორცაა შერჩევის ცდომილება, ის ფართოდ გამოიყენება რთულად მიღწევადი პოპულაციების კვლევაში ჩასართავად.

კვლევის მონაწილეთა რეკრუტმენტი დავიწყეთ საწყისი სუბიექტების ე.წ. „მარცვლების“ მიზანმიმართული შერჩევით, რომლებიც წარმოადგენდნენ სამიზნე პოპულაციას და კვლევის პირველ მონაწილეებს. კვლევაში ჩართვის და გამორიცხვის კრიტერიუმების გარდა, „მარცვლების“ შერჩევის დროს ხდებოდა დამატებითი ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა განსხვავებული დემოგრაფიული და სოციალური მახასიათებლები, ასევე, წვდომა მსმ-ების სხვადასხვა ჯგუფთან, რაც უზრუნველყოფდა შენარჩევის მრავალფეროვნებას. სულ კვლევისთვის შეირჩა 15 მარცვალი: თბილისში 7, ბათუმში 5 და ქუთაისში 3 მარცვალი.

მარცვლების შერჩევა განახორციელა მსმ-ებთან მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ორგანიზაციებმა: ა(ა)იპ თანასწორობის მოძრაობა და ა(ა)იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა".

**ცხრილი 1. „მარცვლები“ სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები ქალაქების მიხედვით**

<b>მახასიათებლები</b>	<b>თბილისი</b>	<b>ბათუმი</b>	<b>ქუთაისი</b>
<b>ასაკობრივი ჯგუფები</b>			
<25 წლის	5	2	1
≥25 წლის	2	3	2
<b>განათლების დონე</b>			
სრული საშუალო/კოლეჯი/პროფ. სასწავლებელი	0	1	0
სტუდენტი	1	1	0
უმადლესი/არასრული უმადლესი	6	3	3
<b>ოჯახური მდგომარეობა</b>			
დაქორწინებული	0	0	1
არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	7	5	2
<b>დასაქმების სტატუსი</b>			
მუდმივი სამუშაო	4	3	2
პერიოდული სამუშაო	2	0	1
უმუშევარი	1	2	0
<b>ყოველ თვიური შემოსავალი</b>			
<300 ლარი	1	1	0
300-700 ლარი	0	1	1
700-1000 ლარი	0	1	2
>1000 ლარი	6	1	0
უარი პასუხზე	0	1	0
<b>სულ</b>	<b>7</b>	<b>5</b>	<b>3</b>

შერჩეული „მარცვლები“ კვლევაში ერთვებოდნენ სპეციალურად შემუშავებულ ინფორმირებული თანხმობის ფორმაზე ხელის მოწერის შემდეგ. კვლევაში ჩართვის შემდეგ, „მარცვლები“ მონაწილეობდნენ ქცევით (ინტერვიუება) და ბიომარკერულ (სისხლის ნიმუშის აღება) კომპონენტებში. მას შემდეგ, რაც



სრულდებოდა ზემოთ აღნიშნული პროცედურები, თითოეულ „მარცვალს“ ეძლეოდა სპეციალური, უნიკალური კოდის მქონე სამი კუპონი, რომ კვლევაში ჩასართავად მოეზიდა სამი მსმ-ი თავისი სოციალური ქსელიდან. „მარცვლებს“ უტარდებოდათ დეტალური ინსტრუქტაჟი, თუ როგორ მოეზიდათ კვლევის პოტენციური მონაწილეები. ყველა კუპონს ჰქონდა სერიული ნომერი და მითითებული იყო კვლევის ჩატარების ადგილი და ინფორმაცია ფულადი ჯილდოს შესახებ. „მარცვლები“ თავიანთ თანასწორებს სთავაზობდნენ კვლევაში მონაწილეობას და მათ, ვინც დათანხმდებოდა, გადასცემდნენ კუპონს, რომელიც უნდა წარმოედგინათ კვლევაში ჩასართავად. საწყისი მარცვლების მიერ რეკრუტირებული სამი მსმ-იდან თითოეული მათგანი, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა კვლევაში, წარმოადგენდა რეკრუტმენტის პირველ ტალღას. აღნიშნულ მონაწილეებსაც ეძლეოდათ კუპონები, რათა კვლევაში ჩასართავად მოეზიდათ სამი სხვა მსმ-ი თავიანთი სოციალური ქსელიდან, რომლებიც წარმოადგენენ რეკრუტმენტის მეორე ტალღას. მეორე ტალღის მონაწილეებსაც, ანალოგიურად, ეძლეოდათ სამი კუპონი, რათა მოეზიდათ სამი სხვა მსმ-ი და ეს პროცესი გრძელდებოდა მანამ, სანამ არ იქნა მიღწეული კვლევის მონაწილეების სასურველი რაოდენობა. რეკრუტირების კუპონების გაცემა წყდებოდა რესპონდენტების სასურველი რაოდენობის მიღწევამდე ცოტა ხნით ადრე. შენარჩვევის სასურველი ზომის მიღწევა მოხერხდა კვლევისთვის შერჩეულ სამივე ქალაქში. „მარცვლებიდან“ მიღებული ტალღების რაოდენობა განსხვავებული იყო ქალაქების მიხედვით (ცხრილი 2).

**ცხრილი 2. ინფორმაცია რეკრუტირების შესახებ**

კვლევის არეალი	ტალღების მაქსიმალური რაოდენობა	გაცემული კუპონების ჯამური რ-ბა	დაბრუნებული კუპონების რ-ბა	“მარცვლების” მიერ რეკრუტირებულ რესპონდენტთა რ-ბა
თბილისი	10	817	295	295
ბათუმი	15	570	196	196
ქუთაისი	11	426	147	147
<b>ჯამი</b>		<b>1813</b>	<b>638</b>	<b>638</b>

კვლევის მონაწილეთა რეკრუტმენტი ითვალისწინებდა ორმაგ წამახალისებელ სისტემას: პირველადი ჯილდო კვლევაში მონაწილეობისთვის და მეორადი

ჯილდო კვლევაში სხვა პირების რეკრუტირებისთვის. პირველადი ჯილდო შეადგენდა 40 ლარს (დაახლოებით 14 აშშ დოლარი), ხოლო მეორადი ჯილდო - 15 ლარს (დაახლოებით 5.5 აშშ დოლარი) კვლევაში ყოველი ახალი რესპონდენტის ჩართვისთვის.

კუპონებთან დაკავშირებული მონაცემების მართვა ხდებოდა MS Excel-ის კომპიუტერულ პროგრამაში, სპეციალურად კვლევისთვის შემუშავებულ კუპონების მართვის ბაზაში.

კვლევაში ჩართვამდე, თითოეული პოტენციური მონაწილე გადიოდა ვერიფიკაციის პროცედურას, რაც იძლეოდა საშუალებას შეგვემოწმებინა, რომ ნამდვილად აკმაყოფილებდა ინდივიდი კვლევაში ჩართვის კრიტერიუმებს. აღნიშნული პროცედურა მოიცავდა პოტენციურ საკვლევ სუბიექტთან არაოფიციალურ გასაუბრებას პარტნიორების მოძიების ადგილების და საშუალებების, სქესობრივი პრაქტიკის, პარტნიორთა ცვლის სიხშირის და ჰომოსექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ.

კვლევაში ჩართვის დროს თითოეულ მონაწილეს ენიჭებოდა 15-ნიშნა უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც ფიქსირდებოდა მონაცემთა საიდენტიფიკაციო ბაზაში სუბიექტის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული უნიკალური კოდის გენერირება ხდებოდა საკვლევ სუბიექტის სახელის, გვარის, დედის და მამის სახელის, დაბადების ადგილის, სქესის და ა.შ. მონაცემების მიხედვით.

### **მონაცემების შეგროვება**

საველე სამუშაოები სამივე ქალაქში დაიწყო 2023 წლის 20 ივლისს და დასრულდა 2023 წლის 30 ოქტომბერს. საველე მუშაობა ჩაატარა შემდეგმა ორგანიზაციებმა: ა(ა)იპ ჯანმრთელობის კვლევის კავშირი (თბილისი), ა(ა)იპ თანასწორობის მოძრაობა (თბილისი, ქუთაისი და ბათუმი), ა(ა)იპ იმერეთის მედიცინის განვითარების ცენტრი (ქუთაისი), ა(ა)იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა" (ბათუმი).

### *ქვევითი კომპონენტი*

მონაცემების შეგროვება განხორციელდა ინდივიდუალური, პირისპირ ინტერვიუების საშუალებით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა წინამორბედი IBSS კვლევის დროს მსმ-ების ქვევის შესასწავლად გამოყენებული სტრუქტურირებული კითხვარი. მიმდინარე კვლევის სავსე სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული კითხვარი ადაპტირდა დარგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და დაემატა გარკვეული შეკითხვები, მაგალითად, C და B ჰეპატიტებთან დაკავშირებული ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შესაფასებლად. მსმ პოპულაციის ზომის განსაზღვრის კვლევა ჩატარდა ქვევაზე ზედამხედველობის კვლევასთან ერთად, შესაბამისად, კითხვარი მოიცავდა მსმ პოპულაციის ზომის შეფასების კითხვებსაც.

კვლევის მონაწილეებს ინტერვიუს უტარებდნენ სპეციალურად ამ კვლევისთვის გადამზადებული ინტერვიუერები. ინტერვიუერები შეირჩნენ ა(ა)იპ ჯანმრთელობის კვლევის კავშირის, ა(ა)იპ თანასწორობის მოძრაობის, ა(ა)იპ იმერეთის მედიცინის განვითარების ცენტრის და ა(ა)იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"-ს თანამშრომლებისგან, რომლებსაც ჰქონდათ მსმ-ებთან მუშაობის და მსგავსი კვლევების ჩატარების გამოცდილება. კვლევის დასაწყისში ყველა ინტერვიუერმა გაიარა ტრენინგი, რომელიც მოიცავდა ინსტრუქტაჟს, პრაქტიკულ სამუშაოს და კვლევის ყველა პროცედურის პილოტირებას, როგორცაა, საკვლევი პირების კვლევაში ჩართვა, ინფორმირებული თანხმობის მოპოვება, ინტერვიუს ჩატარება და ა.შ. ტრენინგის განმავლობაში ყველა ინტერვიუერს მიეცა საშუალება, განეხილა კვლევის პროტოკოლი და ინსტრუმენტები. ტრენინგის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კვლევის ეთიკურ მხარეს, კერძოდ განხილულ იქნა ლგბტ თემის, გენდერის და სექსუალობის, გეი და ბისექსუალი მამაკაცების სუბპოპულაციის საკითხები; აივ/შიდსთან დაკავშირებული სტიგმა, დისკრიმინაცია და აქტივიზმი; ლგბტ თემთან ეთიკური კომუნიკაციის სტრატეგია და ფორმები, ანონიმურობისა და კონფიდენციალობის საკითხები.

ინტერვიუერები პირისპირ ინტერვიუებს ატარებდნენ პრივატულ გარემოში კონფიდენციალობის სრული დაცვით. ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 30-40 წუთს. ინტერვიუები ტარდებოდა ქართულ ენაზე, ინტერვიუერის მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული კითხვარის გამოყენებით.

გამოკითხვის შედეგად კვლევის მონაწილეებისგან შეგროვდა შემდეგი სახის ინფორმაცია: სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები; ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება; სქესობრივი ცხოვრების ისტორია; სქესობრივ პარტნიორთა რიცხვი და ტიპები; კომერციულ სექსში ჩართულობა; სარისკო სქესობრივი ქცევები; სხვადასხვა სქესობრივი პრაქტიკა; პრეზერვატივის და ლუბრიკანტების გამოყენება; სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან (სგგი) დაკავშირებული ცოდნა, პრაქტიკა და სამედიცინო სერვისებით სარგებლობა; აივ/შიდსის, B და C ჰეპატიტების შესახებ ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა; სტიგმის, დისკრიმინაციის და ძალადობის პრაქტიკა; სგგი-ს შესახებ ინფორმაციის მიღების სასურველი წყაროები.

### *ბიომარკერული კომპონენტი*

კვლევის ბიომარკერული კომპონენტი მოიცავდა სისხლის ნიმუშის ტესტირებას აივ ინფექციაზე, B ჰეპატიტზე, C ჰეპატიტსა და სიფილისზე.

ქცევითი კომპონენტის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს სთხოვდნენ აივ-ზე, სიფილისზე, B და C ჰეპატიტებზე ტესტირებისთვის ნებაყოფლობით სისხლის ნიმუშების ჩაბარებას, რომელიც ინტერვიუს ჩატარების ადგილზევე იყო ორგანიზებული ყველა ქალაქში. საკვლევი სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში, პრე-ტესტ კონსულტირების შემდეგ, გამოცდილი ექთანი იღებდა სისხლის სინჯს 3-5 მლ-ის ოდენობით. ნიმუშების კოდირება ხდებოდა კვლევის ფარგლებში მინიჭებული უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრისა და თხუთმეტნიშნა კოდის გამოყენებით. ორმაგი კოდირების სისტემა საშუალებას იძლეოდა მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი ნიმუშსა და კითხვარს შორის კავშირის დაკარგვის რისკები.

სისხლის ნიმუშები იგზავნებოდა კლინიკა ნეოლაბის თბილისის ფილიალის ლაბორატორიაში. თუკი სისხლის ტრანსპორტირება ვერ ხერხდებოდა იმავე დღეს, ხდებოდა აღებული ნიმუშების ცენტრიფუგირება და შრატი ინახებოდა მაცივარში 4-8°C-ზე.

აივ ინფექციაზე სკრინინგისთვის გამოიყენებოდა სწრაფი ტესტები (On Site HIV1/2 Ab Plus Combo Rapid test, CTK Biotech) ან იმუნოფერმენტული ანალიზი (Abbott, HIV Ag/Ab Combo Reagent Kit, ARCHITECT i1000SR). აივ ინფექციაზე კონფირმაციული ტესტირება ტარდებოდა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში.

C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულებზე სკრინინგი ტარდებოდა სწრაფი ტესტებით (On Site HCV Ab Plus Combo Rapid test, CTK Biotech) ან იმუნოფერმენტული ანალიზით (ELISA HCV Ab – CVAB, Diagnostic BioProbes Srl- Dia-pro).

B ჰეპატიტის ვირუსის ზედაპირულ ანტიგენზე (HBsAg) და ბირთვის საწინააღმდეგო ანტისხეულებზე (anti-HBc) სკრინინგი ტარდებოდა იმუნოფერმენტული ანალიზით (ELISA HBsAg and anti-HBc(total) one Version ULTRA, Diagnostic BioProbes Srl- Dia-pro; Abbott, HBs Ag Qual II Reagent Kit, ARCHITECT i1000SR).

სიფილისზე სკრინინგი ტარდებოდა ტრადიციული ალგორითმით: თავდაპირველად ტესტირება სწრაფი პლაზმური რეაგინით (Syphilis RPR test, HUMAN), ხოლო დადებითი შედეგის შემთხვევაში, დამადასტურებელი ტრეპონემური ტესტი, როგორცაა T. pallidum ჰემაგლუტინაციის ანალიზი (Syphilis TPHA liquid, HUMAN).

კვლევის შედეგების შეტყობინება მონაწილისთვის ხდებოდა 1 კვირის ვადაში. კვლევის მონაწილეები, რომლებსაც კონფირმაციული ტესტირებით დაუდასტურდათ აივ ინფექცია, B ჰეპატიტი, C ჰეპატიტი ან სიფილისი, რეფერირდებოდნენ შესაბამის სადიაგნოსტიკო და სამკურნალო დაწესებულებებში.

### კვლევის ეთიკა

კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. თითოეულ მონაწილეს მიეწოდებოდა ინფორმაცია კვლევის მიზნის, ამოცანების, მეთოდების, პროცედურების, რისკებისა და სარგებლის შესახებ. ყველა სუბიექტი, რომელიც თანხმდებოდა კვლევაში მონაწილეობაზე, ხელს აწერდა ინფორმირებული თანხმობის ფორმას და მხოლოდ ამის შემდეგ ერთვებოდა კვლევაში. დაცული იყო ანონიმურობის პრინციპი. მონაწილეთა ვინაობა არ ფიქსირდებოდა, მთელს დოკუმენტაციაზე მხოლოდ რესპონდენტის 15-ნიშნა კოდი იყო აღნიშნული. აივ ინფექციაზე და C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე დადებითი სკრინინგ ტესტის შემთხვევაში, კონფირმაციული ტესტირებისთვის ხდებოდა მონაწილის საიდენტიფიკაციო მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) მოპოვება.

კვლევის დაწყებამდე, კვლევის პროტოკოლი და ინსტრუმენტები განიხილა და დაამტკიცა ჯანმრთელობის კვლევის კავშირის ეთიკურმა კომისიამ (IRB00009520; IORG005619).

## მონაცემთა ანალიზი

მონაცემების შეყვანა, მართვა და სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური პაკეტის SPSS v23 გამოყენებით. აღწერიითი სტატისტიკური მეთოდები იქნა გამოყენებული სამიზნე პოპულაციებში შესწავლილი ცვლადების დასახასიათებლად. ბივარიაციული ანალიზით ერთმანეთს შედარდა სხვადასხვა საკვლევი ჯგუფი, სადაც სტუდენტის t-ტესტი იქნა გამოყენებული რაოდენობრივი ცვლადების შესადარებლად, ხოლო ხი-კვადრატ ტესტი - კატეგორიზებული ცვლადების შესადარებლად. შერჩეული ინდიკატორების შედარება განხორციელდა 2018 წლის IBSS კვლევის მონაცემებთან.

მსმ-ების სოციალური ქსელების სტრუქტურები და რეკრუტირების მონაცემები გაანალიზდა ქსელების ვიზუალიზაციის სპეციალური პროგრამის (NetDraw 2.179) გამოყენებით.

RDS მონაცემების მისაღებად, შეგროვილი მონაცემების შეყვანა მოხდა RDS-Analyst 3.6.0 პროგრამაში, სადაც უნივარიაციული ანალიზი ჩატარდა Gile's SS (Sequential Sampler) მეთოდის გამოყენებით.

## შედეგები

### *სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები*

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 653 მამაკაცმა, რომელსაც სქესობრივი კონტაქტი აქვს მამაკაცთან (მსმ), რომელთაგან 302-ის (46.2%) გამოკითხვა ჩატარდა თბილისში, 201-ის (30.8%) ბათუმში, ხოლო 150-ის (23.0%) ქუთაისში. მონაწილეთა ერთი მესამედი (30.7%) იყო  $\leq 24$  წლის. არასრული საშუალო განათლება აქვს გამოკითხული მსმ-ების 16.7%-ს, სრული საშუალო/კოლეჯი/პროფესიული სასწავლებელი - 30.9%-ს, არასრული უმაღლესი - 12%-ს და უმაღლესი - 33.4%-ს, სტუდენტია 5.7%, ხოლო განათლება არ აქვს მიღებული კვლევის მონაწილეთა 1.3%-ს. რესპონდენტების 10.2% იმყოფება ქორწინებაში, 14.6%

განქორწინებული/განცალკევებულია, 3.5% ქვრივია, ხოლო 71.7% არასოდეს ყოფილა ქორწინებაში. კვლევაში მონაწილე ინდივიდთაგან თითქმის ნახევარს (45.5%) აქვს მუდმივი სამუშაო, დროებით სამუშაოს ასრულებს 26.5%, ხოლო უმუშევარია 28.0%. ≤300 ლარის ოდენობით თვიური შემოსავალი აქვს 15.4%-ს, 1000 ლარზე მეტი კი - 29.8%-ს. გამოკითხულ მსმ-თა 76.5%-მა პირველად მიიღო მსგავს კვლევაში მონაწილეობა, ხოლო 17.1%-ს, 1.0%-ს და 0.5%-ს 2018, 2015 და 2012 წლებში ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა მსგავს კვლევაში, შესაბამისად (ცხრილი A).

#### *ინფექციების გავრცელება*

გამოკითხულ მსმ-ების საკვლევ შენარჩევში აივ-ის გავრცელება იყო 15.3%. RPR კვლევაზე დადებითი შედეგი დაფიქსირდა საკვლევ პირების 15.2%-ში. კონფირმაციის მიზნით RPR (+) ინდივიდებში ჩატარდა TPHA კვლევა, რომლის შედეგადაც სიფილისის დადასტურდა 93.9%-ში. მსმ-ებში B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტისხეულების (anti-HBc) გავრცელების მაჩვენებელმა შეადგინა 21.3%, ხოლო აქტიური B ჰეპატიტი (HBsAg პოზიტიური) აღმოაჩნდა საკვლევ ინდივიდების 3.1%-ს (ცხრილი A1).

#### *ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება*

გამოკითხულთაგან 2.4% სულ ცოტა კვირაში ერთხელ მაინც იღებს ალკოჰოლს უკანასკნელი 1 თვის განმავლობაში, ხოლო 22.6% არ იღებს ალკოჰოლს. ბოლო 12 თვის მანძილზე მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებათაგან ყველაზე ხშირად დასახელდა მარიხუანა (38.5%), ექსტაზი (11.3%), ამფეტამინი (11.2%) და სუბუტექსი (7.0%), ხოლო ყველაზე იშვიათად წიწვები (0.6%) და GHB/GBL (0.8%). კვლევის მონაწილეთა 5.8%-ს უკანასკნელი 1 წლის მანძილზე ჰქონდა ნარკოტიკების ინტრავენური გზით მოხმარების მინიმუმ 1 შემთხვევა და 2.2%-მა უკანასკნელი მოხმარებისას გამოიყენა სხვის მიერ უკვე მოხმარებული ნემსი/შპრიცი. გამოკითხულთაგან 5.3%-ს ჰქონია დაუცველი სექსი ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარებელთან ბოლო 12 თვის მანძილზე და 5.0%-ს არ ახსოვს ჰქონია თუ არა (ცხრილი B).

## სქესობრივი ქცევა

### პარტნიორთა რიცხვი და ტიპები

კითხვაზე „როგორი სქესობრივი პარტნიორი ხართ“ 15.5%-მა უპასუხა „მიმღები“ 33.0%-მა „შემღწევი“, 55.0%-მა „ორივე, მიმღებიც და შემღწევიც“, ხოლო 1.9%-მა უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე. ბოლო სქესობრივი კონტაქტისას რაიმე საშუალების ზემოქმედების ქვეშ იყო გამოკითხულ მსმ-თა 27.4% და ამ საშუალებებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა ალკოჰოლი (71.1%), მარიხუანა (27.7%), პოპერსი (6.3%), ჰეროინი (5.4%) და კოკაინი (5.3%). 14.1%-ს ბოლო 12 თვის განმავლობაში არ ჰყავდა რეგულარული კაცი პარტნიორი, 41.9%-ს 1 რეგულარული კაცი პარტნიორი ჰყავდა, 32.2%-ს - 2-3, ხოლო 8.8%-ს - სამზე მეტი. 1-3 შემთხვევითი კაცი პარტნიორი ჰყავდა მეხუთედს (21.7%), ხოლო >3 - 55.2%-ს. რაც შეეხება კომერციული კაცი პარტნიორების რიცხვს უკანასკნელი 1 წლის მანძილზე, უმეტესობა (80.3%) ამბობს, რომ არ ჰყოლია, 8.6%-ს 1-5-მდე პარტნიორი ჰყავდა, ხოლო 1.1%-ს ხუთზე მეტი.

პირველად ანალური სექსი  $\leq 10$  წლის ასაკში ჰქონდა რესპონდენტთა 0.9%-ს, 11-13 წლის ასაკში 2.7%-ს, 14-17 წლის ასაკში 30.7%-ს,  $\geq 18$  წლის ასაკში 64.0%-ს, ხოლო 1.7%-მა უარი განაცხადა ამ ინფორმაციის მოწოდებაზე.

49.7%-ს ბოლოს ანალური სექსი ერთ რეგულარულ პარტნიორთან ჰქონდა, 49.0%-ს ერთ შემთხვევით პარტნიორთან, 0.7%-ს კომერციულ პარტნიორთან, ხოლო 0.1%-ს რამდენიმესთან ერთად (ჯგუფური სექსი). ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტისას კონდომი არ გამოიყენა კვლევის მონაწილე მსმ-ების 34.0%-მა. კითხვაზე „ზოგადად, რა სიხშირით იყენებდით თქვენ და თქვენი კაცი პარტნიორები კონდომს ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში“ 39.7% პასუხობს „ყოველთვის“, ხოლო 13.9% პასუხობს, რომ არასდროს იყენებდა კონდომს. სხვა ქვეყანაში კაც პარტნიორთან სექსის პრაქტიკა ჰქონდა რესპონდენტთა 23.3%-ს და კონდომი არ გამოუყენებია 67.4%-ს. კვლევის მონაწილეთა 5.4%-მა იცის, ხოლო 3.2% ეჭვობს, რომ კაცი პარტნიორი, რომელთანაც ბოლოს ჰქონდათ ანალური სექსი, იყო აივ-ინფიცირებული (ცხრილი C).

### რეგულარული მამრობითი სქესის პარტნიორები

კვლევის მონაწილეთა 42.0%-ს ბოლო 12 თვის მანძილზე რეგულარულ კაც პარტნიორთან ანალური სექსის 1 შემთხვევა ჰქონდა, 28.8% და 9.5%-ს - 2-3 და >3



პარტნიორთან, შესაბამისად, ხოლო 3.6%-ს - არ ჰქონია. ბოლო სექსის დროს რეგულარულ კაც პარტნიორთან კონდომი გამოიყენა მხოლოდ 51.3%-მა. კონდომის არ გამოყენების დასახელებულ მიზეზებს შორის ყველაზე ხშირი იყო „არ მივიჩნიე საჭიროდ“ (39.3%), „არ მომწონს კონდომი“ (17.3%) და „არ გვქონდა“ (12.5%). კითხვაზე „ზოგადად, რა სიხშირით იყენებდით თქვენ და თქვენი რეგულარული კაცი პარტნიორი/პარტნიორები კონდომს ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში“ 31.1% პასუხობს „ყოველთვის“, 16.6%-„ხშირად“, 17.6% -„ხანდახან“ და 13.2%-„არასოდეს“ (ცხრილი D).

#### *შემთხვევითი მამრობითი სექსის პარტნიორები*

რესპონდენტების 44.7%-ს, ბოლო 12 თვის მანძილზე, 1-5-მდე შემთხვევით პარტნიორთან ჰქონდა სექსი, 29.7%-ს - 5-ზე მეტ შემთხვევით პარტნიორთან, ხოლო 23.6%-ს არ ჰქონია სექსი შემთხვევით სქესობრივ პარტნიორ კაცთან. ბოლო სექსის დროს შემთხვევით კაც პარტნიორთან კონდომი გამოიყენა მხოლოდ 57.5%-მა. კონდომის არ გამოყენების დასახელებულ მიზეზებს შორის ყველაზე ხშირი იყო „არ გვქონდა“ (33.7%) და „პარტნიორის უარი“ (29.5%). კითხვაზე „ზოგადად, რა სიხშირით იყენებდით თქვენ და თქვენი შემთხვევითი კაცი პარტნიორი/პარტნიორები კონდომს ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში“ 42.4% პასუხობს „ყოველთვის“, 11.0%-„ხშირად“, 16.5% -„ხანდახან“ და 6.5% -„არასოდეს“ (ცხრილი E)..

#### *კომერციული პარტნიორები*

ბოლო 12 თვის მანძილზე 1-5-მდე კომერციულ სქესობრივ პარტნიორ კაცთან ანალური სექსი ჰქონდა გამოკითხული მსმ-ების 6.2%-ს, >5 პარტნიორთან - 0.6%-ს, ხოლო 0.8%-ს არ ჰქონია ანალური სექსი კომერციულ სქესობრივ პარტნიორ კაცთან. ბოლო სექსის დროს კომერციულ კაც პარტნიორთან კონდომი გამოიყენა მხოლოდ 79.1%-მა. კითხვაზე „ზოგადად, რა სიხშირით იყენებდით თქვენ და თქვენი კომერციული კაცი პარტნიორები კონდომს ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში“ 57.4% პასუხობს „ყოველთვის“ და 16.5% „არასოდეს“ (ცხრილი F).


#### *კომერციულ სექსში (სექს-ბიზნესში) ჩართულობა*

მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ კაცთან სქესობრივ კონტაქტს ამყარებს გამოკითხული მსმ-ების 6.8%. მათგან 97.3% მატერიალურ ანაზღაურებას იღებს ფულის სახით, 6.6% საკვების სახით და 3.0% ბინის/საცხოვრებლის სახით.

რესპონდენტთა 35.5% მომსახურებაში 51-100 ლარს იღებს, 45.1% კი - 100 ლარზე მეტს. კომერციულ სექსში ჩართულ მსმ-თა 58.0%-მა თქვა, რომ ამ საქმიანობით გამომუშავებული თანხის გარდა შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია. ერთი სამუშაო დღის განმავლობაში რესპონდენტთა 54.6%-ს საშუალოდ 1-2 კლიენტი ჰყავდა. სამზე მეტი რეგულარული კომერციული კლიენტი ჰყავს კომერციულ სექს-ბიზნესში ჩართული მსმ-ის 40.0%-ს (ცხრილი G).


*სქესობრივი ურთიერთობა ქალებთან*

გამოკითხული მსმ-ების 39.9%-მა აღნიშნა, რომ ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა ქალთან ბოლო 12 თვის განმავლობაში, რომელთაგანაც 32.2%-ს ორი ან მეტი რეგულარული პარტნიორი, 56.7%-ს ორი ან მეტი შემთხვევითი პარტნიორი და 18.2%-ს ორი ან მეტი კომერციული პარტნიორი ჰყავდა. კვლევის მონაწილეებს შორის, ბოლო 1 წლის განმავლობაში, ქალთან სქესობრივი კონტაქტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქუთაისში (44.7%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თბილისში (28.5%) (ცხრილი H, გრაფიკი H1). აღნიშნული მაჩვენებელი, ასევე, შედარებით მაღალი იყო  $\geq 25$  წლის მსმ-ებში (39.6%), ახალგაზრდა (<25 წლის) მსმ-ებთან შედარებით (28.1%) (OR=1.6; 95% CI: 1.1-2.4) (ცხრილი H1).




ქალ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს რესპონდენტების დაახლოებით ორმა მესამედმა (65.0%) გამოიყენა პრეზერვატივი. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო თბილისში (76.6%), სხვა ქალაქებთან შედარებით (ცხრილი H,

გრაფიკი H2). ქალთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო დაკავშირებული მამაკაცთან ბოლო ანალური კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენებასთან. კერძოდ, იმ რესპონდენტების უფრო მაღალმა პროპორციამ განაცხადა, რომ გამოიყენა პრეზერვატივი ქალ პარტნიორთან ბოლო სქესის დროს, რომლებმაც მამაკაცთან ბოლო ანალური კონტაქტის დროს გამოიყენეს პრეზერვატივი, ვიდრე მათ, ვისაც არ გამოუყენებია (84.0 vs. 39.0; OR=8.2; 95%CI: 1.1-16.2;  $p<0.0001$ ) (ცხრილი H2).




მათ შორის, ვისაც ბოლო 1 წლის მანძილზე ჰყავდა რეგულარული ქალი პარტნიორი, პრეზერვატივს მუდმივად იყენებდა მხოლოდ 44%. შედარებით მაღალი იყო პრეზერვატივის მუდმივად გამოყენების მაჩვენებელი შემთხვევით ქალ პარტნიორთან (58.9%) და კომერციულ ქალ პარტნიორთან (77.2%) (ცხრილი H, გრაფიკი H3).




### *ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა*

ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა საკვლევი სუბიექტების 28.5%-ს ჰქონდა ბოლო 12 თვის მანძილზე, რომელთა უმრავლესობამ (71.2%) აღნიშნა, რომ ეს ჯგუფები მხოლოდ მამაკაცებისგან შედგებოდა. ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა ყველაზე მაღალი იყო თბილისში (39.7%) და ყველაზე დაბალი ქუთაისში (14.0%) (ცხრილი I, გრაფიკი I1). ჯგუფური სექსის ალბათობა შედარებით მაღალი იყო აივ ინფექციის მქონე მსმ-ებში (42.4%), აივ-ნეგატიურ რესპონდენტებთან შედარებით (31.3%) (OR= 1.6; 95%CI: 1.1-2.5; p<0.05). ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა, ასევე, სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო დაკავშირებული ალკოჰოლის მოხმარებასთან, კერძოდ, რესპონდენტები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ბოლო 1 თვის განმავლობაში არასდროს ან იშვიათად მიუღიათ ალკოჰოლი, უფრო ნაკლებად იყვნენ ჩართული ჯგუფურ სქესობრივ პრაქტიკაში, ვიდრე ისინი, ვინც ალკოჰოლს ხშირად მოიხმარდნენ (30.0 vs 38.9%; OR=1.4; 95%CI: 1.1-2.1; p<0.05) (ცხრილი II).



ბოლო ჯგუფური სექსის დროს ყველა პარტნიორთან პრეზერვატივის გამოყენების მაჩვენებელი 84.4%-ს შეადგენდა. სხვა ქალაქებთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი დაბალი იყო ქუთაისში (76.2%) (ცხრილი I). ბოლო ჯგუფური სექსის დროს ყველა პარტნიორთან პრეზერვატივის გამოყენების ალბათობა უფრო დაბალი იყო სიფილისზე ტესტირებით დადებითი შედეგის მქონე მსმ-ებში (71.0%), სიფილისზე უარყოფითი შედეგის მქონე რესპონდენტებთან შედარებით (87.9%) (OR=0.3; 95%CI=0.1-0.8; p<0.05) (ცხრილი I2).




### სხვა სქესობრივი პრაქტიკა

სხვა სქესობრივი პრაქტიკიდან კვლევის მონაწილეები ყველაზე ხშირად ასახელებდნენ ფინგერინგს (24.6%), რასაც მოჰყვებოდა სექსუალური სათამაშოების გამოყენება (7.9%) და ფისტინგი (2.4%). რესპონდენტების 2.1%-მა დაასახელა, რომ იყენებს ისეთ სქესობრივ პრაქტიკას, როგორცაა რიმინგი, BDSM, რგოლები და ბოსტნეულით უკანა ტანში შეღწევა (ცხრილი W).



### კონდომები და ლუბრიკანტები

გამოკითხული მსმ-ების 92.9%-მა განაცხადა, რომ იცის სად ან ვისგან შეიძლება პრეზერვატივის შეძენა ან შოვნა. რესპონდენტების მიერ პრეზერვატივის შეძენის ან შოვნის ყველაზე ხშირად დასახელებული ადგილები ან პიროვნებები შემდეგნაირად გადანაწილდა: აფთიაქი (80.4%), არასამთავრობო ორგანიზაციები (50.6%), მაღაზია (36.6%) და მეგობარი (24.8%) (ცხრილი J, გრაფიკი J1).



კვლევის მონაწილეთა მხოლოდ ერთ მესამედს (33.0%) მიუღია პრეზერვატივი და ლუბრიკანტი სოციალური მუშაკისგან, ჯანმრთელობის კაბინეტში ან თანასწორგანმანათლებლისგან ბოლო 3 თვის განმავლობაში. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალი იყო ქუთაისში (24.7%), სხვა ქალაქებთან შედარებით (გრაფიკი J2). პრეზერვატივი ან ლუბრიკანტი პრევენციული პროგრამებიდან

ბოლო 12 თვის განმავლობაში მიღებული ჰქონდა გამოკითხულთა 48.4%-ს აღნიშნული მაჩვენებელი, ასევე, ყველაზე დაბალი იყო ქუთაისში (31.3%) (ცხრილი J).



მამაკაცებთან ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს ლუბრიკანტის მუდმივი გამოყენება ბოლო 3 თვის მანძილზე დაასახელა გამოკითხულთა მცირე ნაწილმა (19.8%). აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალი იყო ქუთაისში (10.0%), სხვა ქალაქებთან შედარებით (ცხრილი J).

### **სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (სგგი)**

კვლევის მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობას (92.0%) გაუგია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ. ამ დაავადებებისთვის დამახასიათებელ სიმპტომებად გამოკითხულმა მსმ-ებმა ძირითადად გამონადენი, გამონაყარი, წვა, ქავილი და სხვ. დაასახელეს. თითქმის მეხუთედს (18.4%) ჰქონია გამონადენი ან გამონაყარი/წყლული/მუწუკი სასქესო ორგანოზე ან ანუსის არეში ბოლო 12 თვის განმავლობაში. სგგი-ს დასადგენად ანალიზი ჩატარებული აქვს მსმ-ების 71.5%-ს, რომელთაგან 22.3%-ს ტესტირება ბოლო 3 თვის განმავლობაში, 22.1%-ს - 3-12 თვის განმავლობაში, 13.0%-ს - 1-2 წლის განმავლობაში და 18.9%-ს - 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აქვს ჩატარებული. ანალიზის ჩატარების ძირითად მიზეზებად დასახელდა: „პროფილაქტიკის მიზნით“ (67.7%), სიმპტომების აღმოჩენის გამო“ (15.2%) და „სქესობრივ პარტნიორს აღმოაჩნდა სგგი“ (5.6%) (ცხრილი K).

### **სგგი მკურნალობისათვის მიმართვა და სხვა სამედიცინო სერვისები**

კვლევის მონაწილეთაგან 67.4%-მა, რომელთაც ჰქონიათ გენიტალური ან ანალური გამონადენი, ან წყლული/მუწუკი, ბოლო ასეთი ეპიზოდისას მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას, 17.8%-მა აფთიაქს, 15.8%-მა თვითმკურნალობას, 8.4%-მა ექიმს ბინაზე, ხოლო 6.9%-მა ექიმბაშს. 21.3%-მა არ გაუმხილა სიმპტომების შესახებ თავის პარტნიორს, 12.5%-მა არ შეწყვიტა სექსი სიმპტომების აღმოჩენის შემდეგ და 14.5%-მა არ გამოიყენა პრეზერვატივი სიმპტომების პერიოდში. ბოლო 12 თვის განმავლობაში პროქტოლოგისთვის მიუმართავს კვლევის მონაწილე მსმ-ების 3.6%-ს. წინადაცვეთა ჩატარებული აქვს რესპონდენტების 1.8%-ს (ცხრილი L).

### **აივ/შიდსთან დაკავშირებული ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა**

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას (97.2%) სმენია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის, აივ ინფექციის ან შიდსის შესახებ. რესპონდენტთა 11.3% თვლის, რომ აივ-ის გადაცემა ერთი ერთგული არაინფიცირებული



სქესობრივი პარტნიორის ყოლის შემთხვევაში შეუძლებელია. გამოკითხული მსმ-ების 86.7%-ის აზრით კონდომის გამოყენებით აივ-ის გადაცემის რისკის შემცირება შესაძლებელია, 8.3% თვლის, რომ არ არის შესაძლებელი, ხოლო 1.9%-მა არ იცის შესაძლებელია თუ არა. თითქმის მეხუთედი (19.6%) თვლის, რომ შეუძლებელია ჯანმრთელი გარეგნობის ადამიანს ჰქონდეს აივ-ინფექცია.

გამოკითხულ მსმ-ებში აივ-ინფექციის გადაცემის გზების შესახებ ინფორმირებულობა შემდეგნაირია: კოლოს კბენით - 23.8%, საკვების გაზიარებით - 15.2%, სხვის მიერ გამოყენებული შპრიცით/ნემსით - 90.0%, დედიდან ბავშვზე - 52.5%.

კვლევის მონაწილეთაგან უმრავლესობისთვის (87.8%) ცნობილია, თუ სად შეიძლება ჩაიტარონ აივ-ზე ტესტირება სურვილის შემთხვევაში და გამოკითხულთა 80.6%-ს ჩატარებული აქვს აივ-ტესტირება. მსმ-ების 36.1%-მა აივ-ის დასადგენად ტესტირება ბოლოს უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში ჩაიტარა, 37.3%-მა 3-12 თვის განმავლობაში, 15.1%-მა 1-2 წლის განმავლობაში და 11.5%-მა - 2 წელზე მეტი ხნის წინ. აივ-ზე ტესტირებულ რესპონდენტთა 98.3%-სთვის ცნობილია მისი აივ-სტატუსი. კითხვაზე „რა იყო თქვენი აივ-ტესტირების შედეგი“ 11.4% პასუხობს „პოზიტიური“, 82.1% პასუხობს „ნეგატიური“, 1.5% პასუხობს „საეჭვო“, ხოლო 4.1%-მა არ მოისურვა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. გამოკითხული მსმ-ების 3.9% თვლის, რომ მისი აივ-ინფიცირების ინდივიდუალური რისკი მაღალია, 20.7% აივ-ით ინფიცირების რისკს აფასებს საშუალოდ, 33.7% თვლის, რომ მისი ინფიცირების რისკი დაბალია და 10.0%-სთვის ეს რისკი არ არსებობს (ცხრილი M).

### **ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა B და C ჰეპატიტების შესახებ**


გამოკითხულთაგან 62.2% ტესტირებულია C ჰეპატიტზე. C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ სმენია კვლევის მონაწილე მსმ-ების მხოლოდ ნახევარს (50.6%). მხოლოდ 47.0%-მა იცის, რომ ქვეყანაში C ჰეპატიტის მკურნალობა სრულიად უფასოა და 9.9% თვლის, რომ C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა არსებობს. კითხვაზე C ჰეპატიტის გადაცემის გზების შესახებ კვლევის მონაწილეების პასუხები შემდეგნაირი იყო: სისხლის გადასხმით (65.7%), დაუცველი სექსით (58.7%) ნახმარი ნემსის/შპრიცის გამოყენებით (56.6%), სამედიცინო სერვისის მიღებით (9.9%) და სხვ.

B ჰეპატიტზე გამოკვლევა ჩატარებული აქვს გამოკითხული მსმ-ების მხოლოდ 41.8%-ს. 60.7%-მა, 53.7%-მა და 53.4%-მა B ჰეპატიტის გადაცემის გზად სისხლის გადასხმა, დაუცველი სექსი და ნახმარი ნემსის/შპრიცის გამოყენება დაასახელა, შესაბამისად. მხოლოდ 38.9%-მა იცის, რომ არსებობს B ჰეპატიტის სამკურნალო ანტივირუსული მედიკამენტები. ვაქცინის შესახებ ცნობილია რესპონდენტთა 34.6%-სთვის და ვაქცინირებულია 7.5%. კითხვაზე „შემოთავაზების შემთხვევაში ჩაიტარებდით თუ არა B ჰეპატიტზე ვაქცინაციას“ 39.6% პასუხობს „დიახ“, 6.0% პასუხობს „არა“ და 20.1% პასუხობს „არ ვიცი“. B ჰეპატიტის ვაქცინაციის სასურველ ადგილად მსმ-ების 35.8%-სგან დასახელდა სამედიცინო დაწესებულება, 4.9%-სგან კი - სათემო ორგანიზაცია (იხ. ცხრილი N).


### სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობა

გამოკითხული მსმ-ების მცირე პროპორციამ განაცხადა, რომ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლი ყოფილა საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამო. კერძოდ, ბოლო 12 თვის განმავლობაში რესპონდენტების 4.4% უარი უთხრეს დასაქმებაზე, 2.4%-ს პოლიციის დახმარებაზე, 1.5%-ს სამედიცინო მომსახურებაზე და 1.1%-ს ბინის დაქირავებაზე (ან გამოუმშვეს ბინიდან) იმის გამო, რომ მსმ იყო (ცხრილი H.H.1).

სექსუალური ორიენტაციის გამო ძალადობის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლი იყო საკვლევი სუბიექტების 20.5% უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში. ძალადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში (22.5%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ქუთაისში (8%) (გრაფიკი H.H.1). მათ შორის, ვინც აღნიშნა რომ ძალადობის მსხვერპლი იყო, ძალადობის ფორმები შემდეგნაირი სიხშირით განაწილდა: სიტყვიერი ძალადობა 98.2%, ფიზიკური ძალადობა 52.2%, ეკონომიკური ძალადობა (ფულის გამოძალვა, არ მიცემა, წილში ჩაჯდომა და ა.შ.) 16.5% და სექსუალური ძალადობა 13.4% (ცხრილი H.H.2). თითოეული ტიპის ძალადობის მსხვერპლ რესპონდენტებს ვუსვავდით შეკითხვას, თუ ვინ განახორციელა მათზე აღნიშნული ძალადობა. სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა უმეტესწილად უცნობი პირების მიერ იყო ჩადენილი (66.4% და 59.4%, შესაბამისად). სექსუალური ძალადობა შემთვევათა 74.9%-ში ნაცნობის მიერ იყო განხორციელებული. ეკონომიკური ძალადობა თითქმის თანაბრად განაწილდა საკვლევი სუბიექტებისთვის უცნობ და ნაცნობ პირებზე (34.9% და 32.2%, შესაბამისად) (ცხრილი H.H.2).



მათ შორის, ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე ყოფილა ძალადობის (ნებისმიერი ფორმის) მსხვერპლი, მხოლოდ 22%-მა შეატყობინა პოლიციას აღნიშნული ინციდენტის შესახებ. ძალადობის შესახებ პოლიციაზე შეტყობინების სიხშირე ყველაზე მაღალი იყო თბილისში (28.5%) და ყველაზე დაბალი ქუთაისში (16.6%) (გრაფიკი H.H.2). ძალადობის შემთხვევის პოლიციაზე არ შეტყობინების მიზეზებს შორის ჭარბობდა უნდობლობა პოლიციის მიმართ („აზრი არ აქვს, არ იქნება ადეკვატური რეაგირება“) (42.2%), რასაც მოჰყვებოდა საკუთარ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული უხერხულობა (16.5%) (ცხრილი H.H.2).




### ინფორმაციის წყაროები

კვლევის მონაწილეთა 51.1%-ს აივ ინფექცია/შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ ინფორმაცია მიუღია ინტერნეტის მეშვეობით, 38.7%-ს მეგობრებისგან, 29.2%-ს ტელევიზიიდან ან რადიოდან, ხოლო 19.8%-ს სათემო ორგანიზაციებიდან. ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროებიდან რესპონდენტების დიდმა ნაწილმა დაასახელა არასამთავრობო ორგანიზაციები (49.8%) და ინტერნეტი (48.7%) (ცხრილი Q).


## მონაწილეთა განაწილება აივ სტატუსის მიხედვით

ქვემოთ მოცემული სურათები აღწერს კვლევაში მონაწილე „მარცვლების“ მიერ რეკრუტირებული მსმ-ების განაწილებას სამივე ქალაქის მიხედვით. სურათები შეიქმნა RDS Analyst პროგრამის გამოყენებით. ნარინჯისფერის გამოყენებით აღნიშნა მსმ-ების აივ სტატუსი. მოცემულ სურათებზე დიდი ზომის სამკუთხედებით აღნიშნულია „მარცვლები“.


სურათი 1: თბილისში მსმ-ების განაწილება აივ სტატუსის მიხედვით



სურათი 2: ბათუმში მსმ-ების განაწილება აივ სტატუსის მიხედვით



სურათი 3: ქუთაისში მსმ-ების განაწილება აივ სტატუსის მიხედვით



## ასაკის ასოციაცია სხვადასხვა ფაქტორთან

≥25 წლის მსმ-ების 18.4%-ს და ≤24 წლის მსმ-ების 8.9%-ს აღმოაჩნდა anti-HIV (p<0.01). C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტისხეულების გავრცელება შედარებით მეტია მაღალ ასაკობრივ ჯგუფში (17.5% vs 1.4%; p<0.001). სიფილისის უფრო მეტად არის გავრცელებული ≥25 წლის მსმ-ებში, ვიდრე ≤24 წლის მსმ-ებში (17.3% vs 10.8%; p<0.05). დაბალ ასაკობრივ ჯგუფში B ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების გავრცელება თითქმის 3-ჯერ ჩამოუვარდებოდა პრევალენტობას მაღალ ასაკობრივ ჯგუფში (9.9% vs 26.8%; p<0.001). აქტიური B ჰეპატიტის ინფექცია დადასტურდა ≤24 ასაკის მსმ-თა 0.9%-ში და ≥25 ასაკის მსმ-თა 4.1%-ში (p<0.05).

მიმღები, როგორც სქესობრივი პარტნიორის ტიპი უფრო ხშირია დაბალი ასაკობრივი ჯგუფის მსმ-ებში (22.3% vs 12.4%; p<0.001). ბოლო ანალური სექსის დროს რაიმე საშუალების ზემოქმედების ქვეშ შედარებით მეტად ≥25 წლის ასაკის მონაწილეები იყვნენ, თუმცა აღნიშნული განსხვავება არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო.

11-13 წლის ასაკში პირველი ანალური სექსი ჰქონდა დაბალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების 6.1%-ს, ხოლო მაღალი ასაკობრივი ჯგუფის 4.5%-ს p<0.001).

ბოლო 12 თვის განმავლობაში კონდომის არ გამოყენება შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან შედარებით მაღალია ≥25 წლის ასაკის მსმ-ებში (5.0% vs 3.0%; p=0.19).

მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა 45.7%-ს, ხოლო დაბალი ასაკობრივი ჯგუფის მსმ-ების 38.9%-ს ხშირად ჰქონდა ანალური სექსი მატერიალური ანაზღაურების გამო ბოლო 12 თვის მანძილზე (p=0.78).

≤24 წლის მსმ-ების 26.3% და ≥25 წლის მსმ-ების 10.6%, რომლებიც სქესობრივ კონტაქტს ამყარებენ მატერიალური ანაზღაურების გამო მომსახურებაში ≤50 ლარს იღებენ (p=0.13).

≤24 წლის მონაწილეებს შედარებით მეტად აქვთ ჩატარებული ტესტირება სქესობრივი გზით გამამდებ ინფექციებზე, უკანასკნელი 1 წლის მანძილზე (43.6% vs 37.6%) და აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა.

≤24 წლის მსმ-ებმა მეტად იციან სად შეიძლება აივ-ზე ტესტირება (94.7% vs 90.7%, 0.08). პროცენტული წილი იმ მსმ-ების, რომლებსაც უახლოესი 3 თვის მანძილზე აქვთ აივ-ზე ტესტირება ჩატარებული შედარებით მაღალია დაბალი ასაკობრივი ჯგუფის მსმ-ებში (42.3% vs 32.5%;  $p<0.001$ ). აივით ინფიცირების ინდივიდუალურ რისკს ≥25 წლის ასაკის მონაწილეთა 11.8%, ხოლო ≤24 წლის მონაწილეთა 7.0% აფასებს როგორც მაღალს ( $p<0.001$ ).

C ჰეპატიტზე ტესტირებულია ≥25 წლის მონაწილეთა 87.7% და ≤24 წლის მონაწილეთა 72.5% ( $p<0.001$ ). ასევე, ≥25 წლის ასაკის ინდივიდებში უფრო მაღალია HCV ელიმინაციის პროგრამის შესახებ ცნობადობა ( $p<0.001$ ).

B ჰეპატიტზე გამოკვლეულია დაბალი ასაკობრივი ჯგუფის მსმ-ების 71.8% და მაღალი ასაკობრივი ჯგუფის მსმ-ების 69.6% ( $p=0.67$ ). HBV ვაქცინირების კუთხით დაბალ და მაღალ ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება არ დაფიქსირდა (22.1% და 16.9%;  $p=0.20$ ) (ცხრილი O).

### განაწილება ქალაქების მიხედვით

Anti-HIV ყველაზე მაღალი გავრცელება დაფიქსირდა ბათუმში (18.4%), შემდეგ თბილისში (15.6%) და ქუთაისში (10.7%) ( $p=0.13$ ). Anti-HCV გავრცელება შედარებით მაღალი იყო ქუთაისში (20.7%) ბათუმსა (6.5%) და თბილისთან (2.3%) შედარებით ( $p<0.001$ ).

RPR კვლევაზე დადებითი შედეგის მქონე მსმ-ების წილი შედარებით მაღალი იყო ქუთაისში (19.3%) თბილისსა (15.2%) და ბათუმთან (11.9%) შედარებით.

Anti-HBc გავრცელება ყველაზე მაღალი იყო ქუთაისში (32.0%), შემდეგ ბათუმში (23.4) და თბილისში (14.6%). კვლევის შედეგად აქტიური B ჰეპატიტი გამოვლინდა 4.0%, 4.5% და 1.7%-ში ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში, შესაბამისად ( $p=0.14$ ).

თბილისში ≤24 წლის მსმ-ების წილი მეტია, ვიდრე ბათუმში და ქუთაისში (40.1% vs 33.8% და 16.0%  $p<0.001$ ). ქორწინებაში იმყოფება ქუთაისში გამოკითხულ მსმ-თა 30%, თბილისში მცხოვრებ მსმ-თა 3.5% და ბათუმში მცხოვრებ მსმ-თა 2.6% ( $p<0.01$ ). ქუთაისის ასევე შედარებით მაღალი იყო უმუშევრობის მაჩვენებელი (28.0%) თბილისთან (25.2%) და ბათუმთან (18.9%) შედარებით ( $p<0.001$ ).

სტაბილური საცხოვრებელი აქვთ ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში გამოკითხული მსმ-ების 76.0%, 72.1% და 60.6%-ს, შესაბამისად ( $p<0.01$ ). თვითურად



1000 ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ თბილისში 56.2%-ს, ბათუმში 37.0%-ს და ქუთაისში 15.4%-ს.

თბილისში მსმ-ების 2.3%-ს პირველი ანალური სქესობრივი კონტაქტი  $\leq 10$  წლის ასაკში ჰქონდა, ხოლო 7.0%-ს 11-13 წლის ასაკში, რაც სხვა ქალაქებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია ( $p < 0.05$ ). მსმ-ების წილი, რომელიც არასდროს იყენებდა კონდომს ანალური სექსის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში შედარებით მაღალი იყო ქუთაისში, თბილისსა და ბათუმთან შედარებით (12.0%, 8.3% და 4.5%, შესაბამისად;  $p < 0.01$ ).

$>1$  რეგულარულ პარტნიორთან სექსი ბოლო 12 თვის მანძილზე ყველაზე მეტად ჰქონდათ ბათუმში (55.9%), თბილისსა (53.5%) და ქუთაისში (39.1%) ( $p < 0.05$ ), ხოლო ბოლო ანალური სექსისას რეგულარულ კაც პარტნიორთან კონდომის არ გამოყენება შედარებით ხშირი იყო ქუთაისში (38.7%), ბათუმსა (35.2%) და თბილისთან (24.3%) შედარებით ( $p < 0.01$ ).

იმ მსმ-ების წილი, ვისაც  $>5$  შემთხვევით სქესობრივ კაც პარტნიორთან ჰქონდა ანალური სექსი ბოლო 12 თვის განმავლობაში ყველაზე მაღალი იყო ბათუმში (49.5%), შემდეგ თბილისში (36.0%) და ქუთაისში (13.2%) და აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო იყო ( $p < 0.001$ ).

მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ სქესობრივი კონტაქტის დამყარება შედარებით ხშირია ბათუმში (16.9%), თბილისსა (8.9%) და ქუთაისთან (6.7%) შედარებით  $p < 0.01$ ).

კითხვაზე „იცით თუ არა სად უნდა მიმართოთ აივ-ზე ტესტირებისთვის“ დადებითად პასუხობს თბილისში, ბათუმში და ქუთაისში გამოკითხული მსმ-ები 94.3%, 93.9% და 84.8%, შესაბამისად ( $p < 0.01$ ). აივ-ზე ჩატარებული ტესტირების მაჩვენებელი მაღალია ბათუმში (85.4%), თბილისსა (81.9%) და ქუთაისთან (76.0%) შედარებით, თუმცა აღნიშნული სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნო არ არის. მსმ-ების აბსოლუტურმა უმრავლესობამ როგორც თბილისში (99.2%), ისევე ბათუმში (98.8%) და ქუთაისში (98.2%) იციან თავიანთი აივ სტატუსი. კითხვაზე „რა იყო თქვენი აივ- სტატუსი“ ბათუმში მცხოვრები მსმ-ების 15.0%-მა, ხოლო თბილისსა და ქუთაისში მცხოვრები მსმ-ების 11.1% და 7.8%-მა უპასუხა „დადებითი“ ( $p < 0.19$ ).

თბილისში გამოკითხულთა 39.2%-მა, ხოლო ქუთაისი და ბათუმი 9.2%-მა და 27.0%-მა თქვა, რომ არ სმენია HCV ელიმინაციის პროგრამის შესახებ. გამოკითხვის შედეგად HCV ტესტირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქუთაისში (85.5%) დაფიქსირდა (ბათუმი-83.%, თბილისი 80.5%;  $p=0.46$ ). ბათუმში მსმ-ების 80.0% ნამკურნალებია HCV-ზე, ხოლო ქუთაისსა და თბილისში 85.5% და 80.5%, შესაბამისად, თუმცა აღნიშნული განსხვავება არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო.

კითხვაზე „ჩაგიტარებიათ თუ არა ოდესმე B ჰეპატიტზე გამოკვლევა“ ბათუმში გამოკითხულთა 77.9%, თბილისში გამოკითხულთა 72.% და ქუთაისში გამოკითხულთა 55.0% პასუხობს „დიახ“ და აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა. ქუთაისში მსმ-ების 61.1%, ხოლო და ბათუმსა და თბილისში 59.6% და 46.2% თვლიან, რომ B ჰეპატიტის საწინააღმდეგო მკურნალობა არ არსებობს, ან არ იცის ამის შესახებ ( $p<0.01$ ). თბილისში 53.8-მა, ბათუმში 40.4%-მა და ქუთაისში 38.9%-მა იცის, რომ არსებობს B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა ( $p<0.001$ ). HBV საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარებული აქვს მსმ-ების 28.2%, 15.6% 2.9%-ს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, შესაბამისად ( $p<0.001$ ) (ცხრილი P).

### სერვისის ბენეფიციარები და არაბენეფიციარები

Anti-HIV აღმოაჩნდა სერვისების (კონდომი და ლუბრიკანტი სოც. მუშაკისგან, ან ჯანდაცვის კაბინეტში) ბენეფიციარ მსმ-თა 23.9%-ს და არაბენეფიციარ მსმ-თა 5.6%-ს ( $p<0.001$ ). RPR (+) დაფიქსირდა სერვისის ბენეფიციართა 19.6%-ში, ხოლო არა ბენეფიციართა 10.1%-ში ( $p<0.01$ ). B ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნიტეტის არსებობა უფრო მაღალი იყო ბენეფიციარ მსმ-ებში (25.1% vs 17.0%;  $p<0.05$ ).

ბოლო სქესობრივი კონტაქტისას სერვისების ბენეფიციართა 74.6%, ხოლო არაბენეფიციართა 68.2% იყენებდა კონდომს, თუმცა აღნიშნული განსხვავება არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო.

კვლევის მონაწილეების პროპორცია, ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე ყოფილა ძალადობის მსხვერპლი 2-ჯერ მაღალია სერვისის მიმღებ მსმ-ებს შორის (27.5% vs 11.9%;  $p<0.001$ ) (ცხრილი Q).

## 2018 და 2023 წლის კვლევების მონაცემების შედარება

### ბიომარკერული კომპონენტი

*მონაცემები წარმოდგენილია საკვლევი შენარჩევის შედარებით მიღებული მაჩვენებლების მიხედვით.*

კვლევაში ჩართულ მსმ-ებში აივ-ის გავრცელება იყო 15.3%, რაც წინა, 2018 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში მიღებულ შედეგს (16.3%) მცირედით ჩამოუვარდება და აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არ იყო.

2023 წელს ჩატარებული კვლევის მონაწილე მსმ-ებში სიფილისის გავრცელება აღემატებოდა 2018 წლის კვლევის მიერ გამოვლენილ მაჩვენებელს (14.2% vs 9.7%;  $p < 0.05$ ).



სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება დაფიქსირდა HCV გავრცელების კუთხით 2023 და 2018 წელს ჩატარებულ კვლევებს შორის, კერძოდ, მიმდინარე კვლევის დროს HCV გამოვლინდა გამოკითხულ მსმ-თა 7.8%-ში, ხოლო წინა კვლევისას აღნიშნული მაჩვენებელი იყო 1.8% (იხ. დიაგრამა A1). 2023 წელს, 2018 წელთან შედარებით მაღალია იმ მსმ-ების პროცენტული წილი, რომლებსაც ჩატარებული აქვთ ტესტირება სგვი დასადგენად (75.3% vs 62.8%;  $p < 0.001$ ) (იხ. დიაგრამა K1).


### სქესობრივი ქცევა

2023 წლის კვლევის ფარგლებში მსმ-ების წილი, ვისაც 5-ზე მეტ შემთხვევით პარტნიორთან ჰქონდა ანალური სექსი იყო 34.6%, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა, 2018 წლის კვლევის ფარგლებში გამოვლენილ მაჩვენებელს (26.1%) და ეს განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა (დიაგრამა C1).

უკანასკნელი 12 თვის მანძილზე ანალური სექსის დროს პრეზერვატივის გამოყენების კუთხით სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა. 2023 წელს გამოკითხულ მსმ-თა 47.2% და 2018 წელს გამოკითხულ მსმ-თა 45.1%-მა აღნიშნა, რომ ყოველთვის იყენებდა კონდომს სქესობრივი კონტაქტისას.


### დიაგრამა A1. ბიომარკერულ ფომპონენტი






*სქესობრივი ურთიერთობა ქალებთან*


2018 წელთან შედარებით, მიმდინარე კვლევაში რესპონდენტების უფრო მცირე ნაწილმა განაცხადა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ჰქონია სქესობრივი კავშირი ქალთან (გრაფიკი H1.1).



2018 წლიდან 2023 წლამდე არ შეცვლილა მსმ-ების მიერ ქალთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენების მაჩვენებელი (გრაფიკი H2.1).




2018 წლიდან 2023 წლამდე არ შეცვლილა ბოლო 12 თვის განმავლობაში პრეზერვატივის მუდმივად გამოყენების მაჩვენებელი რეგულარულ და შემთხვევით ქალ პარტნიორთან, თუმცა 2023 წელს გამოკითხული მსმ-ების უფრო მაღალმა პროპორციამ (75%) განაცხადა, რომ ყოველთვის იყენებდა პრეზერვატივს კომერციულ ქალ პარტნიორთან ბოლო 1 წლის მანძილზე, 2018 წლის კვლევის მონაწილეებთან შედარებით (60%) (გრაფიკი H3.1).




### ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა

ბოლო 12 თვის განმავლობაში ჯგუფურ სქესობრივ პრაქტიკაში ჩართულობა აღნიშნა გამოკითხული მსმ-ების 32.5%-მა, რაც საგრძნობლად აღემატება 2018 წლის კვლევის მონაცემს (19.6%) (გრაფიკი I1.1).




ბოლო ჯგუფური სექსის დროს ყველა პარტნიორთან პრეზერვატივი გამოიყენა 2023 წელს გამოკითხული მსმ-ების 82.5%-მა, რაც აჭარბებს 2018 წლის კვლევის აღნიშნულ მაჩვენებელს (77%) (გრაფიკი I2.1).



*კონდომები და ლუბრიკანტები*



კვლევის მონაწილეთა 98.3%-მა იცოდა თუ სად ან ვისგან შეიძლება პრეზერვატივის ყიდვა ან შოვნა. 2018 წელს ჩატარებულმა კვლევამაც მსგავსი შედეგები აჩვენა (გრაფიკი J1.1).



მიმდინარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული მსმ-ების 53.1%-მა აღნიშნა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მიუღია პრეზერვატივი და ლუბრიკანტი პრევენციული პროგრამებიდან. 2018 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, საკვლევი სუბიექტების უფრო მაღალ პროპორციას (68.7%)




უსარგებლია აღნიშნული სერვისით წინა წელს (გრაფიკი J1.1). 2018 წლიდან 2023 წლამდე გაიზარდა ბოლო 3 თვის მანძილზე მამაკაცებთან ანალური სექსის დროს ლუბრიკანტის მუდმივად გამოყენების მაჩვენებელი (19.4% vs. 27.1%) (გრაფიკი J5.1).




### *ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება*

ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარების მაჩვენებელი ორჯერ მაღალია 2023 წელს გამოკითხულ მსმ-ებს შორის, 2018 წლის კვლევის მონაწილეებთან შედარებით (6.7% vs 3.1%;  $p < 0.01$ ) (დიაგრამა C2).




**ძალადობა**

2023 წლის კვლევის მონაწილეების მნიშვნელოვნად მაღალმა პროპორციამ (20.5%) აღნიშნა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში იყო ძალადობის (ნებისმიერი ტიპის) მსხვერპლი საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამო, 2018 წლის საკვლევ სუბიექტებთან შედარებით (8.4%) ( $p < 0.0001$ ) (გრაფიკი H.H.1).



აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან 2023 წლამდე შემცირდა პოლიციაზე ძალადობის ინციდენტის შესახებ შეტყობინების მაჩვენებელი. კერძოდ, 2018 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, მათ შორის, ვინც ყოფილა ნებისმიერი ტიპის ძალადობის

მსხვერპლი, 50%-მა შეატყობინა პოლიციას ამ ინციდენტის შესახებ, მაშინ როდესაც 2023 წლის კვლევის ძალადობის მსხვერპლ მონაწილეთა მხოლოდ 22.1% მოიქცა ამგვარად ( $p=0.002$ ) (გრაფიკი H.H.2).



პოპულაციის ზომის განსაზღვრა მამაკაცებს შორის, რომელთაც  
სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან

## შემაჯამებელი მიმოხილვა

მამაკაცების, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან (მსმ) პრევალენტობის შეფასება და მონიტორინგი მნიშვნელოვანი ამოცანაა ქვეყანაში აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების დროული განხორციელების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, აივ ინფექციის მხრივ ეგრეთ წოდებულ მაღალი რისკის ჯგუფებში - მამაკაცები, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან (მსმ), არსებული სამედიცინო სერვისების, პრევენციული პროგრამების შედეგების ეფექტურობის შეფასება ხელს შეუწყობს სამომავლო ინტერვენციის განხორციელებისთვის ფინანსური რესურსების გათვლის შესაძლებლობას ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე.

2018 წელს ორგანიზაციების „საერთაშორისო ფონდი კურაციო“ და „საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა“ მიერ საქართველოში შესამედ ჩატარდა მსმ-ების პოპულაციის ზომის შეფასება. კვლევის თანახმად, საქართველოში 18500 მამაკაცია, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტები აქვთ მამაკაცებთან [23]. საქართველოში აივ ინფექციის გადაცემა 13.3% მსმ-ზე მოდის, ჰეტეროსექსუალურ და ინექციური ნარკოტიკების მოხმარების გზით გადაცემის შემდგომ [24]. შესაბამისად, მსმ-ის პოპულაციის ზომის გაანგარიშება აუცილებელია აივ და C ჰეპატიტის ინფექციების გადაცემის პრევენციისთვის.

ჯანმრთელობის კვლევის კავშირის (HRU) მიერ განხორციელდა IBSS კვლევა მსმ-ებში საქართველოს 3 დიდ ქალაქში (თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში), სადაც კვლევის მონაწილეები შერჩეულ იყვნენ რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევის პრინციპით (RDS). კვლევისთვის დამატებით იყო გამოყენებული ე.წ. „ნომინაციის“ კითხვარი, და ასევე შინამეურნეობების კვლევა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა 2022 წელს საქართველოში მსმ პოპულაციის ზომისა და პრევალენტობის გაანგარიშება. წარმოდგენილ ანგარიშში შესულია ზემოაღნიშნული კვლევით მიღებული შედეგები.

საბოლოო სინთეზური შეფასება:

მსმ-ების რაოდენობა საქართველოს სამ ქალაქში 15–64 წლის კაცებზე გადათვლით  
8 367 (7 109-9 756)

ნაციონალური პრევალენტობა სამ ქალაქში 15–64 წლის კაცებზე გადათვლით  
1.88% (1.60%-2.19%)

მსმ-ების რაოდენობა საქართველოს ზოგად პოპულაციაზე გადათვლით  
23 268 (19 803-27 105)

ნაციონალური პრევალენტობა ზოგად პოპულაციაზე გადათვლით  
0.62% (0.53%-0.73%)

## 1. შესავალი

2020 წლის UNAIDS-ის ანგარიშის თანახმად (Country progress report – Georgia) საქართველო მიჩნეულია ქვეყნად, სადაც აივ ინფექცია/შიდსის პრევალენტობა დაბალია (აივ პრევალენტობის მაჩვენებელი ზოგად მოზრდილ მოსახლეობაში 0.4%) [25]. თუმცა, საქართველოსთვის, როგორც მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, სადაც 2023 წლისთვის აივ ინფიცირებულთა რაოდენობა დაახლოებით 10500-ს უდრის, ეს რიცხვი საკმაოდ საყურადღებოა. აქვე აღსანიშნავია, აივ ინფიცირებულთა დიდმა ნაწილმა სავარაუდოდ არ იცის თავისი აივ სტატუსის შესახებ. 2022 წელს, აივ ინფექციის 617 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა, რომელიც 2020/21 წლებთან შედარებით მაღალია. COVID-19 პანდემიის პერიოდში, როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც აივ ტესტირების შემცირება წარმოადგენდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან პრობლემას. სწორედ, SARS-CoV-2 პანდემიის დაწყებიდან, რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობის კლება, სავარაუდოდ აივ ინფიცირების ყველაზე მაღალი რისკის მქონე ადამიანების ტესტირების სიმცირის შედეგად იყო განპირობებული [24]. ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი საქართველოში კი ძირითად რისკჯგუფებშია კონცენტრირებული, როგორცაა მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან, ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში, სექს-მუშაკ ქალებსა და ტრანსგენდერ პირებში.

მსოფლიო მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებს სწორედ მაღალი რისკ ჯგუფები წარმოადგენენ. თუმცა, მათში და მათ პარტნიორებში აივ ინფექცია შიდსის ახალი შემთხვევების გავრცელება 2021 წლის მონაცემებით 70%-ს შეადგენს [15]. 2022 წლის მონაცემებით, მამაკაცებში, რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან აივ პრევალენტობა 11-ჯერ მაღალია, ხოლო აივ ინფექციის გადაცემის რისკი მსმ პოპულაციაში 28-ჯერ მაღალია განსხვავებით ზოგადი მოსახლეობისგან (15-49 წლის ასაკის ზრდასრული მოსახლეობა) [16].

საქართველოში 2018 წელს ჩატარებული მსმ პოპულაციის ზომის შეფასების კვლევის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით მსმ პოპულაციის ზომა განისაზღვრა 18,500 მსმ-ით, რომელიც

მოზრდილი (15-64წ) მამრობითი სქესის მოსახლეობის 1.55% უდრის [12].

რეგიონის შესწავლილი ქვეყნებიდან, ყველაზე მაღალი აივ-ის გავრცელება მსმ-ებს შორის საქართველოშია. კერძოდ, 2018 წელს მსმ პოპულაციაში

ბიომარკერული/ქცევის ზედამხედველობის კვლევის შედეგების თანახმად, სხვა რისკჯგუფებთან შედარებით მსმ-ში აივ ინფექციის გავრცელება მაღალი იყო და განსხვავდებოდა ქალაქების მიხედვით. კვლევის შედეგად, მსმ პოპულაციაში აივ პრევალენტობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 21.5% თბილისში დაფიქსირდა. გადაცემის გზების თვალსაზრისითაც, ბოლო წლებში გახშირდა აივ-ის სქესობრივი გზით გადაცემა. აივ ინფექციის ყველა რეგისტრირებული შემთხვევიდან, ჰეტერესექსუალური კონტაქტით დაინფიცირება 51.5 %-ს შეადგენს, ხოლო 13.4% მოდის მამაკაცებზე, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან [24].

გლობალური შიდსის მონიტორინგის სისტემაში UNAIDS-ის მიერ წარდგენილი მსმ პოპულაციის ზომის ანალიზის შედეგების მიხედვით (2019 ჩათვლით, ბოლო 5 წლის და 38 ქვეყნის მონაცემები) ზრდასრული მამაკაცების გლობალური საშუალო პროპორცია, რომლებსაც ჰქონდათ სექსი სხვა მამაკაცთან ბოლო 12 თვის მანძილზე 1.9% ტოლია. ზემოაღნიშნული ციფრი სტაბილურია, მერყეობს მხოლოდ ზრდასრული მამაკაცების პოპულაციის რაოდენობის შესაბამისად. საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში მსმ პოპულაციის განაწილება (15-49 ასაკობრივ ჯგუფში) შემდეგია: ყველაზე მაღალია ლათინურ ამერიკაში 3.37, შემდეგ კარიბის ზღვის ქვეყნებში 2.7, ამას მოჰყვება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები 2.1. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შუა აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებშია (1.02) [17].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მსმ პოპულაციის ზუსტი ზომა საქართველოში, რომელიც დაგვეხმარება დაუცველი პოპულაციის სიდიდის განსაზღვრისთვის, აივ-ისა და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების შესაფასებლად. გარდა ამისა, პოპულაციის ზომის განსაზღვრა საჭიროა სექსუალური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მხარდამჭერი პროგრამების შემუშავებისთვის რესურსების სწორად გადანაწილებისთვის, მათზე წვდომის და შედეგების შესაფასებლად. პოპულაციის ზომის შეფასება (PSE) გამოიყენება ადგილობრივ და სახელწიფოებრივ დონეზე სოციალური და ეკონომიკური გათვლების გასაუმჯობესებლად, ჯანმრთელობის კრიტიკულ საჭიროებებზე და ეპიდემიებზე რეაგირებისა და მონიტორინგისთვის. თუმცა, ნაწილობრივ ფარული პოპულაციის გაზომვა, ამ შემთხვევაში მსმ-ების, წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას.



არსებული მეთოდები, რომელიც მოწოდებულია ფარული პოპულაციის დასადგენად შეიცავს მრავალ ცდომილებას. სწორედ, ფარული პოპულაციის ზომის გაზომვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მსმ პოპულაციის ზომის სწორი აღრიცხვისათვის ჩვენ გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი [18]. კერძოდ, დამოუკიდებელ შენარჩევზე დაფუძნებული მეთოდი (ჩაჭერა-უკუჩაჭერის და მომსახურების მოხმარების კოეფიციენტის მეთოდი), სოციალურ ქსელზე დაფუძნებული მეთოდი (რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის და ქსელის ზომის განსაზღვრის მეთოდი).

## 2. მეთოდოლოგია

### 2.1 კვლევის ამოცანები

კვლევის ამოცანა იყო 2022 წელს საქართველოში მსმ-ების პოპულაციის ზომის შეფასება.

### 2.2 სამიზნე პოპულაცია

მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან განისაზღვრა, როგორც მამაკაცი, რომელსაც აქვს/ჰქონია სქესობრივი (როგორც პასიური, ისე აქტიური) კონტაქტი (ანალური ან ორალური) სხვა მამაკაცთან უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში

#### 2.2.1 კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები

IBSS-ის ფარგლებში კვლევაში მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. ბიოლოგიური სქესი - მამრობითი
2. სრულწლოვანი (18 ან მეტი წლის) კვლევაში ჩართვის მომენტისათვის
3. არის საქართველოს მოქალაქე
4. იცის ქართული ენა
5. ცხოვრობს ან მუშაობს საქართველოში
6. კვლევის საიტზე წარმოადგინა კვლევაში მონაწილეობის ვალიდური კუპონი
7. განაცხადა ინფორმირებული თანხმობა
8. დაადასტურა სქესობრივი (როგორც პასიური, ისე აქტიური) კონტაქტი (ანალური ან ორალური) სხვა მამაკაცთან უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში

## 2.3 მეთოდების მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილი შედეგები მიღებულია ფარული პოპულაციის (მსმ-ების პოპულაციის) ზომის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები: (1) ქსელის ზომის განსაზღვრის (Network Scale-Up, NSU) მეთოდი, (2) ჩაჭერა - უკუჩაჭერა (Capture-Recapture), (3) მომსახურების მოხმარების კოეფიციენტის მეთოდი (Service Multiplier Method), (4) კოეფიციენტის მეთოდი უნიკალური ნოვთის გამოყენებით (Unique Object Multiplier Method), (5) გეი მობილური აპლიკაციებისა და ვებ-გვერდების სერვისების მოხმარება“ (Gay Mobile Apps and Websites Service multiplier), (6) ჰენდკოკის RDS - ზე დაფუძნებული მეთოდოლოგია (Handcock's RDS Network Based Method) და (7) ჯგუფის ცოდნა (Wisdom of Crowd). ზემოაღნიშნული მეთოდებით შეფასებულია საქართველოში მსმ-ების პოპულაციის ზომისა და მსმ პრევალენტობის მაჩვენებლები.

### 2.3.1. მეთოდი 1: ქსელის ზომის განსაზღვრა

#### 2.3.1.1 შინამეურნეობების კვლევა და მონაცემების შეგროვება

მსმ-ების პოპულაციის ზომის შესაფასებლად შინამეურნეობების კვლევის კომპონენტი, მსმ-ების ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის ანალოგიურად, საქართველოს 3 ქალაქში - თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ჩატარდა.

გამოყენებული იყო მრავალსაფეხურიანი შერჩევის მეთოდი. შერჩევის პირველად ერთეულებს (PSU) საქართველოს 3 დიდი ქალაქის მუნიციპალიტეტები წარმოადგენდა (კლასტერები). მეორადი შერჩევის ერთეულები (SSU) ამ 3 მუნიციპალიტეტის საარჩევნო უბნებით იყო წარმოდგენილი. თბილისში 30 უბანი, ბათუმსა და ქუთაისში კი 20 უბანი, თითოეულში. შერჩევის მესამეული ერთეულები (TSU) სისტემური შემთხვევითი შერჩევის მიდგომით შერჩეული შინამეურნეობები იყო, სადაც ყოველი მე-5 შინამეურნეობის წარმომადგენელი იღებდა კვლევაში მონაწილეობას. შინამეურნეობებში რესპონდენტთა იდენტიფიცირება განხორციელდა კიშის მეთოდოლოგიით (18-64 ასაკობრივი ჯგუფისთვის) [19]. შინამეურნეობაში ინტერვიუს ვერ ჩატარების/უარის შემთხვევაში (3-ჯერ მცდელობის შემდგომ) შერჩეულ იყო რიგით შემდგომი შინამეურნეობა.

შერჩევის ზომის განსაზღვრა განხორციელდა აღწერილობითი კვლევებისთვის მოწოდებული მეთოდოლოგიით (წყარო: [www.openepi.com](http://www.openepi.com)), სადაც მოსალოდნელი პროპორცია განისაზღვრა, როგორც 0.50 (რაც ახდენს შერჩვის ზომისმაქსიმალიზაციას). კვლევის სიზუსტის ხარისხი (შეცდომის ზღვარი) +/- 0.05 მაჩვენებლით, სარწმუნობის დონე - 95% და შესაბამისი პოპულაციის ზომადაახლოებით 2.5 მილიონით განისაზღვრა. დიზაინის ეფექტი განვსაზღვრეთ 1.5 ტოლად. კვლევაში ჩასართავი სუბიექტების საერთო რაოდენობის გამოსათვლელად ასევე გავითვალისწინეთ დანაკარგის მაჩვენებელი, რომლის მაქსიმუმი 15%-ის ტოლად განვსაზღვრეთ (ცხრილი 2).

რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა პირისპირ ინდივიდუალური ინტერვიუების მეშვეობით, სპეციალურად შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოქალაქე, ზრდასრული მოსახლეობის 18-64 წლის ასაკობრივი ჯგუფის იმ წარმომადგენლებმა, რომელთაც ზეპირი ინფორმირებული თანხმობა განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე. გამოკითხვაში ჩართულ მონაწილეთა საერთო რაოდენობა იყო 770, რაც 3 ქალაქში შემდეგნაირად განაწილდა: თბილისში 470 რესპონდენტი, ხოლო ბათუმსა და ქუთაისში 150 რესპონდენტი თითოეულში.

ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ქალაქების და მამაკების სამიზნე ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, 2022წ

ქალაქი	სულ	კაცები	15-64 ასაკის კაცები
თბილისი	1108717	502890	347697
ბათუმი	152839	72757	51024
ქუთაისი	147635	69194	46830
სხვა დანარჩენი	2327209	1,148,979	792106

საქართველო	3736400	1793820	1,237,657
------------	---------	---------	-----------

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 2. შერჩევის ზომის შეფასება შინამეურნეობების კვლევისათვის

პარამეტრი	განმარტება	მაჩვენებელი
სამიზნე პოპულაციის ზომა:	სამიზნე პოპულაციის ზომა (დამრგვალებული)	2500000
სამიზნე პოპულაციაში შესასწავლი მოვლენის სავარაუდო პროპორცია:	50 % - მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს შენარჩევის მაქსიმალურ ზომას.	50 %
სარწმუნობის ინტერვალის დიაპაზონი	შენარჩევის პროცენტული მაჩვენებელი უნდა იყოს სამიზნე პოპულაციის მაჩვენებლის +/- 5%-ის ფარგლებში	5 %
სარწმუნობის კოეფიციენტი	95% სარწმუნობა, რომ შენარჩევის მაჩვენებლის სარწმუნობის ინტერვალი შეიცავს სამიზნე პოპულაციის პარამეტრს.	95 %
კლასტერების რაოდენობა	3 კლასტერი (ქალაქი/მუნიციპალიტეტი)	3
დიზაინის ეფექტი (DEFF)	შენარჩევის დისპერსია შეიძლება იყოს 1.5-ჯერ მეტი, ვიდრე იქნებოდა შერჩევის დროს რომ გამოყენებული ყოფილიყო მარტივი შემთხვევითი შერჩევის მეთოდი	1.5
შენარჩევის მინიმალური ზომა	საკვლევ მონაწილეთა მინიმალური საჭირო რაოდენობა	655

უარის მაჩვენებელი	რესპონდენტებისაგან მონაცემთა სრულფასოვანი მოპოვების პროცენტი. დანაკარგის მაჩვენებელი <15%.	15 %
შენარჩევის ზომა	საკვლევი შინამეურნეობების დაგეგმილი რიცხვი	770

### 2.3.1.2 ქსელის საშუალო ზომის შეფასება

NSU მეთოდის პირველ ეტაპზე, შინამეურნეობების მონაცემთა ბაზის გამოყენებით, ჩვენ შევაფასეთ რესპონდენტთა ქსელის საშუალო ზომა. პირველ რიგში, რესპონდენტებს ვკითხეთ, წინასწარ განსაზღვრული 16 ჯგუფიდან რამდენ ადამიანს იცნობდნენ ან რამდენთან გაუზიარებიათ საკვები ან სასმელი ბოლო ორი წლის განმავლობაში. „რამდენ X-ს იცნობთ?“ - თითოეულ ჯგუფში ამ კითხვის გამოყენებამ მიმართულია იმისკენ, რომ შემცირდეს ქსელის ზომის შეფასების პოტენციური ცდომილება, რაც თავის მხრივ ეფუძნება ადაპტირებულ ე.წ. „კონტაქტების თამაშის“ მეთოდოლოგიას [20,21]. ეს მეთოდი, ჩვეულებრივ, წარმატებით გამოიყენება ძნელად მისაღწევი პოპულაციების ზომის შესაფასებლად [12,22,23].

„ადამიანი, რომელსაც იცნობთ“ განიმარტება შემდეგი ლოგიკური კონსტრუქციით: [ ადამიანები, რომლებსაც იცნობთ სახეზე და სახელით, და რომლებიც ასევე გიცნობენ თქვენ სახეზე და სახელით ] და [ ადამიანები, ვისთანაც გქონდათ გარკვეული კონტაქტი პირადად, ტელეფონით ან ინტერნეტით (მაგ.: ელექტრონული ფოსტა, „სკაიპი“, საუბარი სოციალური ქსელების მეშვეობით) ბოლო 2 წლის განმავლობაში ] და [საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ასაკის პირი].

შემდეგ, 16 ცნობილი პოპულაციის ზომის გამოყენებით (ცხრილი 2), ჩვენ ვახდენდით ქსელის საშუალო ზომის უკუგადათვლას სამი ქალაქიდან თითოეულის მაცხოვრებელთათვის (განტოლებები ნაჩვენებია ქვემოთ). არარეალურად მაღალი მონაცემების კორექტირებისათვის მონაცემები მოვკვეთეთ 30-ის ტოლ ნიშნულზე.

ჩვენს მონაცემებში ქსელის საშუალო ზომის გამოსათვლელად გამოვიყენეთ შემდეგი ნაბიჯები:

- (1) პირველ რიგში, ჩვენ შევავასეთ ქსელის ზომა თითოეული მონაწილისათვის ( $i$ ) ცხრილ 3-ში ჩამოთვლილი ცნობილი ზომის პოპულაციების ( $j$ ) გამოყენებით,

$$\hat{c}_i = \frac{\sum_j m_{ij}}{\sum_j e_j} \times N$$

- სადაც  $\hat{c}_i$  არის პიროვნება  $i$ -ის ქსელის სავარაუდო ზომა
- $m_{ij}$  არის იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც პიროვნება  $i$  ასახელებს, რომ იცნობს ჯგუფ  $j$ -ში
- $e_j$  არის  $j$  ჯგუფის პოპულაციის ზომა
- $N$  არის საერთო პოპულაციის ზომა

- (2) შემდეგ, შევავასეთ ყველა მონაწილეს ქსელის საშუალო ზომა ( $\hat{c}$ )

- (3) და შემდეგ  $\hat{c}$ -ის გამოყენებით გამოვთვალეთ თითოეული  $j$  ჯგუფის პოპულაციის ზომა

$$e_j = \frac{\hat{e}_j}{\hat{c}} \times N$$

- სადაც  $\hat{e}_j$  არის 16 ჯგუფიდან თითოეულში რესპონდენტთა მიერ ნაცნობად მოხსენიებულ პირთა საშუალო რაოდენობა

ცხრილი 3. „ცნობილი ზომის“ პოპულაციების თექვსმეტი ჯგუფის შემადგენლობა და ზომა საქართველოში

შეკითხვა	ცნობილი ზომა	სქესის კატეგორია	იგივე სქესის პოპულაციის ზომა	საქართველოს მოსახლეობა	იგივე სქესის კატეგორიის %	მთლიანი მოსახლეობის %
სახელი „მამუკა“ 202 წელს	21720	კაცი	1793800	3736400	1.2	0.6
სახელი „ლუკა“ 2022 წელს	43626	კაცი	1793800	3736400	2.4	1.2
სახელი „ზურაბი“, „ზურა“ „ზუკა“ „ზურიკო“ 2022	49494	კაცი	1793800	3736400	2.8	1.3
სახელი „ვაჟა“ 2022 წელს	11498	კაცი	1793800	3736400	0.6	0.3
სახელი „სოფიკო“, „სოფიო“, „სოფო“ 2022 წელს	31340	ქალი	1942500	3736400	1.6	0.8
სახელი „მანანა“ 2022 წელს	33390	ქალი	1942500	3736400	1.7	0.9
სახელი „შორენა“ 2022 წელს	15602	ქალი	1942500	3736400	0.8	0.4
სახელი „ნინო“, „ნინიკო“, „ნინა“ 2022 წელს	127463	ქალი	1942500	3736400	6.6	3.4
სახელი „მაია“ 2022 წელს	47401	ქალი	1942500	3736400	2.4	1.3
სახელი „დავითი“, „დათო“, „დათუნა“, „დათიკო“ 2022	100978	კაცი	1793800	3736400	5.6	2.7
დაქორწინდა 2022 წელს	26048	ადამიანი	3736400	3736400	0.7	0.7
მასწავლებლები 2022-2023 წლებში	62296	ადამიანი	3736400	3736400	1.7	1.7
გარდაცვალება 2022 წელს	49118	ადამიანი	3736400	3736400	1.3	1.3
სიმსივნით გარდაცვალება 2022 წელს	4530	ადამიანი	3736400	3736400	0.1	0.1
დაშავდა ან გარდაიცვალა საგზაო შემთხვევის გამო 2022 წელს	8060	ადამიანი	3736400	3736400	0.2	0.2
უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები 2022-2023	161292	ადამიანი	3736400	3736400	4.3	4.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

(4) შემდეგ გამოვთვალოთ ცდომილების ფაქტორი (bias factor):

$$\text{Bias factor}_j = \frac{E_j}{e_j}$$

➤ სადაც  $E_j$  არის საკვლევი პოპულაციის ზომა  $j$  ჯგუფისთვის

(5) თუ ცდომილების ფაქტორი 2.0-ზე მეტი ან 0.5-ზე ნაკლები იყო, ხდებოდა შესაბამისი პოპულაციის ჩვენი გამოთვლებიდან ამოღება და ვიმეორებდით კვლავ ყველა საფეხურს მანამ, სანამ ყველა ცდომილების ფაქტორი არ იქნებოდა 0.5-დან 2.0-მდე დიაპაზონში. ჩვენი კვლევის მონაწილეთა ქსელის საშუალო ზომის საბოლოო შეფასება ითვლებოდა დარჩენილი ჯგუფებიდან.

### მსმ-ების პოპულაციის ზომის შეფასება

მსმ-ების პოპულაციის ზომის შესაფასებლად, რესპონდენტებს ვეკითხებოდით, თუ რამდენ მსმ-ს იცნობდნენ ან რამდენთან გაუზიარებიათ საკვები ან სასმელი ბოლო ორი წლის განმავლობაში. ამ კითხვაზე პასუხები მაქსიმალური ზღვარი დავაფიქსირეთ 30-ზე. შემდეგ, მონაწილეთა ქსელის საშუალო ზომის გამოყენებით, ჩვენ შევაფასეთ მსმ-ების პოპულაციის ზომა შემდეგნაირად:

$$\hat{e} = \frac{\sum_i m_i}{\sum_i \hat{e}_i} \times N$$

- სადაც  $\hat{e}$  არის მსმ-ების პოპულაციის სავარაუდო ზომა
- $m_i$  არის იმ მსმ-თა რაოდენობა, რომელიც მონაწილე  $i$ -იმ ნაცნობად დაასახელა
- $\hat{e}_i$  არის მონაწილე  $i$ -ის პირადი ქსელის სავარაუდო ზომა და
- $N$  არის ჯამური ზრდასრული (15-64) პოპულაციის ზომა სამი ქალაქიდან თითოეულში 2022 წელს

$m$ -ის, თითოეული მონაწილის მიერ დასახელებული მსმ-ების რაოდენობის, განსაზღვრაში გადახრის შესაფასებლად გამოვიყენეთ 1000-ჯერ გადათვლა (bootstrap resampling). ჩვენ გამოვიყენეთ 1000-ჯერ გადათვლა, რათა განგვესაზღვრა სავარაუდო მაჩვენებელი (point estimate) და 95% სარწმუნოების ინტერვალი  $m$ -ისათვის.



### ცდომილების შეთანასწორება

ჩვენს მიერ განხორციელებული იყო ჩვენი პოპულაციის ზომის შეფასების ორი ცდომილების შესწორება, ესენია: (1) ტრანსმისიის ანუ „გამჭვირვალობის“ ცდომილება (transparency bias) და (2) პოპულარობის ცდომილება (popularity bias) [24]. ტრანსმისიის ცდომილება ხდება მაშინ, როდესაც მსმ-ები ღიად არ ასახელებენ იმ მსმ-ებს, რომლებიც მათ სოციალურ ქსელს მიეკუთვნება, რაც ამ საკითხის სტიგმატიზებითაა განპირობებული. პოპულარობის ცდომილებას ადგილი აქვს იმიტომ, რომ მსმ-ებს შესაძლოა ჰქონდეთ უფრო მცირე ქსელის ზომები, ვიდრე ზოგად მოსახლეობას. აქედან გამომდინარე, უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი მოხვდნენ მონაწილეთა პირადი ქსელის ზომების განსაზღვრაში. ამ ცდომილების გასასწორებლად, რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის (RDS) გამოყენებით ჩვენ შევავროვეთ მონაცემები იმ მსმ-ებისგან, რომლებიც ცხოვრობენ ზემოთ ჩამოთვლილი სამი ქალაქიდან ერთ-ერთში. კითხვები მოიცავდა იმ პირების რაოდენობას, რომლებსაც თითოეული მონაწილე იცნობდა ცხრილი 3-ის 16 ჯგუფში (ცნობილი ზომის პოპულაციიდან).

**ინფორმაციის ტრანსმისიის ცდომილების** გამოთვლას ვახდენდით მონაწილის ქსელში იმ ადამიანთა რაოდენობით (16 ჯგუფში ნაცნობი ადამიანების რაოდენობა), რომელთაც იცოდნენ, რომ მონაწილე არის მსმ-ი, გაყოფილი თითოეულ ჯგუფში იმ ადამიანთა საერთო რაოდენობაზე, რომლებზეც მონაწილემ განაცხადა, რომ იცნობს. ეს წარმოადგენდა მონაწილეთა ქსელში მათ პროპორციას, ვინც იცოდა, რომ მონაწილე იყო მსმ-ი.

გამოვიყენეთ შემდეგი გამოთვლები: **ინფორმაციის ტრანსმისიის ცდომილება (information transparency bias, ITB) = 16 ჯგუფში იმ ადამიანთა საერთო რაოდენობა, რომლებმაც იცოდნენ, რომ მონაწილე არის მსმ-ი, გაყოფილი 16 ჯგუფში მონაწილის მიერ მოხსენიებულ ადამიანთა საერთო რაოდენობაზე.**

**მაკორექტირებელი ფაქტორი (ხილვადობის ფაქტორი) = 1 / ITB**

**პოპულარობის ცდომილებას** ვითვლიდით როგორც 16 ჯგუფში RDS-ის მონაწილეთა მიერ მოხსენიებულ ადამიანთა საშუალო რაოდენობას, გაყოფილს იმავე საშუალოზე შინამეურნეობების კვლევის მონაწილეებს შორის.

გამოვიყენეთ შემდეგი გამოთვლები: **პოპულარობის ინდექსი** = [16 ჯგუფში RDS კვლევის მონაწილეთა მიერ მოხსენიებულ ადამიანთა საშუალო რაოდენობა]/16 ჯგუფში შინამეურნეობების კვლევის მონაწილეთა მიერ მოხსენიებულ ადამიანთა საშუალო რაოდენობა. **პოპულარობის მაკორექტირებელი ფაქტორი** = 1 / პოპულარობის ინდექსი.

### 2.3.2 კოეფიციენტების მეთოდი

კოეფიციენტის მეთოდით შეფასების გამოსათვლელად გამოიყენება ორი დამოუკიდებელი მონაცემთა წყარო. მეთოდი იყენებს სამიზნე პოპულაციის ქვეჯგუფზე (მაგ. მსმ-ებზე) არსებულ მონაცემებს გარე წყაროებიდან [25]. თითოეულ მონაცემთა წყაროსთვის ითვლება კოეფიციენტი, რომელიც მსმ-ების საერთო პოპულაციის ზომის გასაანგარიშებლად გამოიყენება. მონაცემთა გარე წყარო საჭიროა, იყოს სამიზნე პოპულაციისთვის სპეციფიკური. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს მამაკაცებს, რომელსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან აივ-ზე ტესტირება ჩატარებული აქვთ თუ არა ბოლო 12 თვის მანძილზე. კოეფიციენტის გამოსათვლელად საჭიროა მსმ-ების დათვლა თითოეულ გარე წყაროში. გარე მონაცემებს ეწოდებათ საბაზისო მონაცემები (ე.წ. „ბენჩმარკი“).

შიდა მონაცემებიდან კოეფიციენტი გამოითვლება როგორც სამიზნე ჯგუფის ის პროპორცია, რომელთაც უფიქსირდებოდათ შესაბამისი საბაზისო („ბენჩმარკ“) მოვლენა. მაგალითად, RDS მონაცემთა შორის ვადგენდით მსმ-ების იმ პროპორციას, ვინც ჩაიტარა ტესტირება აივ-ზე ბოლო 1 წლის მანძილზე. კოეფიციენტი გამოითვლებოდა 1-ის შეფარდებით ამ პროპორციასთან. შემდგომ ჩვენ აღნიშნული კოეფიციენტის გარე მონაცემებზე გადამრავლებით ვანგარიშობდით მსმ-ების პოპულაციის ზომას.

#### 2.3.2.1 რეგიონული პრევალენტობის შეფასება

3 ქალაქში მსმ-ების პოპულაციის ზომისა და პრევალენტობის შესაფასებლად ჩვენ შემდეგი მიდგომა გამოვიყენეთ:

- (1) მსმ-ებთან დაკავშირებული საბაზისო ინფორმაციის შეკრება საბაზისო ინფორმაციის წყაროებიდან (დეტალები იხ. ქვემოთ, ქვეთავში „რუტინული ინფორმაციის შეგროვება“)

- (2) კოეფიციენტების გამოთვლა. კოეფიციენტის (M) გამოსათვლელად, ჩვენ ჯერ ვითვლიდით მსმ-ების იმ პროპორციას, რომელთაც ჰქონდათ „საბაზისო მოვლენის“ ეპიზოდი (benchmark event) (მაგ. აივ-ზე ტესტირება). შემდგომ, M-ს ვითვლიდით ერთის აღნიშნულ პროპორციაზე გაყოფით, თითოეული ქალაქისათვის ცალ-ცალკე.
- (3) მსმ-ების სავარაუდო რაოდენობის გამოთვლა თითოეული ქალაქისთვის. ამისათვის benchmark event-ის გამოცდილების მქონეთა რიცხვი მრავლდებოდა M-ზე.
- (4) მსმ-ების პრევალენტობის შეფასება. თითოეულ ქალაქში აღნიშნული მაჩვენებლების შეფასების პროცესი 3 ნაწილად დავყავით. პოპულაციის ზომის გაანგარიშება განხორციელდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)). გამოვიყენეთ 2022 წლის პოპულაციის მონაცემები ასაკის მიხედვით.

#### რუტინული ინფორმაციის შეგროვება

საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მსმ პოპულაციის სავარაუდო ზომის გამოსათვლელად გამოყენებული იქნა კოეფიციენტების ტექნოლოგია (Multiplier-Benchmark method). მონაცემები შეგროვდა შპს კანვენი-კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრიდან, საინფორმაციო სამედიცინო- ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა, ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობა“ და ამ სფეროში მომუშავე სამთავრობო უწყებებიდან. მსმ-ებთან დაკავშირებული საბაზისო მონაცემების შეგროვება განხორციელდა შემდეგი წყაროებიდან.

1. **დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი (დკსჯეც).** დკსჯეც წარმოადგენს აივ/შიდსის ეპიდზედამხედველობის სისტემის მარეგულირებელ სახელმწიფო ცენტრალურ ორგანიზაციას. მათ მიერ მოწოდებულ იქნა ინფექციის მაღალი რისკის შემცველი ჯგუფის - მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან აივ პრევენციული პაკეტით მოცული უნიკალური მსმ-ების რიცხვი. კერძოდ, 2022 წელს პაკეტით მოცული იყო 11836 პირი, მათ შორის აივ ტესტირების სერვისით ისარგებლა 10213-მა ბენეფიციარმა.
2. **კანვენი- კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი.** მამაკაცებს, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან ინფექციური დაავადებების (აივ-ზე,

სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე) გადაცემის პრევენციისთვის ქვეყანაში მოქმედებს სხვადასხვა პროგრამები. დღეისათვის მინიმალური პაკეტი, რომელიც მიეწოდება მსმ-ების სამიზნე პოპულაციას, მოიცავს შემდეგ ინტერვენციებს უფასოდ: ქცევითი ინტერვენციები; რისკის შემცირების კონსულტირება, კომბინირებული ტუბერკულოზის პრევენციის ინფორმაციასთან; აივ-ზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება(ნკტ); სგგი ტესტირება და მკურნალობა; ექსპოზიციის წინა პროფილაქტიკა; ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკა; ტესტირება ჰეპატიტ C-ზე და ჰეპატიტ B-ს ვაქცინაცია.

ცხრილი 4. კანვენის მიერ მოწოდებული მსმ-ების მოცვის მაჩვენებლები „ჯანმრთელობის კაბინეტში“, 2022

ქალაქი	# სერვისები ჯანმრთელობის კაბინეტში	მათ შორის # აივ ტესტირება	მათ შორის # სგდ მკურნალობა
თბილისი	994	596	442
ბათუმი	168	94	110
ქუთაისი	194	121	146
<b>სულ</b>	<b>1356</b>	<b>811</b>	<b>698</b>

წყარო: კანვენი-კანისა და ვენსნეულეზათა ს/კ ეროვნული ცენტრი.

3. **საინფორმაციო სამედიცინო- ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა.** არასამთავრობო ორგანიზაცია თანადგომას აქვს მოწყვლად ჯგუფებებთან : მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან - მსმ, ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები - ინმ, სექსმუშაკები - სმ, ახალგაზრდები, პატიმრები, ლგბტ თემი, ტრეფიკინგის მსხვერპლი, ადამიანები, რომელთაც შეეხოთ აივ/შიდსი, ადამიანები, რომელთაც შეეხოთ ტუბერკულოზი, იძულებით ადგილნაცვალი პირები, და სხვა ) მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ორგანიზაციის სერვისები ხელმისაწვდომია როგორც რეპროდუქციული ასაკის ზოგადი მოსახლეობისათვის, ასევე სარისკო პოპულაციისათვის. მსმ-ებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა სერვისები, კერძოდ, აივ ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება, სკრინინგი და თვითტესტირება, პრევენციული პაკეტებით მოცვა (კონდომები, ლუბრიკანტები) და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე (სიფილისი) ტესტირება. მსმ-ების მიერ მიღებული სერვისების მოცვა არის უნიკალური მონაცემები, თუ რამდენმა მსმ-მა მიიღო ზემოაღნიშნული სერვისი.

ცხრილი 5. საინფორმაციო სამედიცინო- ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა, 2022

მახასიათებელი	# აივ სკრინინგი (სწრაფი და თვითტესტირება)	# აივ პრევენციული პაკეტით მოცვა	# სგვი ტესტირება (სიფილისი)
მსმ	4764	5471	611

წყარო: საინფორმაციო სამედიცინო- ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა

4. **თანასწორობის მოძრაობა.** არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობა“ უზრუნველყოფს საჭიროებებზე დაფუძნებულ სოციალური თუ სამართლებრივი სერვისების მიწოდებას ლგბტქ+ ადამიანებს. ორგანიზაცია მიზნად ისახავს ლგბტქ+ ადამიანებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შექმნას, მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას. ასევე მუშაობს საზოგადოების ცნობიერების შეცვლისა და პოლიტიკის ადვოკატირებისთვის. “თანასწორობის მოძრაობა” ლგბტქ+ ადამიანებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს. კერძოდ, ტესტირებას აივ ინფექციაზე, VCT – ანუ ნებაყოფილობითი კონსულტირებას, პრევენციული პაკეტებით (კონდომებით, ლუბრიკანტებით და PrEP-ით) უზრუნველყოფას, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის და იურისტის მომსახურებას. ორგანიზაციაში შესაძლებელია სხვადასხვა პროფილის მქონე ექიმების კვალიფიციურ მომსახურების მიღება. 2022 წლის განმავლობაში, „თანასწორობის მოძრაობა“ ახორციელებდა გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს, სადაც სამიზნე პოპულაცია იყო მსმ ქცევის მამაკაცები, აივ დადებითი მსმ ქცევის მამაკაცები და ტრანსგენდერი პირები. პროექტის ფარგლებში მინიმალური/საბაზისო პრევენციული პაკეტით (კონდომები, ლუბრიკანტები და საინფორმაციო მასალები) მოიცვა - 5944 ბენეფიციარი; მათ შორის, სწრაფი, მარტივი ტესტირებით აივ ინფექციასა და სქესობრივი გზით გადამდებ სხვა ინფექციებზე - 5207 ბენეფიციარი.

#### 2.3.2.2. სერვისის მოხმარების კოეფიციენტის მეთოდი (Service Multiplier Method)

სერვისების მოხმარების მეთოდი წარმოადგენს ერთ-ერთ კოეფიციენტის მეთოდს, რომელიც იყენებს პროგრამული ჯანდაცვის ცენტრების მიერ ფარული პოპულაციებიდან შეგროვებულ მონაცემებს. გარე წყაროს წარმოადგენს მსმ-ების მიერ მიღებული სერვისის მოხმარების მონაცემები („ბენჩმარკი“). კოეფიციენტად (Multiplier) გამოყენებული იქნა ბოლო ერთი წლის მანძილზე აივ-ზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება (ნკტ). კვლევის ფარგლებში „ჯანმრთელობის კაბინეტებიდან“ და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, რომლებიც მუშაობენ ფარულ პოპულაციასთან შეგროვებულ იქნა მონაცემები თუ რამდენმა ბენეფიციარმა მიიღო ზემოაღნიშნული სერვისები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში (ცხრილი 4). ასევე, კოეფიციენტის მეთოდისთვის გარე წყაროდ გამოყენებულ იქნა დკსჯეც მიერ მოწოდებული მონაცემები.

სერვისის მოხმარების კოეფიციენტის გამოთვლისას შიდა მონაცემად გამოყენებულ იქნა სამიზნე ჯგუფის ის პროპორცია, რომელთაც უფიქსირდებოდათ შესაბამისი საბაზისო („ბენჩმარკი“) მოვლენა. ამისათვის, IBSS-ის კვლევის ფარგლებში რესპოდენტებისგან შეგროვდა მონაცემები, თუ რა სერვისები მიუღიათ ბოლო 6 თვის განმავლობაში

„ჯანმრთელობის კაბინეტებში“. „ჯანმრთელობის კაბინეტების“ მისამართები და სერვისები (ტესტირება აივ-ზე, სქესობრივად გადამდებ ინფექციებზე, მკურნალობა სქესობრივად გადამდებ ინფექციებზე) მითითებულ იყო კითხვარში.

### 2.3.2.3. კოეფიციენტის მეთოდი უნიკალური ნივთის გამოყენებით (Unique Object Multiplier Method)

უნიკალური ნივთის გამოყენებით კოეფიციენტის გამოთვლა გულისხმობს საკვანძო პოპულაციაში შემთხვევითობის პრინციპით უნიკალური ნივთის დარიგებას.

უნიკალური ნივთის გამოყენებით კოეფიციენტის გამოთვლის პროცედურა მოიცავს ორ ძირითად ეტაპს. პირველ ეტაპზე, ხდება დასამახსოვრებელი, უნიკალური ნივთის (მაგ. სამაჯური, სარკე, საკიდი) ფიქსირებული რაოდენობის დარიგება კვლევის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე (1-2 კვირით ადრე). შემდეგ ეტაპზე კი მნიშვნელოვანია კვლევის ინსტრუმენტში -IBSS კითხვარში, ისეთი კითხვების შეყვანა, რომლითაც შესაძლებელი იქნება შემდეგი ინფორმაციის მოპოვება: მიუღია თუ არა უნიკალური ნივთი ბოლო 2 თვის მანძილზე; თუ იქნებოდა შესაძლებელი წარმოედგინა ან აღეწერა ნივთი; როდის, სად და რამდენი ნივთი მიიღო ბენეფიციარმა და დაესახელებინა თუ ვინ გადასცა ეს ნივთი.

ამ ორი ეტაპის განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელი ხდება კოეფიციენტის მეთოდის გამოთვლა შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$N = \frac{n}{p}$$

- სადაც  $N$  არის საკვანძო პოპულაციის სავარაუდო ზომა.
- $n$  არის უნიკალური ნივთის საერთო რაოდენობა, რომელიც დარიგდა საკვანძო პოპულაციაში.
- $p$  არის საკვანძო პოპულაციის ის პროპორცია, რომელთაც კვლევის ფარგლებში აღნიშნეს უნიკალური ნივთის მიღება.

კვლევისათვის უნიკალური ნივთის შესარჩევად საკვანძო პოპულაციის თემის წარმომადგენლებთან ჩატარდა ფოკუს-ჯგუფური დისკუსია. უნიკალურ ნივთად შეირჩა წინდა, რომელიც იყო განსხვავებული, საინტერესო და ადვილად დასამახსოვრებელი. სურვილის შემთხვევაში ბენეფიციარები მარტივად შეძლებდნენ მის მოხმარებას. ფოკუსირებული დისკუსიისას ასევე განისაზღვრა ის ადგილები, სადაც მსმ თემთან

მუშაობის გამოცდილების მქონე სოციალური მუშაკი დაარიგებდა უნიკალურ ნივთს (ბარი, თემის მიერ ორგანიზებული ღონისძიება). ასევე მონაცემთა სიზუსტისთვის შემუშავდა პროტოკოლი, თუ როგორ უნდა დარიგებულიყო უნიკალური ნივთი. კერძოდ, განისაზღვრა დასარიგებელ წინდათა რაოდენობა. კვლევის ფარგლებში დარიგდა 500 წინდა. თითოეულ ადამიანს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ კვლევაში ჩართვის კრიტერიუმს, გადაეცა ერთი წინდა. ნივთის გადაცემისას მიეცათ რეკომენდაცია, რომ არ დაეკარგათ ან სხვისთვის არ გადაეცათ მიღებული წინდა და შეენახათ 3 თვის განმავლობაში.

#### 2.3.2.4. გეი მობილური აპლიკაციებისა და ვებ-გვერდების სერვისების მოხმარება“ (Gay Mobile Apps and Websites Service multiplier)

ვირტუალური პლატფორმები წარმოადგენენ მსმ-ებისთვის უსაფრთხო საზოგადოებრივ სივრცეს, სადაც მათ ეძლევათ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ და იპოვონ სექსუალური პარტნიორები ფარული გზით, სტიგმისა და დისკრიმინაციის გარეშე. მსმ-ების მიერ ვირტუალური პლატფორმების მოხმარება, როგორც მობილური აპლიკაციების, ასევე სოციალური ინტერნეტ გვერდების, გამოიყენება მათი პოპულაციის ზომის არაპირდაპირი შეფასებისთვის; თუმცა, ასეთი შეფასება იძლევა უფრო განზოგადებულ შეფასებებს სხვადასხვა საიტზე რეგისტრირებული მსმ-ების რაოდენობის მიხედვით.

წინა წლებში ჩატარებული მსმ-ების პოპულაციის ზომის შეფასების კვლევის შედეგების თანახმად, ქართველი მსმ-ები უპირატესად სარგებლობენ HornetApp, MambaApp, GeyromeoApp, GrindrApp. თუმცა, კვლევის დაწყებამდე, ჩატარდა ფოკუს-ჯგუფური დისკუსია, რომელსაც ესწრებოდნენ მსმ თემის წარმომადგენლები, რომელთაც ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება და ცოდნა ვებსაიტების და მობილური ტელეფონების აპლიკაციების გამოყენების შესახებ. შეხვედრაზე მონაწილეებმა შეიმუშავეს მსმ-ების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული ვირტუალური პლატფორმების სია. მონაცემთა მიმოხილვის თანახმად, მსმ-ების მიერ გამოყენებული აპლიკაციების და საიტების სია წინა კვლევის შემდეგ უცვლელია. შესაბამისად, ჩვენი კვლევის ფარგლებშიც, წინასწარ შემუშავებული გრაფიკის საფუძველზე, მკვლევარებმა შექმნეს საკუთარი პროფილები და რეგულარულად სტუმრობდნენ თითოეულ პლატფორმას/საიტს თვე ნახევრის განმავლობაში.

მონაცემთა შეგროვება ვირტუალური პლატფორმების გამოყენებით კოეფიციენტის გამოსათვლელად მოიცავდა ორ ფაზას:



1. პირველი ფაზა. კვლევის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, წინასწარ შემუშავებული ფორმატის გამოყენებით, მკვლევარებმა აღრიცხეს თითოეულ პლატფორმასა თუ ინტერნეტ საიტზე დღის ყველაზე აქტუალურ დროს, დამის საათებში დარეგისტრირებული ონლაინ მსმ მომხმარებლების მთლიანი რაოდენობა. ასევე, კვლევის დაწყების შემდგომ ერთი თვის მანძილზე, ორჯერ მოხდა მომენტობრივი შეფასება ზემოაღნიშნულ საიტებზე მსმ-ების იმ რაოდენობისა, რომლებიც ხილულნი იყვნენ ონლაინ რეჟიმში. ყოველივე ამის შემდეგ, განსვსაზღვრეთ არადუბლირებული რიცხვი იმ მსმ-ებისა, რომელთაც ისარგებლეს სხვადასხვა ვირტუალური პლატფორმით სხვადასხვა დროს.
2. მეორე ფაზა. IBSS კვლევის ფარგლებში კვლევის ბენეფიციარებს ვეკითხებოდით მოუხმარიათ თუ არა რომელიმე მობილური აპლიკაცია თუ ვებგვერდის პლატფორმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში. განსვსაზღვრეთ იმ მსმ-ების წილი, რომელთაც კვლევაში მიიღეს მონაწილეობა და დაასახელეს ვირტუალური პლატფორმების გამოყენების პრაქტიკა კვლევაში ჩართვამდე 2 კვირით ადრე ან კვლევის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში.

ეს მონაცემი კი გვეხმარება ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენებით კოეფიციენტის გამოთვლაში. სწორედ ამ ორი მონაცემის საშუალებით, მსგავსად უნიკალური ნივთის გამოყენებით კოეფიციენტის მეთოდისა, ვიანგარიშეთ მსმ-ების სავარაუდო რაოდენობა. პირველი ფაზის დროს მონაცემთა შეყვანა და ანალიზი მოხდა Microsoft excel-ის საშუალებით, ხოლო მეორე ფაზის მონაცემები შეყვანილ და დამუშავებულ იქნა SPSS 26.0-ში.

კოეფიციენტის ყველა მეთოდის გამოთვლისთვის გამოყენებულ იქნა კალიფორნიის უნივერსიტეტი, სან-ფრანცისკოს მიერ მოწოდებული სახელმძღვანელო (Population Size Estimation Summary Tool), სადაც კოეფიციენტის სამივე მეთოდის გამოთვლისას შემდეგი ფორმულით ვხელმძღვანელობდით:

$$Var(N) = \frac{Var(M)}{[E(P)]^2} + \frac{[E(M)]^2}{[E(P)]^4} Var(P)$$

- სადაც M არის იმ მსმ-თა რაოდენობა, რომელთაც უფიქსირდებოდა ბენჩმარკ მოვლენა (მიიღეს სხვადასხვა სერვისი ჯანმრთელობის კაბინეტებში/ დაურიგდათ უნიკალური ნივთი/ იყენებდნენ სხვადასხვა ვირტუალური პლატფორმას).

- P არის RDSAT-დან იმ მსმ-თა პროპორცია, რომელთაც კვლევის ფარგლებში დაასახელეს სერვისების მიღება/ მიიღეს უნიკალური ნივთი კვლევის ფარგლებში/ გამოიყენეს სხვადასხვა ვირტუალური პლათფორმა.

სწორედ, ზემოთ მოცემული ფორმულის საშუალებით ხდებოდა M-სა და P-ს დისპერსიების კომბინირება.

პუასონის განაწილებასთან მიახლოებისთვის, სარწმუნოების ინტერვალის გამოთვლისას გამოყენებულ იქნა ნორმალური განაწილება. 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალის(CI) გამოთვლისას, როდესაც  $\alpha$  სარწმუნოების დონე ( პირველი ტიპის შეცდომა) 0.05-ის ტოლია,  $z_{\alpha/2} = 1.96$ . RDSAT სტანდარტული გადახრა (SE) გამოთვლილ იქნა P-დან. სარწმუნოების ინტერვალის გამოთვლისას გამოვიყენეთ 1000-ჯერ გადათვლა (bootstrap), რათა განგვესაზღვრა P-თვის სარწმუნოების ინტერვალის ქვედა და ზედა ზღვარი და შეგვეფასებინა ის უზუსტობა, რომელიც შესაძლებელია გვქონოდა იმ ინდივიდების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელთაც კვლევის ფარგლებში მიიღეს მონაწილეობა. სარწმუნოების ინტერვალი შემდეგი ფორმულით ითვლებოდა:

$$95\%CI \text{ for } N = N \pm 1.96 \times \sqrt{Var(N)}$$

### 2.3.3. მეთოდი 3: ჩაჭერა - უკუჩაჭერა (Capture-Recapture)

ჩაჭერა-უკუჩაჭერის (CR) მეთოდი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიყენება ფარული პოპულაციების ზომის შესაფასებლად. მეთოდოლოგიები განსხვავდება კვლევების მიხედვით. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ამ მეთოდის მოდიფიცირებული ვერსია, რომელიც გამორიცხავდა ორი დამოუკიდებელი შენარჩევის არსებობის საჭიროებას (როგორც ეს საჭიროა ჩაჭერა-უკუჩაჭერის სტანდარტული მეთოდებისთვის) და „ბენჩმარკ“ ინფორმაციის გამოყენებას. შენარჩუნებულ იქნა მონაწილეთა და მათი კონტაქტების ანონიმურობა, ჩაჭერა-უკუჩაჭერის ამ მოდიფიცირებულ მეთოდს, ასევე უწოდებენ „telefunken“ მეთოდს.

სწორედ, ამ მეთოდის შინაარსიდან გამომდინარე მვლევარს ეძლევა შესაძლებლობა RDS-ის ტალღების საშუალებით მიაღწიოს ფარული პოპულაციის წარმომადგენლებს განმეორებით. იდენტური ინდივიდების აღმოჩენის შედეგად მიღებული პროპორცია კი გამოყენებულ იქნას პოპულაციის მთლიანი ზომის შესაფასებლად (ლინკოლნ-პეტერსონის მიერ მოწოდებული ფორმულა) :

$$P = \frac{n \times s}{t}$$

სადაც,

P არის მთლიანი ფარული პოპულაციის ზომა

n არის ჩაჭერა

s არის მეორე ჩაჭერა

t არის უკუჩაჭერა.

ამ მეთოდის გამოყენებისთვის ორი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი უნდა დაკმაყოფილდეს: (i) კვლევის შენარჩევი უნდა იყოს ფარული პოპულაციის რეპრეზენტატიული და (ii) კვლევაში მონაწილე ფარული პოპულაციის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსი, რომ მოხდეს მათი ჩაჭერა.

ამ მეთოდის განხორციელებისთვის მონაცემების შეგროვება განხორციელდა IBSS კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა გამოკითხვის საფუძველზე. ეს პროცესი მოიცავდა თითოეული RDS-ის რესპოდენტისგან პირადი ინფორმაციის მოპოვებას და თითოეული მათგანისგან 5 კონტაქტის (მსმ-ის) გამოვლენას. თითოეული ინდივიდისთვის შეიქმნა კოდი პროტოკოლით განსაზღვრული რაოდენობის ციფრების გათვალისწინებით. ამისათვის მოპოვებულ იქნა მონაცემები კვლევაში მონაწილე რესპოდენტების ქსელის ზომის შესახებ, დემოგრაფიულ და პირად მახასიათებლებთან (სიმაღლე, წონა, თმის ფერი, თვალის ფერი, ეთნიკურობა) ერთად, ტელეფონის ნომრები შესატყვისი ანონიმური კოდირებით. კერძოდ, თითოეულ მონაწილეს უნდა დაესახელებინა საკუთარი ტელეფონის ნომრის ბოლო ოთხი ციფრი, თითოეული ციფრის დაშიფვრა კი ხდებოდა იმის მიხედვით, იყო ეს ციფრი კენტი ან ლუწი, დაბალი (0-4) ან მაღალი (5-9). მაგალითად, თუ სატელეფონო კოდის ბოლო 4 ციფრი არის 2451, მისი დაშიფვრა მოხდებოდა, როგორც ლუწი-ლუწი-კენტი-კენტი-დაბალი-დაბალი-მაღალი-დაბალი. ამ გზით, თითოეული კვლევის მონაწილე და მასთან ასოცირებული ნაცნობი იყვნენ ინდენტიფიცირებულნი შესაბამისი კოდით, რომელიც იძლეოდა როგორც რესპოდენტის, ასევე მათი წარმომადგენლების ანონიმურობის შენარჩუნების საშუალებას. თუმცა, იძლეოდა რესპოდენტის შესაბამისობის დადგენას სხვა რესპოდენტების მიერ მოხსენებულ კონტაქტებთან ანონიმურობის პრინციპების დაცვის პირობებში.

კვლევის ბენეფიციარს ნაცნობები უნდა შეერჩიათ იმ სიიდან, რომელთა ნომრები ბოლო პერიოდში იყო დამატებულები მობილური ტელეფონის კონტაქტების დირექტორიაში. მობილურ ტელეფონში ხუთზე ნაკლები მსმ ნაცნობის ნომრის არსებობის შემთხვევაში,

ისინი ასახელებდნენ ყველა კონტაქტს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მსმ კონტაქტების რაოდენობა იყო ბევრი, პირველი კონტაქტის შერჩევა ხდებოდა ანბანიდან გვარის საწყისი ასოს ამორჩევით რანდომიზებულიად. შემდგომ იქმნებოდა რესპოდენტის სატელეფონო კონტაქტებში ამ ასოთი ჩაწერილ პირველ ადამიანზე უნიკალური კოდი, ხოლო დანარჩენი ოთხი კონტაქტის ამორჩევა ხდებოდა თანმიმდევრულად - ყოველი მომდევნო მსმ კონტაქტი.

ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენებით პოპულაციის ზომის გამოთვლისას, კვლევის ბენეფიციარებს განიხილავდნენ, როგორც „ჩაჭერას“, ინტერვიუების დროს რესპოდენტების მიერ დასახელებულ ნაცნობებს „მეორე ჩაჭერად“, ხოლო დასახელებულ ნაცნობებში დამთხვევათა რაოდენობას „უკუჩაჭერას“ უწოდებდნენ. ამ მეთოდის ნაკლოვანებას წარმოადგენს, ცრუ დამთხვევათა შესაძლო ცდომილება (ინდივიდების დამთხვევა, რომლებსაც შემთხვევით აქვთ ერთნაირი კოდი), რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს მიღებული პოპულაციის ზომის შესაძლო ცდომილება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სტანდარტული ცდომილება, რომლითაც შევაფასეთ დამთხვევათა შესაძლო ცდომილებების დიაპაზონი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$SEp = \sqrt{\frac{n \times s \times (n - t) \times (s - t)}{t^3}}$$

ხოლო 95% CI = P ± 1.96 x √SEp

თუ განვიხილავთ ჩვენს მაგალითზე, სადაც n = 539 (ჩაჭერა- რესპოდენტების რაოდენობა კვლევაში, რომლისგანაც მოხდა ინფორმაციის მოპოვება), s= 2074 (მეორე ჩაჭერა - ინფორმაცია მოგვაწოდეს მათი კონტაქტების შესახებ), თითოეული რესპოდენტისთვის შექმნილი ინდივიდუალური კოდის საფუძველზე, აღმოჩნდა რომ ამ კონტაქტებში დამთხვევათა რაოდენობა არის 191 ( t=191), მაშინ პოპულაციის ზომა იქნება P=5853. ჩვენი მაგალითისთვის,

$$SEp = \sqrt{\frac{539 \times 2074 \times (539 - 191) \times (2074 - 191)}{191^3}} = 11480$$

რაც გვაძლევს 95% სარწმუნოების ინტერვალს = 5853 ± 1.96 x √11480

მეთოდი 4: ჰენდკოკის RDS - ზე დაფუძნებული მეთოდოლოგია (Handcock's RDS Network Based Method)

როგორც ჩვენთვის ცნობილია, რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის (Respondent Driven Sampling, RDS) მეთოდი გამოიყენება ფარული პოპულაციებისთვის, რომელიც ეყრდნობა სოციალური კონტაქტების მიკვლევას. RDS რეკრუტირების პროცესი სწორედ სოციალური ქსელის საშუალებით სამიზნე პოპულაციიდან ინდივიდების შერჩევას ეფუძვნება. ჰენდკოკის RDS-ზე დაფუძნებული მეთოდი გვეხმარება თანმიმდევრული შერჩევის მიახლოებაზე RDS-ის მიერ გამოვლენილი ქსელის მონაცემებთან. ამ მეთოდის მთავარი არსი კი ის არის, რომ რეკრუტირების ჯაჭვი, რეკრუტირების დრო და რეკრუტირებული სუბიექტების ქსელის ზომა გვაწვდის ინფორმაციას სამიზნე პოპულაციის პირადი ქსელის რაოდენობის შესახებ, რომლებიც ჯერ არ არიან კვლევაში ჩართულები. სწორედ, RDS რეკრუტირებისას, რესპოდენტები, რომლებიც სოციალურად აქტიური არიან და უფრო მეტი სოციალური კონტაქტები ჰყავთ, კვლევაში უფრო ადრეულ ეტაპზე მოხვდებიან, იმათთან შედარებით რომლებიც იზოლირებული არიან.

აღნიშნული მეთოდის ანალიზისას გამოყენებულ იქნა ბაიეზის ჩარჩო, რომელიც იყენებს წინა კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგებს. შესაბამისად, ჩვენი კვლევისთვის, წინა ცოდნად გამოყენებულ იქნა 2018 წლის კვლევით მიღებული შეფასებები მსმ პოპულაციის ზომის შესახებ თბილისისთვის, ბათუმისა და ქუთაისისთვის. ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა RDS-A სტატისტიკური ანალიზის პროგრამა.

### 2.3.5. მეთოდი 5: ჯგუფის ცოდნა (Wisdom of Crowd)

მრავალჯერადი შეფასების საშუალო მნიშვნელობა უფრო ზუსტია, ვიდრე რომელიმე ერთი შეფასება; სწორედ, შეფასების ამ მეთოდს უწოდებენ ჯგუფის ცოდნის მეთოდს (WOC). ჯგუფის ცოდნის მეთოდის არსი შემდგომში მდგომარეობს, კვლევის შენარჩევის (მსმ-ები, რეპრეზენტატიული იმ პოპულაციის, რომლის ზომასაც ვაფასებთ) მიერ დასახელებული პასუხები პოპულაციის სიდიდის შესახებ, გვეხმარება ფარული პოპულაციის რეალური ზომის შეფასებასებში. კვლევის ფარგლებში IBSS -ის კვლევის მონაწილეებს სთხოვეს დაესახელებინათ რა რაოდენობის მსმ შეიძლება ცხოვრობდეს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. ჯილეს შეფასების შკალის გამოყენებით (RDS-A ანალიზის სისტემის შემადგენელი ნაწილი) და კვლევის მონაწილეთა პასუხზე დაყრდნობით, გამოვთვალეთ საშუალო სიდიდე, ასევე, 95% სარწმუნოების ინტერვალი (მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობები).

## 3. ეთიკის საკითხები

კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. მსმ პოპულაციის ზომის შეფასებისთვის, როგორც შინამეურნეობების კვლევის კომპონენტის წარმომადგენლებს, ასევე მსმ-ების

ქვევანთ ზედამხედველობის კვლევის ბენეფიციარებს მიეწოდათ ინფორმაცია კვლევის მიზნის, ამოცანების, მეთოდების, პროცედურების, რისკებისა და სარგებლის შესახებ. ყველა სუბიექტი, რომელიც თანხმდებოდა კვლევაში მონაწილეობაზე, ხელს აწერდა ინფორმირებული თანხმობის ფორმას და მხოლოდ ამის შემდეგ ერთვებოდა კვლევაში. დაცული იყო ანონიმურობის პრინციპი. მონაწილეთა ვინაობა არ ფიქსირდებოდა. IBSS-ის კომპონენტის ფარგლებში რეკრუტირებულ მონაწილეებზე კი მთელს დოკუმენტაციაზე მხოლოდ რესპონდენტის 15-ნიშნა კოდი იყო აღნიშნული.

კვლევის დაწყებამდე, კვლევის პროტოკოლი და ინსტრუმენტები განიხილა და დაამტკიცა ჯანმრთელობის კვლევის კავშირის ეთიკურმა კომისიამ (IRB00009520; IORG005619).

## 4. შედეგები

### ქსელის ზომის განსაზღვრა

#### მსმ პოპულაციის დემოგრაფიული მონაცემები

კვლევაში ჩართული იყო 653 მონაწილე. მონაწილე მსმ-ების მედიანური ასაკი ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისში - 26 წელი, ქუთაისში - 40 წელი და ბათუმში - 27 წელი. უმაღლესი განათლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბათუმში დაფიქსირდა (9.7%), შემდეგ თბილისში (8.2%) და ბოლოს ქუთაისში (2.9%). ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, დაქორწინებული იყო ქუთაისში მცხოვრები მსმ-ების 38.1%, ბათუმში მცხოვრები მსმ-ების 4.1% და თბილისში მცხოვრები მსმ-ების 3.6%. დასაქმებული ან თვითდასაქმებული მსმ-ები ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდნენ: თბილისი - 71.0%, ქუთაისი - 66.3% და ბათუმი 80.8% (ცხრილი 6). ცხრილი 6. მსმ ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის მონაწილეთა მახასიათებლები (პოპულაციაზე გადათვლა RDS-A ის საფუძველზე)

მახასიათებელი	თბილისი N= 302	ქუთაისი N= 150	ბათუმი N= 201
ასაკი (მედიანა)	26 წ	40 წ	27 წ
≤ 24 წ	36.0%	9.3%	30.0%
>24 წ	64.0%	90.7%	70.0%
განათლება			
უმაღლესი განათლება	8.2%	2.9%	9.7%
სხვა	91.8%	97.1%	90.3%
ოჯახური მდგომარეობა			
დაქორწინებული	3.6%	38.1%	4.1%
სხვა	96.4%	61.9%	95.9%
დასაქმება			
დასაქმებული/თვითდასაქმებული	71.0%	66.3%	80.8%
უმუშევარი	29.0%	33.7%	19.2%

## ზოგადი მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები

შინამეურნეობის კვლევაში, რომელიც ჩატარდა თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, ჩართული იყო 770 მონაწილე. სამივე ქალაქში რესპონდენტების უმრავლესობა ქალი იყო (თბილისი - 63.1%, ქუთაისი - 54.0% და ბათუმი - 56.0%). ქალაქების მიხედვით მონაწილეთა მედიანური ასაკი შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი - 47 წელი, ქუთაისი - 45 წელი და ბათუმი 46 წელი. უმაღლესი განათლების დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში - 58.0%, შემდეგ ბათუმში - 56.7% და ბოლოს ქუთაისში - 45.3%. სამივე ქალაქში მონაწილეთა უმრავლესობა დაოჯახებული იყო (თბილისი - 55.5%, ქუთაისი - 54.9% და ბათუმი 50.3%). დასაქმების სტატუსის მიხედვით, დასაქმებული/თვითდასაქმებული მონაწილეების მაჩვენებლები ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი - 85.7%, ქუთაისი - 75.3% და ბათუმი - 79.9% (ცხრილი 7).

ცხრილი 7. შინამეურნეობების კვლევის მონაწილეთა მახასიათებლები

მახასიათებელი	თბილისი N= 470	ქუთაისი N= 150	ბათუმი N= 150
სქესი			
ქალი	63.1%	54.0%	56.0%
კაცი	36.9%	46.0%	44.0%
ასაკი (მედიანა)	47 წ	45 წ	46 წ
≤ 24 წ	5.3%	9.3%	4.0%
>24 წ	94.7%	90.7%	96.0%
განათლება			
უმაღლესი განათლება	58.0%	45.3%	56.7%
სხვა	42.0%	54.7%	43.3%
ოჯახური მდგომარეობა			
დაქორწინებული	55.5%	54.9%	50.3%
სხვა	44.5%	45.1%	49.7%
დასაქმება			



დასაქმებული/თვითდასაქმებული	85.7%	75.3%	79.9%
უმუშევარი	14.3%	24.7%	20.1%

**პოპულაციის ზომის შეფასება NSU მეთოდით**

NSU მეთოდით ჩატარებული ანალიზით მსმ ჯამური რაოდენობა სამივე ქალაქისთვის უტოლდებოდა 8540-ს, რაც სამიზნე პოპულაციაზე გადათვლით უტოლდებოდა 1.92 %-ს (ცხრილი 8).

ცხრილი 8. პოპულაციის ზომის შეფასება NSU მეთოდით სამივე ქალაქისთვის

მომენტობრივი შეფასება	მსმ რაოდენობა		მომენტობრივი შეფასება	მსმ გავრცელება % (15-64 წლის კაცები)	
	95% CI			95% CI	
<b>8540</b>	6765	12450	1.92	1.52	2.79

**პოპულაციის ზომის შეფასება მრავლობითი კოეფიციენტების მეთოდით**

მსმ-ების პოპულაციის ზომა შეფასდა სხვადასხვა მეთოდებით მიღებული კოეფიციენტებით, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის კაბინეტებით სარგებლობას, აივ ტესტირებას, აივ პრევენციული სერვისებით სარგებლობას, კვლევის ფარგლებში დარიგებულ უნიკალურ ნივთს და მობილურ/ვებ აპლიკაციების მოხმარებას. მსმ-ების პოპულაციის მომენტობრივი შეფასება ჯანმრთელობის კაბინეტებით სარგებლობის მიხედვით 7700-ია, აივ ტესტირების კოეფიციენტის მიხედვით - 8122, აივ პრევენციული პაკეტით სარგებლობის კოეფიციენტის გამოყენებით - 10296, ხოლო უნიკალური ნივთის კოეფიციენტის მიხედვით - 5269. მობილური და ვებ აპლიკაციების კოეფიციენტების მიხედვით მსმ-ების მომენტობრივი შეფასებები შემდეგნაირად გადანაწილდა: “MambaApp” – 16325, „HornetApp” – 3318, “GeyromeoApp” – 11645 და “GrindrApp” – 5203 (ცხრილი 9).

ცხრილი 9. მსმ-ების სავარაუდო რაოდენობა ინდიკატორების მიხედვით

სამივე ქალაქი	კოეფიციენტის მეთოდი	მომენტობრივი შეფასება	95% CI	
	ჯანმრთელობის კაბინეტები	7700	5852	9625
	აივ ტესტირება	8122	6912	9341

	სერვისის გამოყენება	10296	7928	12664
	უნიკალური ნივთი	5629	3715	7543
	MambaApp	16325	8489	24161
	HornetApp	3318	1858	4778
	GeyromeoApp	11645	1980	21311
	GrindrApp	5203	4007	6400

## პოპულაციის ზომის შეფასება ჩაჭერა-უკუჩაჭერის მეთოდით

ჩაჭერა-უკუჩაჭერის მეთოდით მსმ-ების პოპულაციის ზომის გამოსათვლელად გამოვიყენეთ უნიკალური „Telefunken code“-ები, რომლებიც ინდივიდუალურად შეიქმნა კვლევაში ჩართული თითოეული მონაწილისთვის. შედეგების მიხედვით, მსმ პოპულაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში - 2829, შემდეგ ბათუმში - 1623 და ბოლოს ქუთაისში - 1312. მსმ პოპულაციის ზომა სხვა დანარჩენი ქალაქებისთვის 6446-ია, ხოლო სრულიად საქართველოსთვის - 12299 (ცხრილი 10).

ცხრილი 10. მსმ პოპულაციის ზომის შეფასება ჩაჭერა- უკუჩაჭერის მეთოდით

ქალაქი	მსმ პოპულაცია						მსმ გავრცელება 15-64 წლის კაცებში 15-64 წლის კაცები		
	დამთხვევა #	ჩაჭერა	მორე ჩაჭერა	მომენტ. შეფასება	ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	მომენტ. შეფასება	ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი
თბილისი	85	264	911	2829	2462	3197	0.81%	0.69%	0.93%
ბათუმი	61	132	750	1623	1315	1948	3.18%	2.58%	3.82%
ქუთაისი	45	143	413	1312	1089	1536	2.80%	2.33%	3.28%
სამივე ქალაქი	191	539	2074	5853	5268	6438	1.31%	1.18%	1.44%
სხვა დანარჩენი				6446	5608	7284	0.81%	0.71%	0.92%
საქართველო				12299	10700	13898	0.99%	0.86%	1.12%

## ჯგუფის ცოდნა

IBSS კვლევის შედეგების და ჯგუფის ცოდნის მეთოდის გამოყენებით შევასეთ მსმ-პოპულაციის ზომა. შედეგების მიხედვით, მსმ პოპულაციის ზომა სამივე ქალაქში იყო 11945 ინტერვალთ 8370-დან 14591-მდე. მსმ პოპულაციის ზომა ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი - 11500, ბათუმი - 215 და ქუთაისი - 230 (ცხრილი 11).

ცხრილი 12. მსმ პოპულაციის ზომის შეფასება ჯგუფის ცოდნის მეთოდის გამოყენებით

ქალაქი	მომენტობრივი შეფასება	ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი
თბილისი	11500	8370	14591
ბათუმი	215	167	276
ქუთაისი	230	226	259
სამივე ქალაქი	11945	8763	15126

## პოპულაციის ზომის შეფასება ჰენდკოკის RDS-ზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით

ჰენდკოკის RDS-ზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით, რომელიც შედეგების გამოსათვლელად იყენებს წინა ცოდნას, მსმ-ების პოპულაციის მომდევნო ზომა სამივე ქალაქში 11792-ია, ხოლო ქალაქების მიხედვით აღნიშნული რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი - 9736, ბათუმი - 976 და ქუთაისი - 1080 (ცხრილი 13).

ცხრილი 13. მსმ პოპულაციის ზომის წინა და მომდევნო ცოდნა

ქალაქი	მსმ პოპულაცია					მსმ გავრცელება % (15-64 წლის კაცები)			
	წინა ცოდნა (მომენტ. შეფასება)	95% CI		მომენტობრივი შეფასება	95% CI		მომენტობრივი შეფასება	95% CI	
თბილისი	6875	4968	9087	9736	7521	11893	2.80%	2.16%	3.42%
ბათუმი	689	405	1045	976	613	1368	1.91%	1.20%	2.68%
ქუთაისი	763	452	1149	1080	684	1504	2.31%	1.46%	3.21%
სამივე ქალაქი	8327	5825	11281	11792	8818	14765	2.65%	1.98%	3.31%

## მონაცემთა სინთეზი

მონაცემთა სინთეზის და ტრიანგულაციისთვის გამოვიყენეთ სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის მიერ შექმნილი „Anchor Multiplier tool (UCSF)“, სადაც შეტანილ იქნა ყველა მეთოდით მიღებული შედეგები. მონაცემთა დამუშავებისას პროგრამამ არ მიიღო “Mamba.ru“-ს მონაცემები, რის გამოც მოხდა აღნიშნული მონაცემის ანალიზიდან გამოთიშვა. შედეგების მიხედვით, სამივე ქალაქში მსმ პოპულაციის ზომამ შეადგინა 8367, ინტერვალით 7109-დან 9756-მდე. 15-64 წლის კაცებში მსმ პოპულაციის პროცენტული მაჩვენებელი მივიღეთ 1.88%, ინტერვალით 1.60%-დან 2.19%-მდე (ცხრილი 14).

ცხრილი 14. მსმ პოპულაციის ზომა 15-64 წლის კაცებში, 2022

სამივე ქალაქი	საშუალო %	ქვედა ზღვარი %	ზედა ზღვარი %	საშუალო (რაოდენობა)	ქვედა ზღვარი (რაოდენობა)	ზედა ზღვარი (რაოდენობა)
Anchored Multiplier Variance Adjusted	1.88%	1.60%	2.19%	8367	7109	9756
წინა შეფასება	1.87%	1.31%	2.53%	8327	5825	11281
NSU	1.92%	1.52%	2.79%	8540	6765	12450
ჯანმრთელობის კაბინეტების კოეფიციენტი	1.73%	1.31%	2.16%	7700	5852	9625
აივ ტესტირების კოეფიციენტი	1.82%	1.55%	2.1%	8122	6912	9341
სერვისის მოხმარების კოეფიციენტი	2.31%	1.78%	2.84%	10296	7927	12663
უნიკალური ნივთების კოეფიციენტი	1.26%	0.83%	1.69%	5629	3715	7543
Grindr	1.17%	0.90%	1.44%	5204	4007	6400
Hornet	0.74%	0.42%	1.07%	3318	1858	4778
GayRomeo	2.61%	0.44%	4.78%	11645	1979	21310
ჯგუფის ცოდნის	2.68%	1.97%	3.40%	11945	8763	15127
ჩაჭერა უკუჩაჭერა	1.31%	1.18%	1.44%	5853	5267	6438
ჰენდკოკის RDS	2.65%	1.98%	3.31%	11792	8818	14765

## დისკუსია და რეკომენდაციები

კვლევის განმავლობაში მოხდა შემდეგი შეზღუდვების გათვალისწინება:

შედეგების ანალიზისათვის ქალაქების მიხედვით მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების შესახებ უკანასკნელი ინფორმაცია არსებობს მხოლოდ 2014 წლისათვის (საყოველთაო აღწერის მონაცემები). შესაბამისად, 2022 წლის 15-64 ასაკის მოსახლეობის მონაცემთა გამოყენებით ჩვენ გავიანგარიშეთ საქართველოში 15-64 ასაკობრივ კატეგორიაში შემავალი ადამიანების პროპორცია. აღნიშნული პროპორციის თითოეულ ქალაქის ზოგადი პოპულაციის რაოდენობაზე გადათვლით, ვსაზღვრავდით ამ ქალაქებში „ზრდასრული“ პოპულაციის მიახლოებით რაოდენობას. აღნიშნული გაანგარიშება გამოვიყენეთ როგორც მნიშვნელოვანი პრევალენტობის მაჩვენებლების გამოსაანგარიშებლად.

მსმ-ებმა შესაძლოა არ გაამხილონ მათი სტატუსი სტიგმატიზაციის გამო. შესაბამისად, რესპოდენტები შესაძლოა, არ ფლობდნენ ინფორმაციას მათი ნაცნობების ქცევითი თავისებურებების შესახებ. აღნიშნულმა კი შესაძლოა გამოიწვიოს რესპონტთა მსმ-ების წრის, ასევე მსმ პოპულაციის ზომის რეალურზე მცირედ შეფასება. ამ ცდომილებას ეწოდება ინფორმაციის ტრანსმისიის ცდომილება. აღნიშნული ცდომილების გამოსასწორებლად პოპულაციის ზომის გაანგარიშება მსმ-ების მიერ IBSS ქვე-კვლევაში გაცემული პასუხების მონაცემების მიხედვით დავარეგულირეთ.

მეორე პოტენციური ცდომილება დაკავშირებულია პოპულარობის ხარისხთან. ზოგად პოპულაციას შესაძლოა ჰქონდეს დაბალი შანსი იმისა, რომ დაფარული პოპულაციის წევრთა შესახებ ფლობდეს ინფორმაციას, თუ საქმე გვაქვს მცირე ზომის სოციალურ ქსელთან. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მსმ პოპულაციის ზომის რეალურზე მცირედ შეფარება, რადგან ასეთი მსმ-ები ნაკლებად მიეკუთვნებიან ზოგადი პოპულაციის სოციალურ ქსელს. აღნიშნული ცდომილების გამოსასწორებლად გამოვთვალეთ პოპულარობის ინდექსი, როგორც ზოგადი პოპულაციის ქსელის ფარდობა მსმ-თ საშუალო ქსელის ზომაზე თითოეულ ქალაქში.

ჩვენი პოპულაციის ზომის გაანგარიშება ეფუძნება მონაცემებს 3 ქალაქიდან. აღნიშნული მონაცემები გამოვიყენეთ დანარჩენი საქართველოს პრევალენტობის დასაანგარიშებლადაც. თუმცა, შესაძლოა, რომ სამი ქალაქიდან შეგროვებული მონაცემები არ ასახავდეს ადეკვატურად მთლიანი საქართველოს რეალურ სურათს.

კოეფიციენტთან მეთოდისთვის გამოვიყენეთ მონაცემთა გარე წყაროები, რომლებიც შესაძლოა განსხვავებული ხარისხის იყოს. რადგან არ გაგვაჩნია წვდომა ინდივიდუალური დონის მონაცემებთან, შესაძლებელია, რომ მსმ-ები რამდენჯერმე იყვნენ ჩათვლილნი კონკრეტულ საბაზისო მონაცემთა ბანკებში.

დამატებით, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ საბაზისო მონაცემებში ნაგულისხმები ინდივიდები წარმოადგენენ საქართველოში მთლიან მსმ პოპულაციას და რომ მათ მსმ-ებს IBSS გამოკითხვასა და საბაზისო მონაცემებში ერთდროულად მოხვედრის ერთნაირი შანსი აქვთ. აღნიშნული პოტენციური ცდომილებების გათვალისწინებით, ჩვენ მხოლოდ ის საბაზისო მონაცემები გამოვიყენეთ, რომლებშიც მსმ-ები სრულფასოვნად იყვნენ აღწერილნი.

მსმ-ების პოპულაციის ზომის შეფასების საბოლოო სინთეზური მაჩვენებელი ძალიან უახლოვდება მსოფლიოსთვის გამოთვლილ საშუალო მაჩვენებელს და მნიშვნელოვნად უფრო დაბალია, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპისათვის გამოთვლილი შესაბამისი მაჩვენებელი.

რეკომენდაციის სახით შეგვიძლია დავამატოთ, რომ აუცილებელია მსმ-ების პოპულაციის ზომის განსაზღვრისათვის ახლებური მიდგომების მუდმივი ძიება, შემუშავება და ვალიდაცია, ვინაიდან ამ მიზნით გამოყენებული ტოველი ცალკეული მეთოდი არ არის მაღალი სანდოობის, განსაკუთრებით ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინების კონტექსტში და აუცილებელია რამდენიმე მეთოდის ერთობლივი გამოყენება, რათა მივიღოთ რეალობასთან მაქსიმალურად დაახლოებული შეფასებები.

ვიმედოვნებთ, რომ მსმ-ების პოპულაციის ზომის გაანგარიშება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მსმ-ების სარისკო ქცევის მოდიფიკაციის, აივ და ვირუსული ჰეპატიტების პრევენციისა და მკურნალობის პროგრამების ირგვლივ აქტივობების ორგანიზებასა და შეფასებაში.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. WHO. HIV and AIDS. Key Facts. Updated on 13/07/2023. Available at: <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/hiv-aids>.
2. In Danger: UNAIDS Global AIDS Update 2022. Available at: <https://www.unaids.org/en/resources/documents/2022/in-danger-global-aids-update>.
3. UNAIDS. Understanding fast track. Accelerating actions to end the AIDS epidemic by 2030. Available at: [https://www.unaids.org/sites/default/files/media\\_asset/201506\\_JC2743\\_Understanding\\_FastTrack\\_en.pdf](https://www.unaids.org/sites/default/files/media_asset/201506_JC2743_Understanding_FastTrack_en.pdf).
4. UNAIDS 2020. Evidence for eliminating HIV-related stigma and discrimination. Available at: [https://www.unaids.org/sites/default/files/media\\_asset/eliminating-discrimination-guidance\\_en.pdf](https://www.unaids.org/sites/default/files/media_asset/eliminating-discrimination-guidance_en.pdf).
5. WHO. Global HIV, Hepatitis and STIs Programs. Men who have sex with men. Available at: <https://www.who.int/teams/global-hiv-hepatitis-and-stis-programmes/populations/men-who-have-sex-with-men>.
6. UNAIDS. Global HIV Statistics. Fact Sheet 2023. Available at: [https://www.unaids.org/sites/default/files/media\\_asset/UNAIDS\\_FactSheet\\_en.pdf](https://www.unaids.org/sites/default/files/media_asset/UNAIDS_FactSheet_en.pdf).
7. UNAIDS *Prevention Gap Report*. Geneva: UNAIDS; 2016. Available at: [https://www.unaids.org/sites/default/files/media\\_asset/2016-prevention-gap-report\\_en.pdf](https://www.unaids.org/sites/default/files/media_asset/2016-prevention-gap-report_en.pdf).
8. UNAIDS. Country progress report – Georgia. Global AIDS Monitoring 2020. Available at: [https://www.unaids.org/sites/default/files/country/documents/GEO\\_2020\\_countryreport.pdf](https://www.unaids.org/sites/default/files/country/documents/GEO_2020_countryreport.pdf).
9. Infectious Diseases, AIDS, and Clinical Immunology Research Center. HIV/AIDS Epidemiology in Georgia. Available at: <https://www.aidscenter.ge/epidsituation.php>.
10. Curation International Foundation. HIV risk and prevention behavior among Men who have Sex with Men in Tbilisi and Batumi, Georgia. Bio-Behavioral Surveillance Survey in 2015. Available at: <https://curatiofoundation.org/wp-content/uploads/2016/04/MSM-BBS-Report-15-04-2016-ENG.pdf>.
11. Curation International Foundation. HIV risk and prevention behaviors among Men who have Sex with Men in Tbilisi, Batumi and Kutaisi, Georgia. Bio-Behavioral Surveillance Survey in 2018. Available at: [https://curatiofoundation.org/wp-content/uploads/2022/03/MSM-2018-IBBS-Report\\_FV\\_Eng.pdf](https://curatiofoundation.org/wp-content/uploads/2022/03/MSM-2018-IBBS-Report_FV_Eng.pdf).
12. Sulaberidze, L., Mirzazadeh, A., Chikovani, I., Shengelia, N., Tsereteli, N., & Gotsadze, G. (2016). Population Size Estimation of Men Who Have Sex with Men in Tbilisi, Georgia; Multiple Methods and Triangulation of Findings. *PloS one*, 11(2), e0147413. <https://doi.org/10.1371/journal.pone.0147413>
13. AIDS Center. Retrieved December 20, 2023 from [https://www.aidscenter.ge/epidsituation\\_en.php](https://www.aidscenter.ge/epidsituation_en.php)
14. UNAIDS (2020). Country Progress Report – Georgia. [https://www.unaids.org/sites/default/files/country/documents/GEO\\_2020\\_countryreport.pdf](https://www.unaids.org/sites/default/files/country/documents/GEO_2020_countryreport.pdf)

15. UNAIDS (2022). IN DANGER: UNAIDS Global AIDS Update 2022. Geneva: Joint United Nations Programme on HIV/ AIDS; Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO
16. UNAIDS (2022). UNAIDS DATA 2022.  
[https://www.unaids.org/sites/default/files/media\\_asset/data-book-2022\\_en.pdf](https://www.unaids.org/sites/default/files/media_asset/data-book-2022_en.pdf)
17. WHO, UNAIDS ( 2020) Recommended population size estimates of men who have sex with men. Geneva: World Health Organization;  
([https://www.unaids.org/sites/default/files/media\\_asset/2020-recommended-population-size-estimates-of-men-who-have-sex-with-men\\_en.pdf](https://www.unaids.org/sites/default/files/media_asset/2020-recommended-population-size-estimates-of-men-who-have-sex-with-men_en.pdf) , accessed 20 December 2023)
18. Xu, C., Jing, F., Lu, Y. et al. Summarizing methods for estimating population size for key populations: a global scoping review for human immunodeficiency virus research. *AIDS Res Ther* 19, 9 (2022). <https://doi.org/10.1186/s12981-022-00434-7>
19. Gaziano, Cecilie. "Comparative Analysis of Within-Household Respondent Selection Techniques." *The Public Opinion Quarterly* 69, no. 1 (2005): 124–57.  
<http://www.jstor.org/stable/3521607>
20. McCormick TH, Salganik MJ, Zheng T. How Many People Do You Know?: Efficiently Estimating Personal Network Size. *J Am Stat Assoc.* 2010;105(489):59-70.  
doi:10.1198/jasa.2009.ap08518
21. Salganik MJ, Mello MB, Abdo AH, Bertoni N, Fazito D, Bastos FI. The game of contacts: Estimating the social visibility of groups. *Soc Netw.* 2011;33(1):70-78.  
doi:10.1016/j.socnet.2010.10.006
22. Rastegari A, Haji-Maghsoudi S, Haghdoost A, Shatti M, Tarjoman T, Baneshi MR. The Estimation of Active Social Network Size of the Iranian Population. *Glob J Health Sci.* 2013;5(4):p217. doi:10.5539/gjhs.v5n4p217
23. Wang J, Yang Y, Zhao W, et al. Application of Network Scale Up Method in the Estimation of Population Size for Men Who Have Sex with Men in Shanghai, China. *PLOS ONE.* 2015;10(11):e0143118. doi:10.1371/journal.pone.0143118
24. Maghsoudi A, Baneshi MR, Neydavoodi M, Haghdoost A. Network Scale-Up Correction Factors for Population Size Estimation of People Who Inject Drugs and Female Sex Workers in Iran. Rezza G, ed. *PLoS ONE.* 2014;9(11):e110917.  
doi:10.1371/journal.pone.0110917
25. Pisani E. Estimating the Size of Populations at Risk for HIV: Issues and Methods : Updated July 2003. 2003 ed. Family Health International; 2003.

## დანართი 1. ცხრილები

### ცხრილი A. სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

მახასიათებელი	სულ		
	SPSS		RDS
	N	%	%
რამდენი წლის ხართ?			
≤24	213	32.6	30.7
≥25	440	67.4	69.3
რა არის თქვენი განათლების დონე?			
განათლება არ მაქვს	7	1.1	1.3
არასრული საშუალო	68	10.4	16.7
სრული საშუალო/კოლეჯი/პროფ. სასწავლებელი	188	28.8	30.9
არასრული უმაღლესი	80	12.3	12.0
უმაღლესი	258	39.5	33.4
სტუდენტი	52	8.0	5.7
რამდენი ხანია, რაც ამ ქალაქში ცხოვრობთ?			
≤1 წელზე	33	5.1	3.6
2-10 წლამდე	120	18.4	15.4
≥10 წელზე	500	76.6	81.0
გაქვთ თუ არა სტაბილური საცხოვრებელი ადგილი?			
დიახ	442	67.7	72.4
არა, ვეძებ	152	23.3	17.5
არა, სხვასთან ვცხოვრობ	59	9.0	10.2
როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?			
დაქორწინებული	60	9.2	10.2
განქორწინებული/განცალკევებით მცხოვრები	84	12.9	14.6
ქვრივი	13	2.0	3.5
არასოდეს ყოფილა დაქორწინებული	496	76.0	71.7
ხართ თუ არა დასაქმებული?			
დიახ, მაქვს მუდმივი სამუშაო	346	53.0	45.5

დიახ, ხანდახან ვპოულობ დროებით სამუშაოს	151	23.1	26.5
არა	156	23.9	28.0
რამდენია თქვენი საშუალო თვიური შემოსავალი?			
300 ლარი და ნაკლები	78	11.9	15.4
300-700 ლარი	105	16.1	19.9
700-1000 ლარი	159	24.3	22.7
1000 ლარზე მეტი	237	36.3	29.8
უარი პასუხზე	33	5.1	7.7
არ არის მონაცემი	41	6.3	4.5
მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა კვლევაში, რომელიც მოიცავდა კითხვარის შევსებას და სისხლის ჩაბარებას ანალიზისათვის?			
დიახ (2010)	1	0.2	0.1
დიახ (2012)	1	0.2	0.5
დიახ (2015)	15	2.3	1.0
დიახ (2018)	125	19.1	17.1
არა	475	72.7	76.5
არ მახსოვს	35	5.4	4.5
უარი პასუხზე	1	0.2	0.3

ცხრილი A1. ბიომარკერული კომპონენტი

მახასიათებელი	სულ		
	SPSS		CI
	N	%	
Anti-HIV			
დადებითი	100	15.3	0.15; 0.12-0.18
უარყოფითი	553	84.7	
RPR			
დადებითი	99	15.2	0.15; 0.12-0.18
უარყოფითი	554	84.8	
TPHA			
დადებითი	93	93.9	0.96; 0.91-0.99
უარყოფითი	3	6.1	
Anti-HCV			
დადებითი	51	7.8	0.07; 0.05- 0.10
უარყოფითი	602	92.2	
Anti-HBc			
დადებითი	139	21.3	0.21; 0.18-0.24
უარყოფითი	514	78.7	
HBsAg			
დადებითი	20	3.1	0.03; 0.01-0.04
უარყოფითი	633	96.9	

ცხრილი B. ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება

მახასიათებელი	სულ		
	SPSS		RDS
	N	%	%
რამდენად ხშირად მიგიღიათ ალკოჰოლი ბოლო 1 თვის განმავლობაში?			
არ დამილევია	145	22.2	22.6
ყოველდღე	40	6.1	4.6
სულ ცოტა, კვირაში ერთხელ	179	27.4	24.0
სულ ცოტა, ორ კვირაში ერთხელ	137	21.0	16.5
თვეში ერთხელ	147	22.5	28.9
არ ვიცი	1	0.2	0.3
უარი პასუხზე	4	0.6	3.2
გაგისინჯავთ თუ არა ქვემოთ მოყვანილი რომელიმე საშუალება ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
ჰეროინი	28	4.3	6.5
ოპიუმი	18	2.8	5.4
სუბუტექსი	36	5.5	7.0
ვინტი/ჯეფი	17	2.6	3.4
დეზომორფინი (კრაკადილი)	0	0.0	0.0
ამფეტამინი	58	8.9	11.2
მარიხუანა	282	43.2	38.5
GHB/GBL	11	1.7	0.8
პოპერსი	65	10.0	7.7
ექსტაზი	79	12.1	11.3
კოკაინი	54	8.3	7.6
სადილე/დამამშვიდებელი საშუალებები	39	6.0	5.4
ბიო	27	4.1	3.6
წიწვები	5	0.8	0.6
მოგიხმარიათ თუ არა რომელიმე ზემოთ აღნიშნული საშუალება ინტრავენურად ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
დიახ	44	6.7	5.8

გაიკეთეთ თუ არა ნარკოტიკი სხვის მიერ გამოყენებული ნემსით ან შპრიცით ბოლო მოხმარებისას?			
დიახ	7	1.1	2.2
არა	92	14.1	16.6
არ მახსოვს	7	1.1	2.8
უარი პასუხზე	2	0.3	0.6
არ არის მონაცემი	545	83.5	77.8
ბოლო 12 თვის განმავლობაში, გქონიათ თუ არა დაუცველი სექსი ნარკოტიკის ინექციური გზით მომხმარებელთან?			
დიახ	24	3.7	5.3
არა	511	78.3	77.5
არ მახსოვს	29	4.4	5.0
უარი პასუხზე	1	0.2	0.5
არ არის მონაცემი	88	13.5	11.7

ცხრილი C. სქესობრივი ისტორია: პარტნიორთა რიცხვი და ტიპები

მახასიათებელი	სულ		
	SPSS		RDS
	N	%	%
ზოგადად როგორი სქესობრივი პარტნიორი ხართ?			
მიმღები	101	15.5	10.1
შემღწევი	182	27.9	33.0
მიმღებიც და შემღწევიც	362	55.4	55.0
უარი პასუხზე	8	1.2	1.9
ხომ არ იყავით რაიმეს საშუალების ზემოქმედების ქვეშ ბოლო ანალური სექსის დროს?			
კი	193	29.6	27.4
არა	460	70.4	72.6
ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი საშუალების ზემოქმედების ქვეშ იყავით ბოლო ანალური სექსის დროს?			
ალკოჰოლი	135	69.9	71.1
ჰეროინი	9	4.7	5.4
ოპიუმი	1	0.5	0.9
სუბუტექსი	8	4.1	4.7
ვინტი/ჯეფი/ამფეტამინი	3	1.5	1.4
დეზომორფინი	0	0.0	0.0
შესასუნთქი	0	0.0	0.0
GHB/GBL	2	1.1	1.8
პოპერსი	11	5.7	6.3
ამფეტამინი	8	4.1	6.1
მარიხუანა	50	25.9	27.7
ექსტაზი	3	1.5	2.1
კოკაინი	9	4.6	5.3
რამდენი რეგულარული კაცი პარტნიორი გყავდათ ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
0	69	10.6	14.1
1	252	38.6	41.9
2-3	229	35.1	32.2
>3	82	12.6	8.8
არ არის მონაცემი	21	3.2	3.0



რამდენი შემთხვევითი კაცი პარტნიორი გყავდათ ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
0	130	19.9	22.0
1-3	166	25.4	21.7
>3	355	54.4	55.2
არ არის მონაცემი	2	0.3	1.0
რამდენი კომერციული კაცი პარტნიორი გყავდათ ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
0	539	82.5	80.3
1-5	28	4.3	8.6
>5	7	1.1	1.1
არ არის მონაცემი	79	12.1	10.0
რამდენი წლის იყავით, როდესაც პირველად გქონდათ ანალური სექსობრივი კონტაქტი კაცთან?			
≤10 წლის	11	1.7	0.9
11-13 წლის	33	5.1	2.7
14-17 წლის	220	33.7	30.7
≥18 წლის	380	58.2	64.0
უარი პასუხზე	9	1.4	1.7
ვისთან გქონდათ ანალური სექსი ბოლოს?			
ერთ რეგულარული პარტნიორთან	364	55.7	49.7
ერთ შემთხვევით პარტნიორთან	279	42.7	49.0
კომერციულ პარტნიორთან	7	1.1	0.7
რამდენიმესთან ერთად (ჯგუფური სექსი)	1	0.2	0.1
უარი პასუხზე	2	0.3	0.5
გამოიყენეთ თუ არა თქვენ და თქვენმა პარტნიორმა კონდომი ბოლო ანალური სექსის დროს?			
დიახ	462	70.8	63.4
არა	183	28.0	34.0
არ მახსოვს	8	1.2	2.5
ზოგადად, რა სიხშირით იყენებდით თქვენ და თქვენი კაცი პარტნიორები კონდომს ანალური სექსის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
ყოველთვის	308	47.2	39.7
ხშირად	178	27.3	26.2
ხანდახან	115	17.6	20.1
არასოდეს	52	8.0	13.9
ბოლო ერთი წლის განმავლობაში გქონიათ თუ არა სექსი კაც პარტნიორთან სხვა ქვეყანაში?			
დიახ	135	20.7	23.3
არა	518	79.3	76.7

თუ კი, გქონიათ თუ არა სექსი კონდომის გამოყენების გარეშე?			
დიახ	88	65.1	67.4
ბოლოს ანალური სექსის დროს, როგორ ფიქრობთ, რა იყო თქვენი პარტნიორის აივ სტატუსი- აივ ინფიცირებული იყო თუ არა?			
ვფიქრობ, არ იყო აივ ინფიცირებული	135	20.7	20.9
ვიცი, რომ არ იყო აივ ინფიცირებული	277	42.4	33.5
ვფიქრობ, იყო აივ ინფიცირებული	12	1.8	3.2
ვიცი, რომ იყო აივ ინფიცირებული	21	3.2	5.4
ვიცი, რომ არ აქვს ზუსტი ინფორმაცია არის თუ არა ინფიცირებული	10	1.5	2.3
არ მიფიქრია ამაზე	74	11.3	19.9
არ მახსოვს/არ ვიცი	117	17.9	12.6
უარი პასუხზე	7	1.1	2.2
ბოლოს როდესაც გქონდათ ანალური კონტაქტი კაცთან, ესაუბრეთ თქვენს პარტნიორს თქვენი აივ სტატუსის შესახებ?			
ვუთხარი, რომ არ ვიცი აივ ინფიცირებული ვარ თუ არა	11	1.7	1.7
ვუთხარი, რომ არ ვარ ინფიცირებული	213	32.6	31.4
ვუთხარი, რომ ვარ ინფიცირებული	39	6.0	4.8
არ მითქვამს არაფერი ჩემი სტატუსის შესახებ	334	51.1	49.7
არ მახსოვს/არ ვიცი	47	7.2	9.2
უარი პასუხზე	9	1.4	3.0
ბოლოს როდესაც გქონდათ ანალური კონტაქტი კაცთან:			
ის იყო პრეექსპოზიციურ პროფილაქტიკურ მკურნალობაზე	41	6.3	4.6
ის იყო პოსტექსპოზიციურ პროფილაქტიკურ მკურნალობაზე	5	0.8	0.8
არ ვიცი/არ მახსოვს იყო თუ არა რომელიმე პროფილაქტიკურ მკურნალობაზე	106	16.2	17.7
მე ვიყავი პრეექსპოზიციურ პროფილაქტიკურ მკურნალობაზე	60	9.2	4.4
მე ვიყავი პოსტექსპოზიციურ პროფილაქტიკურ მკურნალობაზე	6	0.9	0.3
არ ვიცი	161	24.7	23.8
უარი პასუხზე	59	9.0	13.0

ცხრილი D. სქესობრივი ისტორია: რეგულარული მამრობითი სქესის პარტნიორები

მახასიათებელი	სულ		
	SPSS		RDS
	N	%	%
რამდენ რეგულარულ პარტნიორთან გქონდათ ანალური სქესობრივი კონტაქტი ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
0	22	3.4	3.6
1	255	39.1	42.0
2-3	224	34.3	28.8
>3	70	10.7	9.5
არ არის მონაცემი	82	12.6	16.0
გამოიყენეთ თუ არა კონდომი ბოლო ანალური სქესის დროს რეგულარულ კაც პარტნიორთან?			
დიახ	386	59.1	51.3
არა	171	26.2	26.3
არ არის მონაცემი	96	14.7	22.4
თუ არა, რა იყო კონდომის გამოუყენებლობის მიზეზი?			
არ გვქონდა	19	11.1	12.5
ძალიან ძვირია	1	0.6	1.2
პარტნიორის უარი	11	6.4	5.1
არ მომწონს კონდომები	31	18.2	17.3
არ მივიჩნიე საჭიროდ	64	37.4	39.3
არ მიფიქრია ამაზე	8	4.6	5.4
სხვა	1	0.6	0.9
უარი პასუხზე	1	0.6	1.2
არ არის მონაცემი	35	20.5	17.1
ზოგადად, რა სიხშირით იყენებდით თქვენ და თქვენი რეგულარული კაცი პარტნიორი (პარტნიორები) კონდომს ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
ყოველთვის	243	37.2	31.3
ხშირად	138	21.1	16.6
ხანდახან	110	16.8	17.6
არასოდეს	68	10.4	13.2
არ არის მონაცემი	94	14.4	22.3

ცხრილი E. სქესობრივი ისტორია: შემთხვევითი მამრობითი სქესის პარტნიორები

მახასიათებელი	სულ		
	SPSS		RDS
	N	%	%
რამდენ შემთხვევით პარტნიორთან გქონდათ ანალური სქესობრივი კონტაქტი ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
0	142	21.7	23.6
1-5	276	42.3	44.7
>5	226	34.6	29.7
არ არის მონაცემი	9	1.4	2.0
გამოიყენეთ თუ არა კონდომი ბოლო ანალური სქესის დროს შემთხვევით პარტნიორ კაცთან?			
დიახ	428	65.5	57.5
არა	73	11.2	15.7
არ ვიცი/არ მახსოვს	11	1.7	2.6
არ არის მონაცემი	141	21.6	24.3
რა იყო კონდომის გამოუყენებლობის მიზეზი?			
არ გვქონდა	16	27.6	33.7
ძალიან ძვირია	4	6.9	6.9
პარტნიორის უარი	19	32.8	29.5
არ მომწონს კონდომები	12	20.7	17.2
არ მივიჩნიე საჭიროდ	7	12.1	12.8
ზოგადად, რა სიხშირით იყენებდით თქვენ და თქვენი შემთხვევითი პარტნიორი კაცები კონდომს ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
ყოველთვის	307	47.0	42.4
ხშირად	96	14.7	11.0
ხანდახან	83	12.7	16.5
არასოდეს	22	3.4	6.5
არ არის მონაცემი	145	22.2	23.6

ცხრილი F. სქესობრივი ისტორია: კომერციული პარტნიორები

მახასიათებელი	სულ		
	SPSS		RDS
	N	%	%
რამდენ კომერციულ პარტნიორთან გქონდათ ანალური სქესობრივი კონტაქტი ბოლო 12 თვის მანძილზე?			
0	5	0.8	0.8
1-5	27	4.0	6.2
>5	7	1.1	0.6
არ არის მონაცემი	615	94.2	92.4
ბოლოს, როდესაც ანალური კონტაქტი გქონდათ ამ პარტნიორთან, გამოიყენეთ თუ არა კონდომი?			
დიახ	26	76.5	79.1
არა	8	23.5	20.9
რა მიზეზის გამო არ გამოიყენეთ მაშინ კონდომი?			
არ გვქონდა	1	12.5	12.6
არ მომწონს კონდომები	2	25.0	27.6
არ მივიჩნიე საჭიროდ	1	12.5	11.4
არ არის მონაცემი	4	50.0	48.4
ზოგადად, რა სიხშირით იყენებდით თქვენ და თქვენი კომერციული პარტნიორი კაცები კონდომს ანალური სქესობრივი კონტაქტების დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში?			
ყოველთვის	21	61.8	57.4
ხშირად	3	8.8	12.5
ხანდახან	5	14.7	13.6
არასოდეს	5	14.7	16.5

ცხრილი G. კომერციულ სექსში (სექს-ბიზნესში) ჩართულობა

მახასიათებელი	სულ		
	SPSS		RDS
	N	%	%
ამყარებთ თუ არა კაცთან სექსობრივ კონტაქტს მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ?			
დიახ	71	10.9	6.8
არა	582	89.1	93.2
ბოლო 12 თვის განმავლობაში, დაახლოებით რა სიხშირით გქონდათ სექსობრივი კონტაქტი კაცებთან მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ?			
ყოველდღე	8	11.2	6.1
კვირაში რამდენიმეჯერ	15	21.1	24.7
კვირაში ერთხელ	5	7.0	14.2
თვეში 2-3-ჯერ	19	26.7	19.7
თვეში ერთხელ	6	8.4	9.8
სამ თვეში ერთხელ ან ნაკლები	10	14.1	15.9
არ ვიცი	1	1.4	0.8
უარი პასუხზე	5	7.0	7.4
არ არის მონაცემი	2	2.9	1.4
რა სახის მატერიალურ ანაზღაურებას იღებთ ჩვეულებრივ თქვენს მომსახურებაში?			
ფული	68	95.8	97.3
საკვები	8	11.3	6.6
ბინა/საცხოვრებელი	4	5.6	3.0
სხვა	7	9.9	5.5
რა თანხას იღებთ თქვენს მომსახურებაში?			
10 ლარზე ნაკლები	0	0.0	0.0
10-20 ლარი	1	1.4	2.6
21-50 ლარი	9	12.6	11.8
51-100 ლარი	27	38.0	35.5
100 ლარზე მეტი	29	40.8	45.1
არ არის მონაცემი	5	7.1	5.2
რა არის თქვენი ყოველთვიური შემოსავალი ამ საქმიანობიდან?			

50 ლარამდე	2	2.8	3.2
51-100 ლარი	3	4.2	4.0
101-200 ლარი	6	8.4	7.3
201-300 ლარი	11	15.5	18.4
301-500 ლარი	11	15.5	14.2
501-1000 ლარი	6	8.4	10.0
1001 და მეტი	17	24.0	25.2
სხვა	1	1.4	0.8
არ ვიცი	1	1.4	0.8
უარი პასუხზე	5	7.4	8.1
არ არის მონაცემი	8	11.2	8.0
გაქვთ თუ არა შემოსავლის სხვა წყარო ამ საქმიანობის (კომერციული სექსის/სექს- ბიზნესის) გარდა?			
დიახ	38	53.5	58.0
არა	25	35.3	34.2
არ არის მონაცემი	8	11.2	7.8
ბოლო 12 თვის განმავლობაში დაახლოებით რამდენი კლიენტი გყავდათ ერთი სამუშაო დღის განმავლობაში?			
1-2	41	57.7	54.6
>2	14	19.7	21.9
არ არის მონაცემი	16	22.6	23.5
მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენ ჩართული ხართ სექს-ბიზნესში?			
დიახ	36	50.7	52.4
არა	20	28.1	29.6
არ ვიცი	10	14.1	13.7
არ არის მონაცემი	5	7.1	4.3
რა მიზეზის გამო ხართ ჩართული სექს-ბიზნესში?			
ფულის შოვნა	27	38.1	43.9
მომწონს ჩემი საქმე	10	14.1	11.6
არ არის მონაცემი	34	47.8	44.5
ბოლო ანალური კონტაქტის დროს ვაც პარტნიორთან მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ, გამოიყენეთ თუ არა თქვენ და თქვენმა პარტნიორმა კონდომი?			
